

პარლამენტი ბინის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა "დაშორიშორებას" აპირებს

A4



ეცერის სამარხში ნაპოვნი ჩონჩხები უცხოეთში გაიგზავნება

A7



თქვით SALVE გერმანულად

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 7 მაისი, 2005 წელი. №101 (961) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია გულორდავას სასამართლოში იბარებს



ღია წერილში კოალიციის წარმომადგენლები ბესიკ გულორდავასაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - მას სასამართლოში იხმობენ.

A2

## უცხოეთი

### ტონი ბლერის „ისტორიული" გამარჯვება



ტონი ბლერის პარტიამ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 7/05 | 8 /05 | 9 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 5 | 8 |
| ქუთაისი | 6 | 1 | 6 |
| ბათუმი | 5 | 9 | 3 |
| სოხუმი | 3 | 7 | 4 |
| ფოთი | 5 | 9 | 5 |
| თელავი | 7 | 5 | 7 |
| ზუგდიდი | 7 | 1 | 5 |
| გორი | 3 | 0 | 4 |
| ახმეტა | 7 | 5 | 7 |
| ჭიათურა | 3 | 9 | 5 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3659 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4649 |
| რუბლი | 0.0658 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |



# ჯორჯ ბუში:
# „ველოდები, როდის გამოვალ თავისუფლების მოედანზე სიტყვით"

"როცა მკითხეს, რატომ გადავწყვიტე საქართველოში წასვლა, გამახსენდა, როგორი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა პრეზიდენტი სააკაშვილი, როცა თავის ქვეყანაში მიმიწვია. მისი ენთუზიაზმი გადამდები იყო, საოცრად გადამდები. ის ძალიან დიდი ენთუზიაზმით უყურებს თავის ქვეყანას და მეც მინდა ეს - ახალი დემოკრატიისაგან მოტანილი ენთუზიაზმი - თავადაც განვიცადო."

"ველოდები, როდის გამოვალ თავისუფლების მოედანზე სიტყვით, ეს ძალიან ამაღელვებელი მომენტი იქნება. მე ვაპირებ, კიდევ ერთხელ გადავხედო ჩემი გამოსვლის ტექსტს, რათა დავრწმუნდე, რომ ყველაფერს, რასაც იქ ვიტყვი, აზრი ჰქონდეს. მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს ჩემი მოწვევისათვის."

"საქართველოს მთავრობა რთულ გზას გადის - ებრძვის კორუფციას, ცდილობს კანონის უზენაესობის დამყარებას და გამჭვირვალე გარემოს შექმნას. ეს ყველაფერი კი ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის ინტერესმა ამ ქვეყანაში თავის პიკს მიაღწიოს, როცა საქმე ინვესტიციების ჩადებას შეეხება. ძალიან ძნელია ინვესტიციების მიზიდვა იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლოს არასამართლიანი გადაწყვეტილება გამოაქვს, სადაც თამაშის წესები გამუდმებით იცვლება და სადაც იძულებული ხარ, კორუმპირებული გახდე, რათა შენ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მომგებიანი იყოს."



პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის და "24 საათის" სპეციალური კორესპონდენტის ეკა კვესიტაძის შეხვედრა.

პრეზიდენტ ბუშის ვრცელ საუბარს ვაშინგტონში "24 საათის" სპეციალურ კორესპონდენტთან ეკა კვესიტაძესთან შემოგთავაზებთ ორშაბათს, 9 მაისს.

## ბუშის ვიზიტი ონლაინ რეჟიმში

### აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის გასაშუქებლად სპეციალური ინტერნეტ-გვერდი გაიხსნა

*აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის სახსოვრად ქართველ ხალხს, შეღებილ-გარემონტებულ დედაქალაქთან და ტკბილ, ისტორიულ მოგონებებთან ერთად, ინტერნეტ-საიტიც დარჩება, რომელიც სპეციალურად ბატონი ბუშის საქართველოში ვიზიტისთვის შეიქმნა.*

სოფო ბუკია

საიტი ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მოსამზადებელი შტაბის ინიციატივით ამოქმედდა. იგი ინგლისურენოვანია და მოწოდებულია, დახმარება გაუწიოს საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის გასაშუქებლად ჩამოსულ უცხოელ ჟურნალისტებსა და, ასევე, მათ, ვინც ისტორიულ ვიზიტს სხვადასხვა ქვეყნიდან დააკვირდება.

აქ იპოვით ინფორმაციას საქართველოს მთავრობაზე, პრეზიდენტზე, ასევე, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში გატარებულ რეფორმებზე, მთავრობის სხვადასხვა ინიციატივებზე, საქართველოს საერთაშორისო როლზე და ა.შ.

აქვეა ინფორმაცია იმაზეც, თუ რა სამუშაოები ჩატარდა თბილისში ბუშის ღირსეულად დასახვედრად.

"ვარდების რევოლუციას" სპეციალური გვერდი აქვს დათმობილი, სადაც სტატიებთან ერთად მსურველები ფოტო-გალერეასაც დაათვალიერებენ.

www.georgiawelcomesusa.com-ზე ჯორჯ ბუშ უმცროსის ვიზიტთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანის გარდა, საიტის სტუმარი საქართველოს შესახებ უამრავ ინფორმაციას ამოიკითხავს და ფოტოგალერეასაც შეავლებს თვალს.

ვებ-გვერდი საკმაოდ მოსახერხებელი აღმოჩნდა ქართველი ჟურნალისტებისთვისაც, რადგან ბუშის ვიზიტის დღეს სხვადასხვა ღონისძიებებზე დასასწრები აკრედიტაცია ჟურნალისტებმა სწორედ ამ საიტის მეშვეობით გაიარეს. იგივე გზით მოხდა უცხოელი ჟურნალისტების აკრედიტირებაც. **"თავიდან სასაცილოდ მოგვეჩვენა, ბუშის ვიზიტისთვის სპეციალური საიტი დაგვეარსებინა, მაგრამ დღეს ნამდვილად ვამაყობთ ჩვენი ინიციატივით. ეს ერთგვარი ფანჯარაა საქართველოში, რომელიც ნებისმიერმა მსურველმა შეიძლება შეაღოს,"** - აცხადებს ვებ-გვერდის დირექტორი ნატა ფარცხალაძე.

როგორც ის ირწმუნება, საიტი ბუშის საქართველოდან წასვლის შემდეგაც სრული დატვირთვით იმუშავებს და მასზე ყოველდღიურად განახლებადი, საქართველოსთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება. შტაბში აცხადებენ, რომ სულ მალე საიტის ქართული ვერსიაც შემუშავდება.

საქართველოს უკეთ გაცნობა უცხოელ სტუმრებს სპეციალური ბროშურის საშუალებითაც შეეძლებათ. ფერადი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ჟურნალი-ბროშურა დიდი ტირაჟით დაიბეჭდება და 10 მაისს დარიგდება.

ბუშის მისასალმებელი ინტერნეტ-საიტის გარდა, შტაბმა კიდევ ერთი ვებ-გვერდის აღორძინებაზე იზრუნა. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.president.gov.ge ამჯერად უკვე განახლებული ფორმატით ამუშავდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოსკოვის პოზიცია ძველ კალაპოტს დაუბრუნდა

### რუსული ბაზების გაყვანის ვადები კვლავ გაურკვეველია

*ილუზია იმის თაობაზე, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების 2008 წლის 1 იანვრამდე გაყვანას დათანხმდებოდა, ხანმოკლე აღმოჩნდა.*
*მოსკოვს მიაჩნია, რომ "მიუხედავად პოლიტიკური ნებისა," ეს ვადა არასაკმარისია.*
*საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვში გუშინ გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.*

ნინო გომართელი

**"ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, მაინც არ არის მიღწეული შეთანხმება რუსული ბაზების გაყვანის საბოლოო ვადებზე,"** - განაცხადა სერგეი ლავროვთან ოთხსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ შეუთანხმებელ საკითხებში პროგრესის არარსებობის გამო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში არ ჩავა და არც 8 მაისს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტს და არც 9 მაისს - გამარჯვების დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებს დაესწრება.

**"მიხეილ სააკაშვილს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვში ჩამოსვლას შეძლებდა, თუმცა დღეს აშკარაა მიზეზი იმისა, რომ იგი ამას ვერ გააკეთებს,"** – ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



პოზიტიურად დაწყებული მოლაპარაკებები გუშინ კვლავ ჩიხში შევიდა.

## აჭარის ერთი წელი

ეთერ მამულაშვილი

*გუშინ საქართველოს ხელისუფლება ბათუმში აჭარული რევოლუციის წლისთავს და ამ ერთი წლის მანძილზე მიღწეულ შედეგებს აჯამებდა. რვაგვერდიან ანგარიშში, რომელიც აჭარის მთავრობის ღია სხდომის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს დაურიგეს, დეტალურად გახლდათ აღწერილი ის საბიუჯეტო წარმატებები, სოციალური ხასიათის მიღწევები და ზოგადი "წინსვლა-განვითარება", რომლის დეტალურ ანალიზსაც "24 საათი" მომავალში აუცილებლად შემოგთავაზებთ. მანამდე კი, ანუ გუშინ აჭარაში საზეიმო განწყობა სუფევდა და პრეზიდენტი სააკაშვილი აჭარაში მიღწეულ და მისაღწევ წარმატებებზე" საუბრობდა:*

**"აჭარაში საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებული საქმიანობის მაგალითი უნდა აჩვენოს,"** - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, აჭარის რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრეზიდენტის განცხადებით: **"აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე საქმიანი ადამიანი აღმოჩნდა და რეგიონში ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა."**

მიხეილ სააკაშვილი აჭარის მოსახლეობას 1 სექტემბრამდე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებას, ყველა სკოლაში სარემონტო სამუშაოების დასრულებას, სკოლების კომპიუტერიზაციას, გზების მშენებლობას, ბობოყვათი-ჩაქვისა და ჩაქვი-ბათუმის საავტომობილო გზების მშენებლობის დასრულებას დაჰპირდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

## პოსტრევოლუციური აჭარა - მეწარმეების და მესამე სექტორის თვალით

ეთერ მამულაშვილი
*ბათუმიდან*

*როგორია ერთი წლისთავზე აჭარა? რა მოიტანა რევოლუციამ აჭარაში - დემოკრატია თუ ახალი კლანის მმართველობა? რამდენად წაადგა აჭარული რევოლუცია ავტონომიის ბიუჯეტს და ეკონომიკას? როგორ აფასებენ მიმდინარე მოვლენებს არასამთავრობო სექტორი და მეწარმეები? ამ კითხვებზე პასუხს გუშინ "24 საათი" აჭარაში ეძებდა.*

### დამტკიცებული ბიუჯეტის დაუმტკიცებელი მუხლები

სხვა ბევრ რამესთან ერთად, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში თავს იმით იწონებენ, რომ, შარშანდელთან შედარებით, რეგიონის ახალი, 2005 წლის ბიუჯეტი თითქმის 20 მილიონი ლარით არის გაზრდილი, თანაც იმ ფონზე, რომ აჭარის საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების ძალიან დიდი ნაწილი უკვე ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება. თუმცა, პრეტენზიები საბიუჯეტო პროცესის მიმართ მაინც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ბიუჯეტი იანვრის ბოლოს დამტკიცდა, აჭარის ფილიალის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის ტატო აროშიძის თქმით, ბიუჯეტის რამდენიმე, თანაც, რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პუნქტები დღემდე დაუმტკიცებელია. მაგალითად, ბიუჯეტის ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც აჭარის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისთვის 1 მილიონი ლარის

გაგრძელება A3 გვერდზე

# გადამზიდავი ფირმები საგზაო ბარათების დატოვებას ითხოვენ

*ლიცენზია-სერტიფიკატების გამცემი უწყებების ბედს მთავრობა, დაახლოებით, ერთ თვეში გადაწყვეტს. საბოლოო გადაწყვეტილებას, ამ უწყებების გარდა, საქალაქთაშორისო გადამზიდავი (მგზავრთა გადამყვანი) ფირმების მეპატრონეებიც გულისფანცქალით ელიან. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოგიერთი ნებართვის გაუქმებას თვითონ გადამზიდავი ფირმები ეწინააღმდეგებიან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქალაქთაშორისო გადამზიდავთა ლიგა პრეზიდენტისადმი გასაგზავნ წერილს ამზადებს და საგზაო საკონტროლო ბარათის დატოვებას ითხოვს.*

ნანა ქადაგიშვილი

რიგი მაკონტროლებელი უწყებების გაუქმება (რისი ინიციატივითაც პრეზიდენტი სამთავრობო სხდომაზე გამოვიდა) საქალაქთაშორისო სატრანსპორტო გადამზიდავ ფირმებსაც საგრძნობ შვებას მისცემს. მაგალითად, საქსტანდარტის გაუქმება ნიშნავს, რომ ავტოსადგურებისა და გადამზიდავი ფირმების მეპატრონეებს ლიცენზიების აღება აღარ მოუწევთ. 14-15 წლის წინათ გაყიდული ავტოსადგურების მფლობელები თავიდან ლიცენზიებს ორ წელიწადში ერთხელ იღებდნენ, შემდეგ ლიცენზიის ვადა ნელ-ნელა შემცირდა, ჯერ ერთწლიანი, ბოლოს კი ექვსთვიანი გახდა. ამ ექვსი თვის შუალედში კი "საქსტანდარტის" თანამშრომლები ავტოსადგურებს სამ-ოთხჯერ მაინც მოინახულებენ-ხოლმე, რის შედეგადაც, როგორც წესი, სადგურების მეპატრონეთა ჯიბე დამატებით ზარალდება.

გადამზიდავი ფირმები ლიზენციას ყოველწლიურად იღებენ, თუმცა, დიდი ბრძოლა კი დასჭირდათ იმისთვის, რომ ლიცენზიის ექვსთვიანი ვადა ერთ წლამდე გაზრდილიყო. ამის გარდა, თითოეულ მანქანაზე ცალ-ცალკე უწევთ სამთვიანი ლიცენზიის აღება.

ასე რომ, ავტოსადგურებისა და გადამზიდავი ფირმების მფლობელებს საქსტანდარტის გაუქმება დიად არ დასწყვეტთ გულს. **"ეს უწყება კარგა ხნის წინათ იყო დასახური, რადგან ფულის აღების მეტს არაფერს აკეთებდა. ავტოსადგურის შესამოწმებლად მოსული "საქსტანდარტის" წარმომადგენელი შემოწმების ხარჯებსაც სადგურის მეპატრონეს ახდევინებდა,"** – აცხადებს გადამზიდავთა ლიგის პრეზიდენტი ავთანდილ ენუქიძე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფირმების მეპატრონეები ლიცენზიის აღებაზე უკვე უარს აცხადებენ.

პრეზიდენტის განცხადების შემდეგ, ავტოსადგურებზე მომუშავე ექიმები და ექთნებიც უფუნქციოდ დარჩნენ, რადგან მძღოლები სამედიცინო ბარათების აღებითაც აღარ იწუხებენ თავს. **"პრეზიდენტმა რომ თქვა, სამედიცინო შემოწმება გავაუქმოთო, ასეც იქნება და ტყუილად რატომღა ვიხადოთ ფული?"** – აცხადებენ მძღოლები.

ერთადერთი, რასაც არსებული საქალაქთაშორისო გადამზიდავი ფირმები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, საგზაო საკონტროლო ბარათის გაუქმებაა. ერთი ბარათი, რომელსაც ფირმები ტრანსპორტის ადმინისტრაციიდან იღებენ, 25 თეთრი ღირს. თუმცა, წინააღმდეგობის მიზეზი მხოლოდ ბარათის ფასის სიმცირე როდია. **"ერთი შეხედვით, სატრანსპორტო გადამზიდავი ფირმების მფლობელებს სსბ-ს გაუქმება უნდა გვაწყობდეს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს სატრანსპორტო ბიზნესს დაახრჩობს. ყველა მოინდომებს მგზავრების გადაყვანას, სრული ქაოსი და უკანონობა იქნება. საბიუჯეტო შემოსავალიც საგრძნობლად შემცირდება. დანომრილი საგზაო საკონტროლო ბარათები საუკეთესო საშუალებაა ფირმის შემოსავლების გასაკონტროლებლად. მისი გაუქმების შემდეგ კი კონტროლის მექანიზმი მოისპობა და ვისაც რამდენი უნდა, იმდენს ჩაიდებს ჯიბეში,"** – აცხადებს გადამზიდავთა ლიგის პრეზიდენტი.

გადამზიდავთა ლიგა პრეზიდენტისთვის წერილის გაგზავნასა და საკუთარი წინადადებების შეთავაზებას აპირებს. **"შეიქმნას კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული კომისია და საერთაშორისო გადაზიდვებზე მაინც გასცეს ნებართვები,"** – ითხოვენ ლიგის წევრები.

როგორც ეკომონიკის სამინისტროში განგვიცხადეს, ამ საკითხებზე ჯერ კიდევ მუშაობენ. **"ჯერ მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ ლიცენზირება-სერტიფიცირების სისტემა მნიშვნელოვნად უნდა გამარტივდეს, თუმცა, კონკრეტულ პასუხს იმაზე, რომელი უწყება და ლიცენზია დარჩება ან გაუქმდება, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გაგცემთ,"** – აცხადებენ სამინისტროში.

# საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია გულორდავას სასამართლოში იბარებს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციამ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს ღია წერილით მიმართა. ღია წერილში კოალიციის წარმომადგენლები ბესიკ გულორდავასაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - მას სასამართლოში იხმობენ.*



საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავყრილობა ბესიკ გულორდავას წინააღმდეგ.

აღნიშნული კოალიცია ოთხ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. ესენი არიან: "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრი", "დედათა და ბავშთა დაცვის ლიგა", "მოძრაობა ქუთაისისათვის" და საზოგადოებრივი მონიტორინგისა და სამოქალაქო ინტერესების დაცვის ცენტრი "არგუსი".

ორიოდე კვირის წინ, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის წარმომადგენლებმა მერის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ გაილაშქრეს, გულორდავამ მათ ხელისუფლების შანტაჟში დასდო ბრალი. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, ასევე, მიუთითებდა, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს გარკვეული ძალები პოლიტიკური და კომერციული მიზნებისთვის იყენებდნენ.

**"შანტაჟი არის სერიოზული ბრალდება, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით. ჩემი ორგანიზაცია ახორციელებს ისეთ პროექტს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებში ჯდება. ეს არის განათლების რეფორმის ხელშემწყობი საკოორდინაციო-საკონსულტაციო ცენტრების დაფუძნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ასეთ დროს ბესიკ გულორდავა ცრუ ბრალდებებით ლახავს ჩვენს რეპუტაციას,"** - აცხადებს "დედათა და ბავშვთა დაცვის ლიგის" თავმჯდომარე მანანა მანაგაძე.

"დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიორგი მუქერია მერის მოვალეობის შემსრულებლის არალეგიტიმურობასა და კორუფციულ გარიგებებში გულორდავას მონაწილეობაზე საუბრობს. მერის მოვალეობის შემსრულებლის არალეგიტიმურობის საკითხის დადასტურებას მუქერია ჯერ კიდევ გია გიორგაძის მმართველობის დროიდან ცდილობდა. გასულ წელს მან სარჩელით ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიმართა და ქუთაისის საკრებულოს რამდენიმე დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მათ შორის გახლდათ გია გიორგაძის ქუთაისის პირველ ვიცე-მერად დანიშვნის დადგენილება, რომლითაც გიორგაძე მერის მოვალების შემრულებელი გახდა. მუქერია კანონდარღვევით დანიშნული თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც ასაჩივრებდა სასამართლოში. ამ გადაწყვეტილებებს შორის გახლავთ შიდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების გაძვირება და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება.

გიორგი მუქერიას სასარჩელო განცხადება წარმოებაში არც საოლქო სასამართლომ მიიღო და არც ქუთაისის საქალაქომ. ამის შემდეგ მოსარჩელემ უზენაეს სასამართლოს მიმართა. 2005 წლის 30 მარტს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მუქერიას სარჩელი ქუთაისის თვითმმართველობის მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ექვემდებარება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს განჩინების აღსრულებას რატომღაც არ ჩქარობენ. იმ შემთხვევაში, თუ მუქერიას სარჩელს სასამართლო დააკმაყოფილებს, არალეგიტიმური მერის მოვალეობის შემრსულებლის გია გიორგაძის ყველა განკარგულება უკანონოდ გამოცხადდება, მათ შორის ბესიკ გულორდავას პირველ ვიცე-მერად დანიშვნაც.

გიორგი მუქერია ბესიკ გულორდავას ტენდერში გამარჯვებულ ფირმებთან კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს.

**"ეს არის სისულელე. მუქერია არის კლანურ-მაფიოზური ძალების რუპორი. ამ ორგანიზაციების პირით სწორედ ეს ძალები ღაღადებენ. მათ ეშინიათ, რომ გარკვეულ სფეროებზე კონტროლს დაკარგავენ,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიცია ბოდიშის მოსახდელად ერთკვირიან ვადას აძლევს, თუმცა ბესიკ გულორდავა ვადას არ ელოდება და კატეგორიულად ამბობს, რომ ბოდიშის მოხდას არ აპირებს. გულორდავას მხრიდან პატივისა და ღირსების შელახვის მოტივით კოალიციის წარმომადგენლები სარჩელს სასამართლოში უახლოეს მომავალში შეიტანენ.

# დავა უსინათლოთა კავშირში

თამარ დვალი

*უკვე ექვსი წელიწადია, რაც უსინათლოთა კავშირის წევრთა ნაწილი სამართლის ძიებაშია.ისინი ამჟამინდელი თავმჯდომარის რევაზ მაისურაძის თანამდებობაზე ყოფნას კანონდარღვევად მიიჩნევენ. მათი საპროტესტო აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც 1997 წლის მაისში უსინათლოთა კავშირის მეთერთმეტე ყრილობაზე თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა. კავშირის წევრები მაისურაძეს ფინანსურ მაქინაციებსა და საზოგადოების გაკოტრების მცდელობაშიც სდებენ ბრალს, რასაც მაისურაძე კატეგორიულად უარყოფს.*



უსინათლოები თავისი საჩივრით "24 საათს" ესტუმრნენ.

**"1997 წლის მაისიდან დღემდე ჩვენი საზოგადობა, ფაქტობრივად, უკანონოდ ითვლება. 1997 წლის 15 მაისს, უსინათლოთა საზოგადოების მეთერთმეტე ყრილობაზე არჩევნების ჩატარება წესდების დარღვევით მოხდა. ამავე წლის 24 ივლისს ისნის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და არჩევნები ბათილად სცნო.**

**მიუხედავად სააღსრულებლო ბიუროდან უამრავი წერილობითი გაფრთხილებისა, რომ ნებაყოფლობით აღესრულებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება, აღსრულება დროში გაიწელა და იურიდიულად სისრულეში 2003 წლის 16 სექტემბერს მოვიდა. დღეს კავშირის იურიდიული თავმჯდომარე აბესალომ ქაჯაიაა და არა მაისურაძე,"** – აცხადებენ უსინათლოთა კავშირის წევრები. მათივე თქმით, გაბათილებულმა ადმინისტრაციამ ორი ყრილობა მოიწვია და 2001 წლის 7 სექტემბერს ასევე უკანონოდ აირჩია რევაზ მაისურაძე, რომელიც დღემდე ითვლება კავშირის თავმჯდომარედ.

უსინათლოთა კავშირის წევრების თქმით, 2002 წელს მოსამართლე ნაჭყებიამ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და გააუქმა ორივე ყრილობის გადაწყვეტილებები არჩევნების ნაწილში. თუმცა, მის აღსრულება, ხელი შეუშალა ვინმე მეცხოვრიშვილის სარჩელმა. **"რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების დარღვევით, 2002 წლის 6 სექტემბერს საოლქო სასამართლოში სარჩელი შეაქვს მაისურაძის წარმომადგენელს, ვინმე დავით მეცხოვრიშვილს. საოლქო სასამართლომ მიიღო წარმოებაში უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და 2002 წლის 17 დეკემბერს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა",** – აცხადებს უსინათლოთა კავშირის წევრი ანზორ მღვდელაძე. უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ანზორ მღვდელაძე ამ გადაწყვეტილებებს უკანონოდ მიიჩნევს. მისივე თქმით, რევაზ მაისურაძე სწორედ ამ განჩინებებს იშველიებს, როდესაც თანამდებობას ედავებიან. მღვდელაძის აზრით, მაისურაძე ვერც კავშირის ხელმძღვანელობას ახერხებს. **"მაისურაძემ ხუთმილიონიანი ქონება ჩაიბარა და დღეს გამოშიგნულია მთელი წარმოებები. ჩვენ მეწარმეები ვიყავით, დღეს კი 4700 უსინათლო გარეთ არის და მათხოვრობს. ხაზინიდან 2 მილიონ 800 ათასი ლარია გამოტანილი, თუმცა ჩვენამდე ერთი თეთრიც არ მოსულა. დაზგები ჯართის ფასად გაიყიდა. ვინც კანონიერებას ითხოვს, ოფისში არ უშვებენ. ფონიჭალაში ახალი შენობა დაანგრიეს და ახლა ყიდიან. მაისურაძეს უნდა, რომ კავშირი ლიკვიდაციამდე მიიყვანოს, ეს კი ხდება იმისთვის, რომ გაფლანგული ფული, აღარავინ მოითხოვოს",** - აცხადებს მღვდელაძე.

უსინათლოთა კავშირის წევრების ბრალდებებს რევაზ მაისურაძე კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ იგი სრული კანონის დაცვით გახდა ამ კავშირის თავმჯდომარე: **"მე 2001 წლის 7 სექტემბერს ამირჩიეს და მაშინდელი ყრილობა უკვე კანონიერად ითვლებოდა. ამ ხალხს პრეტენზია აქვს 1997 წლის 15 მაისის ყრილობასთან. რატომღაც მიიჩნევენ, რომ მას შემდეგ ჩატარებული ყველა ყრილობა უკანონოა, სინამდვილეში ასე არ არის. დაშვებული შეცდომა 5 აგვისტოს გამოსწორდა."**

იგი ფინანსურ დარღვევებსაც უარყოფს. **"ჩემ დროს არაფერი განიავებულა. 2002 წელს შემოსული იყო პროკურატურა, ანტიკორუფციული სამსახური, თუმცა დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. ეს ხალხი მედავება, თითქოს 648 დანადგარი ირანში გავყიდე, თუმცა შემოწმების შედეგად, ეს არ დადასტურდა. გასულ წელს ფინანსურმა პოლიციამ, სასამართლო რევიზიამ და კონტროლის პალატამ შეგვამოწმა, მაგრამ დარღვევები ვერც მათ აღმოაჩინეს. ჩემს ინტერესებშიც შედის, რომ სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარემ.

# ბავშვები ამ ქვეყნისთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდნენ

*იმ 158 ქვეყნის ჩამონათვალში, რომელშიც გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ბავშვთა უფლებების დაცვას ცდილობს, საქართველოც წერია. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთი "ვალის" მოხდის შემდეგ, მეორე - 2006-2010 წლებში განსახორციელებელი პროგრამაც შეიმუშავეს.*

თამარ მაისურაძე

მართალია, "იუნისეფის" წარმომადგენლებმა იოდდეფიციტთან წარმატებული ბრძოლაც მოიწონა და ბავშვთა დაცვის სპეციალური სამთავრობო კომიტეტის ჩამოყალიბება და დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებაც წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს, თუმცა არც იმის აღნიშვნა დავიწყებიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა დაცვა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. **"საქართველოში უამრავი ბავშვია, რომლებიც სიღარიბესა და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ, რომლებიც ოჯახებში ვერ იზრდებიან და საზოგადოებისგან გარიყულები არიან. ეს ბავშვები უკეთეს ცხოვრებას იმსახურებენ,"** – თბილისში ყოფნისას მიმართა საქართველოს მთავრობის წევრებს "იუნისეფის" გენერალურმა დირექტორმა მარია კალივისმა.

სწორედ ამიტომ, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში კიდევ ერთი, მისი წინამორბედისგან სახეცვლილი პროგრამის განხორციელებას გეგმავს, რომლის ფარგლებშიც საწყის ეტაპზე 10 მილიონი დოლარის ოდენობის სამუშაოები ჩატარდება. თუმცა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს თანხა, პროგრამების განხორციელების პარალელურად, შესაძლოა, გაიზარდოს კიდეც. ვინაიდან "იუნისეფის" წარმომადგენლები ბავშვთა იმუნიზაციის საკითხით და საქართველოს მოსახლეობის იოდიზირებული მარილის მიღებით კმაყოფილები არიან, მომავალ პროგრამაში პრიორიტეტად სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები დაისახება: ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლა და განვითარება; ბავშვთა დაცვა; ბავშვთა უფლებათა პოპულარიზაცია და სოციალური მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ თითოეული პროგრამა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც განხორციელდება. გარდა ამისა, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზების დადგენასაც გეგმავს და იმის გარკვევასაც შეეცდება, თუ რატომ ხვდებიან ის ბავშვები ქუჩაში, რომლებსაც სახლში მშობლები ჰყავთ. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები თვლიან, რომ სიღატაკე ამ პრობლემის ერთ-ერთი მიზეზია და არა ერთადერთი.

**"ბავშვები ამ ქვეყნისთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდნენ,"** – გვირჩევენ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხში 60 წლიანი პრაქტიკის მქონე ორგანიზაციის წევრები და, მუდამ ბავშვების სიყვარულით თავმომწონეებს, ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების უწყვეტობას გვპირდებიან, რადგან პროგრამების უწყვეტი მუშაობა ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სიღატაკის დასაძლევად აუცილებელია.

## მოკლედ

### 9 მაისმა გადმოიწია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის გამო, ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში 9 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე იმართება.

800-მდე ომის ვეტერანს ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ 50-50 ლარი უკვე გადასცა. დღეს რაიონის გამგეობაში საზეიმო ღონისძიება გაიმართება. მოგვიანებით კი გამგეობა ვეტერანებისთვის მიღებას რესტორანში გამართავს.

ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ფულად დახმარებებს თბილისში მცხოვრები 3000-მდე ომის ვეტერანი მიიღებს. **ინტერ-პრესი**

### ლეიბორისტების "ფანტაზია და მარჯვე ხელები"

აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით, ქართველი "ლეიბორისტები", საპროტესტო აქციის ორგანიზების გარდა, თბილისის ქუჩებში საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო პლაკატების გაკვრასაც გეგმავენ.

"ძირს სადამ სააკაშვილის დიქტატურა!" - ასეთია "ლეიბორისტების" პლაკატის ლოზუნგი, რომლის პრეზენტაცია გუშინ თავად შრომის პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მოაწყო.

"ლეიბორისტული პარტიის" «შემოქმედებითი ჯგუფის» მიერ შექმნილ პლაკატს შალვა ნათელაშვილი "სააკაშვილის მმართველობის პორტრეტს" უწოდებს. შავ-თეთრ ფერებში შესრულებულ პლაკატზე აღბეჭდილია, თუ როგორ აძევებს ქვეყნიდან "იმედგაცრუებული" ქართველი ხალხი სამხედრო ფორმაში გამოწყობილ, ავტომატმომარჯვებულ მიხეილ სააკაშვილს და მის თანაგუნდელებს.

"ლეიბორისტები" პლაკატების გაკვრას თბილისის ყველა ცენტრალურ გამზირსა და ქუჩაზე გეგმავენ. **ინტერ-პრესი**

### ბურჯანაძე, უბრალოდ, გამორჩათ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, გუშინ 16.00 საათისთვის ბათუმში გაფრინდა.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბათუმში გამგზავრების წინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, იგი ბათუმში, აჭარის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებზე მიწვეული არ ყოფილა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ იგი გამორჩათ, მაგრამ არ ჰგონია, რომ ეს წინასწარი განზრახვით მოხდა. ამასთანავე, ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ "ეს გასამართლებელი საბუთი და მოტივი მაინც არ არის".

ბურჯანაძის შეფასებით, აჭარის რევოლუცია უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა მას დაჟინებულად სთხოვა, ჩასულიყო ბათუმში, რითაც პრეზიდენტმა სამართლიანობა აღადგინა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით, ბათუმში დისლოცირებული მე-12 რუსული ბაზის სამხედრო მოსამსახურეთა გონიოს პოლიგონზე დაგეგმილი სწავლებები ერთი დღით შეწყდა.

შეთანხმებას სამხედრო სწავლებების ერთი დღით შეწყვეტის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ რუსული ბაზის ხელმძღვანელობასთან მიაღწია. სხვადასხვა მონაცემებით, ბათუმში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე დღეისათვის რუსეთის 2500 სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. ბაზის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, 28 აპრილს დაწყებული ათდღიანი სწავლებები გეგმიურია. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბუშის ვიზიტი ონლაინ რეჟიმში

პირველი გვერდიდან

როგორც შტაბში აცხადებენ, ბუშის დასახვედრად, თბილისში ბოლო მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

თავისუფლების მოედანზე ასფალტის საფარის დაგება და მერიის შენობის წინ სცენის დამონტაჟება გუშინ დასრულდა. სცენა თეთრად შეიღებება. აღნიშნული სცენიდან ჯორჯ ბუში ქართველ ხალხს მიესალმება და ორივე ქვეყნის ჰიმნი შესრულდება.

უცხოელი და ქართველი აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მედიაცენტრი უკვე გაიხსნა. მედიაცენტრში საკოორდინაციო შტაბმა 500-მდე ტელე-რადიო და პრესის ჟურნალისტისთვის სამუშაო პირობები უკვე შექმნა.

საქართველოს პარლამენტში, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტები ძირითად შეხვედრებს გამართავენ, "ვარდების რევოლუციის" ამსახველი ფოტომასალა გამოიფინება.

პარლამენტის შენობაში დღეიდან, 11 მაისამდე, აპარატის თანამშრომლებსაც აღარ შეუშვებენ.

დედაქალაქის ძველ უბანში – აბანოთუბანში, პრეზიდენტ ბუშის პატივსაცემად გრანდიოზული კონცერტი გაიმართება.

# ვიზიტის წინ

**აპირებთ თუ არა დაესწროთ 10 მაისს თავისუფლების მოედანზე დაგეგმილ ღონისძიებას?**

**ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:**

თავისუფლების მოედანზე მისვლას აუცილებლად ვაპირებ. მეტიც, პლაკატების გამოტანასაც ვგეგმავთ. მისი შინაარსი, ძირითადად, აშშ-ს მხარდაჭერა და რამდენიმე მოთხოვნა იქნება. კერძოდ, არასოდეს იხმაროს ამერიკამ უკანონო ტერმინი „სამხრეთ ოსეთი", ასევე საქართველო განიხილოს, როგორც საიმედო მოკავშირე და არა როგორც მხოლოდ დასახლებული ტერიტორია.

**ირინა სარიშვილი, სახალხო დაცვის ლიგის თავმჯდომარე:**

თავისუფლების მოედანზე მისვლას არ ვაპირებ. მირჩევნია, ბუშის გამოსვლას ტელევიზიით ვუყურო. ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ საპროტესტო აქციას შევუერთდე, რომელიც იმავე დღეს იგეგმება.

**გიორგი კერვალიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე.**

10 მაისს თავისუფლების მოედანზე წასვლას არ ვაპირებ. თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრას ველოდებით. 18 აპრილს წერილი გავაგზავნეთ სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც საუბარია საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე და გამოხატულია პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი. გუშინ აშშ-ს ელჩისაგან საპასუხო წერილი მივიღეთ. მაილსი აღნიშნავს, რომ თუ ვიზიტის ფარგლებში აშშ პრეზიდენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეხვდება, იგი შეეცდება, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელობაც იყოს.

**აკაკი ასათიანი, ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი:**

ბუშის და სააკაშვილის საყურებლად დილის 9 საათზე იქ რა მიმიყვანს. მით უმეტეს, დაახლოებით ვიცი, რასაც იტყვის ამერიკის პრეზიდენტი - რომ საქართველო კარგი ქვეყანაა და მადლობას გადაგვიხდის პარტნიორობისათვის. მადონას კონცერტი რომ იყოს, ნამდვილად მივიდოდი თავისუფლების მოედანზე.

*მედია-ნიუსი*

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4



გიორგობიდან გიორგობამდე

წამყვანები: ქეთევან კორძახია, გაგა გობრონიძე
სტუმარი: გიორგი ცოცანიძე, დიალექტოლოგი და მწერალი

„ბარაქა დაგვიდევენ, ნახნავსა, ნათესსა, ნათიბსა, ნამკალსა, ნაწველსა, ნადღევებსა, მშვიდობას გვაქმევ და მშვიდობას გვახმარე"

# მოსკოვის პოზიცია ძველ კალაპოტს დაუბრუნდა

პირველი გვერდიდან

სალომე ზურაბიშვილი და სერგეი ლავროვი 25 აპრილს სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ რუსეთი საკუთარი ბაზების გაყვანას ბათუმიდან და ახალქალაქიდან 2005 წელს დაიწყებდა და ამ პროცესს 2008 წლის 1 იანვრისთვის დაასრულებდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუშინ დილასვე, შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ჟურნალისტებს საერთოდ არ შეხვდებოდა.

ლავროვმა კომენტარი წინასწარ, მოლაპარაკებათა დაწყებამდე გააკეთა: **"ჩვენ აქტიურად ვცდილობთ, წინ წავიწიოთ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენი პრეზიდენტების დავალებების შესაბამისად უნდა გადაწყდეს."**

სალომე ზურაბიშვილის ინფორმაციით, დღეს სერგეი ლავროვის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა იგეგმება. ამის გამო, ქართველი მინისტრი არ გამორიცხავს, რომ მოსკოვი საკუთარ პოზიციას ამ შეხვედრიდან ერთ კვირაში გაახმოვანებს. შესაძლოა, მოლაპარაკებები კვლავ განახლდეს, - იმედოვნებს იგი, თუმცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კატეგორიულია და აცხადებს, რომ რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით იგი "ვაჭრობას არ აპირებს."

**"ეს არის ჩვენი ტერიტორია... გვინდა, რომ სამხედრო ბაზები ცივილიზებული გზით გავიდნენ,"** – განაცხადა გუშინ სააკაშვილმა.

ამავდროულად, ევროპაში დაგეგმილი ტურნეს წინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ევროპელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხის რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დროს განხილვა სთხოვა.

**"რაც შეეხება ბაზებს, როგორც მე ვიცი, რუსეთის მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომ თავიანთ ბაზებს გაიყვანენ. ეს, რა თქმა უნდა, ის საკითხია, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა მოგვარდეს,"** - იტყობინებოდა გუშინ Associated Press-ი ბუშის სიტყვებზე დაყრდნობით.

მოსკოვში გამგზავრებამდე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი აცხადებდა, რომ 2007 წლის ბოლოსთვის რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ 2008 წლიდან საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ციკლი დგება და ბაზების თემა წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ელემენტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს. ამჟამად შექმნილი ვითარება კი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ბაზების გაყვანის საკითხი შესაძლოა, მართლაც, არჩევნების წინ მთავარ თემად იქცეს, რაც ხელისუფლების სასარგებლოდ არ იმუშავებს.

# აფხაზეთის ოპოზიცია მედიის ახალ საშუალებებს აფუძნებს

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აპრილის ბოლოს სოხუმში გაზეთ "ფორუმის" გამოცემა დაიწყო. გაზეთის დამფუძნებლები ახალი ოპოზიციის საკვანძო ფიგურები არიან. გაზეთის რედაქტორია ტელეოპერატორი იბრაგიმ ჭკადუა, რომელმაც სახელმწიფო ტელევიზია, იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, იანვრის არჩევნების შემდეგ დატოვა.

დამფუძნებელთა შორისაა, ასევე, პრეზიდენტ არძინბას ყოფილი თანაშემწე ასტამურ ტანია და ცნობილი მწერალი გენადი ალამია. განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხადია, მწერალ ალამიას პერსონა იქცევს. იგი მოძრაობა "აიტაირას" ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამ მოძრაობას "აფხაზურ რევოლუციაში" დიდი წვლილი მიუძღვის. უფრო მეტიც, უკანასკნელ დრომდე ალამია "აიტაირას" ერთ-ერთ ძირითად ლიდერად რჩებოდა. იყო საუბრები იმაზეც, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე "აიტაირა" ალამიას საკუთარ კანდიდატად წარადგენდა. არჩევნებზე ოპოზიციის გამარჯვებისთანავე, ალამიამ მოძრაობის რიგები მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა და აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას მიერ ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა.

"ფორუმი" მეორე ოპოზიციური გამოცემაა აფხაზეთში. აქამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ოპოზიციური გაზეთი - "ნოვი დენ". აქ დაბეჭდილი პუბლიკაციები საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევდა.

დღეს უკვე ცნობილია, რომ ოპოზიციის სამომავლო მედიაგეგმებში ახალი სატელევიზიო არხის დაარსება შედის, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიის რეალურ ალტერნატივად უნდა იქცეს.

ცოტა ხნის წინ ტელეკომპანია "ალტერნატივას" პროექტი ამოქმედდა, მაგრამ უსახსრობის გამო არხმა მაუწყებლობა მალევე შეწყვიტა.

ამდენად, დღესდღეობით, აფხაზეთის შიდაპოლიტიკური პროცესების გაშუქების მონოპოლისტად აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზია რჩება. დამოუკიდებელი არხები არსებობს, მაგრამ აქ მხოლოდ გასართობ გადაცემებს უჩვენებენ.

კერძო საუბრებში ოპოზიციის აქტივისტები აღიარებენ, რომ ამჯერად ისინი საინფორმაციო პროექტების განსახორციელებლად საჭირო თანხებს აუცილებლად მოიძიებენ. ეს რომ მართლაც ასეა, "ფორუმმა" უკვე დაამტკიცა - გაზეთი ხარისხიან ქაღალდზე იბეჭდება და ფერადი ფოტოებიც ამშვენებს. ამგვარი ფუფუნების საშუალება აფხაზეთის არც ერთ სხვა ბეჭდურ გამოცემას არა აქვს. "ფორუმი" რუსულ და აფხაზურ ენებზე გამოდის. ოპოზიციის წარმომადგენლები გაზეთის დამფინანსებლის ვინაობას საიდუმლოდ ინახავენ. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ მედიაპროექტების მფარველი აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტია. ცნობილია, ასევე, ისიც, რომ აღნიშნული მედიაროექტების საშუალებით ოპოზიცია პოლიტიკური მოძრაობა "ახაცას" პოპულარიზაციას შეეცდება. "ახაცა", თავის დროზე, რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად დაარსდა, თუმცა დღეს, ლიდერების რეალური პოტენციალის წყალობით, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალად განიხილება.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# პოსტრევოლუციური აჭარა - მეწარმეების და მესამე სექტორის თვალით

პირველი გვერდიდან

გამოყოფას ითვალისწინებს, უმაღლესი საბჭოს არაერთი საკომიტეტო მოსმენისა და განხილვის მიუხედავად, დღემდე არ არის დამტკიცებული. ტატო აროშიძის თქმით, ხსენებული მუხლი, ადგილობრივი მეწარმეებისთვის შეღავათიანი სესხის გამოყოფას გულისხმობდა. **"ანუ, აჭარის ხელისუფლება მეწარმეებს ახალი ბიზნესის დასაწყებად 30-პროცენტიან თანამონაწილეობას სთავაზობს. თუმცა, ამ მუხლის მიღება რატომღაც ჭიანურდება, რაც თავისთავად რეგიონის ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. ჩნდება ეჭვი, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო ან გარკვეული კლანი ამას შეგნებულად აჭიანურებს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ტატო აროშიძემ.

მისივე ინფორმაციით, ახალ ბიუჯეტში ჯანდაცვის პროგრამების უკვე დამტკიცებული დიდი ნაწილი, აჭარის ჯანდაცვის ახალი მინისტრის მოთხოვნით, შეჩერებულია. ის ამ მუხლების გადახედვას მოითხოვს.

თუმცა, იგივე არასამთავრობო სექტორი აღიარებს, რომ გასულ წლებთან შედარებით, აჭარის პოსტაბაშიძისეული ბიუჯეტი აშკარად პროგრესულია. მკაცრი ადმინისტრაციის პირობებში გაიზარდა როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო შემოსავლები.

## პრივატიზაციის დაუხვეწავი მექანიზმები და ტენდერის საეჭვო შედეგები

ბიუჯეტის შემდეგ, მესამე სექტორის კრიტიკის მორიგი საგანი რეგიონში მიმდინარე თუ უკვე ჩატარებული პრივატიზაციის პროცესია. მათი თქმით, აჭარაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაუხვეწავი მექანიზმების გამო, მისი შედეგით მხოლოდ ერთეულებმა იხეირეს და მცირე მეწარმეების უმრავლესობა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დღემდე აჭარაში ასამდე წვრილი თუ მსხვილი ობიექტის განსახელმწიფოებრიობა მოხდა. აქედან დიდი ნაწილი არასაცხოვრებელ ფართებზე მოდიოდა, რომლის ძალიან დიდი ნაწილი აუქციონის წესით გაიყიდა. **"ძველმა კოლექტივმა, რომლებსაც წლების განმავლობაში ეს ობიექტები დროებით სარგებლობაში ჰქონდათ გადაცემული, მათი შეძენა ვერ შეძლეს, აუქციონის პრინციპიდან გამომდინარე, რამაც წვრილი მეწარმეების სამართლიანი უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია,"** - გვითხრა ნარგიზ ფალავანდიშვილმა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა.

სწორედ ამ ფონზე, რეგიონში პრივატიზაციის პროცესის დროებით შეჩერებას, არასამთავრობოებთან ერთად, აჭარის ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელიც ითხოვდა.

ბოლო დროს რეგიონში მიმდინარე ტენდერები და მისი შედეგები მეწარმეთა ერთი ნაწილის სერიოზული უკმაყოფილების საგანი გახდა. მათი მტკიცებით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში აჭარაში ტენდერების უმრავლესობა დარღვევებითა და მხოლოდ გარკვეული პირების სასარგებლოდ ჩატარდა. ერთ-ერთი უკანასკნელი, რამაც მეწარმეებს შორის ბევრი კითხვის ნიშანი და ეჭვები გამოიწვია, ბათუმის სანაპირო ზოლის დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ჩატარებული ტენდერი იყო.

კიდევ ერთი ტენდერი, რომელიც მეწარმეებს აღელვებთ, ბათუმის სანაპირო ზოლზე მდებარე გასართობი ტიპის ობიექტებზეა გამოცხადებული. ბათუმის მერიაში წინადადებების მიღება ამჯერადაც მიმდინარეობს. **"ეს პროცესი დროში იწელება, რაც მეწარმეებს საკმაოდ დიდ ტვირთად აწევთ. ამ ობიექტების დღევანდელი მფლობელები გაურკვეველ ვითარებაში არიან, მათ ჯერ კიდევ არ იციან, განახორციელონ ინვესტიციები თუ არა, რადგან მათ არ იციან, როგორი იქნება ტენდერის შედეგები. არადა, ზაფხულამდე ბევრი დრო აღარ დარჩა,"** - გვითხრა ტატო აროშიძემ.

## პოსტაბაშიძისეული ბიზნესგარემო

აბაშიძის პერიოდში არსებული ბიუროკრატია და მეწარმეებისთვის სხვადასხვა ხელისშემშლელი ბარიერები, პოსტაბაშიძისეულ აჭარაში, ერთი შეხედვით, შემცირდა. ექსპორტ-იმპორტიორებს სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საზღვრის გადასალახად კვირაობით ლოდინი აღარ უწევთ. იკლო იმ დოკუმენტაციებისა და ცნობების რაოდენობამაც, რასაც ერთი წლის წინათ ტვირთის გასატარებლად მებაჟეები ითხოვდნენ.

თუმცა, ყოველივე ამის ფონზე, ადგილობრივ მეწარმეებს შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების მიღება ერთი-ორად გაურთულდათ. თუკი უწინ გარკვეული სახის ლიცენზიის მიღება აჭარის ტერიტორიაზეც იყო შესაძლებელი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის თქმით, დღეს ლიცენზირება მთლიანად ცენტრალიზებული გახდა. **"ახლა უკვე სულ უმნიშვნელო ნებართვის მიღებაზეც კი თბილისში გვიწევს ჩამოსვლა. მერე იქიდან ჩამოტანილ დოკუმენტაციას აქ წარვადგენთ შესაბამის სამსახურებში და მათგან პასუხს მხოლოდ რამდენიმეთვიანი ლოდინის შემდეგ ვღებულობთ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ერთ-ერთი მცირე საამქროს მფლობელმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

კიდევ რამდენიმე აჭარელი მეწარმე, რომელთანაც გასაუბრება მოვახერხეთ, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციის გამკაცრებამ და ახალმა საგადასახადო კოდექსმა მათ ბიზნესს სერიოზული დარტყმა მიაყენა. **"გადასახადები კი შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მოსაკრებლების რაოდენობა, რამაც მეწარმეებს საგრძნობი შვება ვერ მოუტანა. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის გარკვეული პუნქტები ეტაპობრივად შესულიყო ძალაში,"** - ასეთია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის რეკომენდაცია.

## არასამთავრობოების გაზრდილი თავისუფლება

ერთ-ერთი პოზიტიური მოვლენა, რაც პოსტრევოლუციურ აჭარაში ადვილად შესამჩნევია და რასაც ადგილობრივი ხელისუფლების ოპოზიციონერებიც აღიარებენ, ეს რეგიონში მესამე სექტორის მომრავლება და მათი თავისუფლების ხარისხის ზრდაა. **"სანამ ჩვენ, არასამთავრობოებმა არ გამოვაფხიზლეთ ადგილობრივი ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, რომ აქ მესამე სექტორთან მიმართებაში აბაშიძისდროინდელი პროცესები მიმდინარეობდა,"** - იხსენებს ტატო აროშიძე.

თუმცა, ამა თუ იმ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, არასამათავრობო ორგანიზაციების შეფასებით, აჭარაში თითქმის არ შეცვლილა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რამდენიმე წერილი, სხვადასხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, ბათუმის მერიამ უპასუხოდ დატოვა. სამ მათგანზე პასუხისგან კი, კონფიდენციალობის მოტივით, უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა სასამართლომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი დააკმაყოფილა და მერია მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზეც დაავალდებულა, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე არ შესრულებულა.

ასევე უშედეგოდ დასრულდა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის არაერთი მოთხოვნა, რომელიც "აჭარის განვითარების ფონდის" შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოთხოვას ეხებოდა. ეს ფონდი აჭარაში რევოლუციის შემდეგ მალევე დაფუძნდა, სადაც სხვადასხვა "უცნობი" ქველმოქმედების მიერ გაღებული "მოწყალება" და აჭარის ყოფილი ჩინოვნიკების მიერ თავისუფლების სანაცვლოდ გადახდილი ლარები შედიოდა. ტატო აროშიძე ამბობს, რომ ამ ფონდის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია დახურული და ჩაკეტილია. **"რამდენი ლარი შევიდა ამ ფონდში, რაში დაიხარჯა ის და ვინ რამდენი შეწირა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, ჩვენ გარდა, ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიის საშუალება ითხოვდა, თუმცა ამაოდ. გვეუბნებოდნენ, რომ ეს კონფიდენციალურია. მაშინ, როცა მას აჭარის განვითარების ფონდი ჰქვია, ჩვენ ვერ ვნახეთ ვინმე ან რაიმე პროექტი, რომლისთვისაც ამ ფონდს ხელი შეეწყოს. რომელ განვითარებაზეა საუბარი?"** - გვითხრა ნარგიზა ფალავანდიშვილმა.

და კიდევ ერთი, რაც მესამე სექტორს აღელვებს – ეს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობაა. მათი თქმით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე მათ, უკვე კარგა ხანია, აღარ შეხვედრია და აღარც მათი აზრი უკითხავს. **"ლევან ვარშალომიძე სულ ახალი დანიშნული იყო, როცა პირველად შეგვხვდა. მაშინ დაგვპირდა, რომ ხშირად შეგვხვდებოდა, რეგიონის აქტუალურ პრობლემებზე ვისაუბრებდით და მათი გადაჭრის გზებსაც ერთად მოვძებნიდით. ის იყო და ის, იმის შემდეგ აღარ შეგვხვედრია, არ ვიცი, დაავიწყდა თუ, უბრალოდ, ჩვენთან შესახვედრად აღარ სცალია. არ მინდა დავიჯერო, რომ მას ჩვენი აზრი აღარ აინტერესებს,"** - ამბობს ტატო აროშიძე.

## განახლებული „03" ივნისიდან მოგვემსახურება

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის ჯანდაცვის საქალაქო სამსახური ექთნის 90 ვაკანსიაზე კონკურსს აცხადებს. ეს 90 ექთანი სასწრაფო სამედიცინო დახმარება "03"-ს სჭირდება. განცხადებების მიღება 11 მაისიდან დაიწყება და 26 მაისს დასრულდება. კონკურსი ორეტაპიანი იქნება. პირველ ეტაპზე კონკურსში მონაწილის ფიზიკურ მონაცემებს შეამოწმებენ, ანუ ექთანს კიბეებზე არბენა და სწრაფად სიარული უნდა შეეძლოს.

პრეზიდენტის ინიციატივამ, სასწრაფო სამედიცინო დახმარება მთელი საქართველოს მასშტაბით მთლიანად უფასო გამხდარიყო, სასწრაფო დახმარების რეორგანიზაცია მოითხოვა. ამჯერად რეორგანიზაცია, კადრების შემცირების ნაცვლად, გაზრდას ნიშნავს. როგორც ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია გვარწმუნებს, "03"-ში მომუშავე არც ერთი ადამიანი არ გათავისუფლდება. პირიქით, დახმარების ბრიგადებს 90 ექთანი დაემატება. ექიმები კი ლიცენზირებულ და უმცროს ექიმებად დაიყოფიან. 03"-ში მომუშავე ულიზენციო ექიმები უმცროს ექიმებად გადაინაცვლებენ, ლიცენზირებულები კი ექიმებად დარჩებიან. როგორც გოროზია აცხადებს, ექიმების დამატება, ჯერჯერობით, სჭირო არ იქნება. თუმცა, თუკი ბრიგადების რაოდენობა კიდევ გაიზრდება, კონკურსი ექიმებზეც გამოცხადდება. ამჟამად მომუშავე ექიმები კი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გადამზადების 20-დღიან კურსს გაივლიან.

ასე რომ, სასწრაფო დახმარების ბრიგადებში, კონკურსის დასრულების შემდეგ, ორი ექიმის ნაცვლად ერთი ექიმი და ერთიც უმცროსი ექიმი ან ექთანი იქნებიან. მაისის ბოლოს ბრიგადების რაოდენობაც გაიზრდება. როგორც "03"-ის ხელმძღვანელი დავით გველესიანი აცხადებს, ბოლო დროს სასწრაფო დახმარების გამოძახებათა რაოდენობა საგრძნობლად, 300-დან 450-მდე გაიზარდა. ამის გამო, ბრიგადების რიცხვიც მოიმატებს. ამჟამად "03"-ში 40 ბრიგადა მუშაობს, 26 მაისის შემდეგ 50 ბრიგადა იმუშავებს და 14 ახალი მანქანა დაემატება, ძველ მანქანებს კი შეარემონტებენ.

განახლებული "03"-ის თანამშრომლებს ხელფასიც გაეზრდებათ. ექიმის ანაზღაურება 400 ლარი გახდება, უმცროსი ექიმის – 200 ლარი, ექთნისა და მძღოლის კი – 150 ლარი.

## სტუდენტებმა რუსული ჩექმა ზღვაში მოისროლეს

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სამშვიდობო შენაერთების გაყვანის მოთხოვნით, ქართველი სტუდენტები აქციების მოწყობას განაგრძობენ.

სტუდენტური აქციების ციკლი გუშინ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში – ბათუმში, ენგურის ხიდთან, ქუთაისში, ტყვიავის საგუშაგოსთან და თბილისში, რუსეთის საელჩოსთან გაიმართა. წინა აქციების მსგავსად, სტუდენტებმა პროტესტის გამოსახატად კვლავაც სიმბოლურ ჟესტებს მიმართეს.

ბათუმში სტუდენტებმა გემის მაკეტზე დამაგრებული რუსული ჩექმები ზღვაში ჩაუშვეს. "დროა, რუსი სამხედროები საქართველოდან გავიდნენ როგორც ხმელეთით, ასევე ზღვით," - აცხადებდნენ ისინი. აქციები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბილისისა და რეგიონული ფილიალების სტუდენტთა ორგანიზებით იმართება. **ინტერ-პრესი**

## პარლამენტი ბინის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა "დაშორიშორებას" აპირებს

გიორგი ასანიშვილი

*ილფსა და პეტროვს მიაჩნდათ, რომ კაცობრიობა ორი დაპირისპირებული ნაწილისგან - მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეებისგან შედგება. თუ ამ "მოსაზრების" პერიფრაზირებას მოვახდენთ და მას დღევანდელ თბილისს მივუსადაგებთ, მივიღებთ, რომ საქართველოს დედაქალაქი ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად განწყობილ ბინის მესაკუთრეებად და მოსარგებლეებად არის დაყოფილი.*

ე. წ "ოტსტუპნიკების" საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც 2001 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ პრობლემა ცალმხრივად, მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით განსაჯა და თავისი ვერდიქტით, ათიათასობით მოსარგებლე უსახლკაროდ, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ დატოვა.

ამის შედეგად, ორ მტრულად განწყობილ "კლასს" შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა და ცალკეულ შემთხვევებში, საქმე მკვლელობებამდეც კი მივიდა. გართულებული მდგომარეობის განმუხტვა ხელისუფლებამ მხოლოდ პრობლემის დაკონსერვებით მოახერხა - სასამართლოებში ბინათსარგებლობასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა შეჩერდა. თუმცა, მაშინვე ცხადი იყო, რომ მორატორიუმი დროებით ღონისძიებას წარმოადგენდა და სტატუს-კვოს მუდმივად შენარჩუნება ვერ მოხერხდებოდა. დღეს კი, როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო, საკანონმდებლო ორგანომ "კონსერვის" გახსნაზე იფიქროს და მობინადრეთა გორდიას კვანძი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას.

თუმცა, დეპუტატებს ისიც კარგად ესმით, რომ პრობლემა უმტკივნეულოდ მაინც ვერ მოგვარდება და პარლამენტმა როგორი კანონიც არ უნდა მიიღოს, ორივე მოდავე მხარე უკმაყოფილო დარჩება. ამიტომ, შექმნილ სიტუაციაში "ქირურგიული ჩარევა" პარლამენტარებს დასაშვებად მიაჩნიათ.



*იურიდიულ კომიტეტს სიტუაციაში "ქირურგიული ჩარევა" დასაშვებად მიაჩნია.*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მომზადებული კანონპროექტის განხილვას დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და, ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ საკომიტეტო მოსმენამ ცხარე კამათი და გადაჭარბებული ვნებათაღელვა გამოიწვია. ვინაიდან გარკვეულ მომენტში ემოციებმა აპოგეას მიაღწია, სხდომის წამყვანი ნინო კალანდაძე იძულებული გახდა, დამსწრე საზოგადოება დარბაზიდან დაეთხოვა და კომიტეტს გადაწყვეტილება დახურულ კარს მიღმა მიეღო.

კანონპროექტის მიხედვით, ბინით მოსარგებლეების მრავალათასიანი "კასტა" სამ კატეგორიად იყოფა.

პირველში შედიან ის მოსარგებლეები, ვისაც მესაკუთრეებთან დადებული აქვთ ფორმადაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულება (ანუ, დოკუმენტი ნოტარიუსის მიერ არ არის დამოწმებული). ამ შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია, სათანადო კომპენსაციის (საბაზრო ღირებულების 80 პროცენტი) გადახდის შემდეგ, მოსარგებლეს ბინის დატოვება მოსთხოვოს.

მეორე კატეგორიას ის მოსარგებლეები შეადგენენ, ვისაც მესაკუთრესთან დადებული აქვს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის შესახებ (ისინი არიან ე.წ "ოტსტუპნიკები"). ბინის მესაკუთრეს მათი გასახლების ნება მას შემდეგ მიეცემა, როდესაც ბინის საბაზრო ღირებულების 60 პროცენტს გადაუხდის.

მესამე კატეგორიაში ის მოსარგებლეები შედიან, ვინც საცხოვრებელ სადგომში ადმინისტრაციული წესით არის შესახლებული (მაგალითად, ორდერით). ამ ტიპის მოსარგებლის გასახლება მესაკუთრეს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან აუნაზღაურდება საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 100 პროცენტი.

კანონპროექტში მოცემულია, აგრეთვე, ბინის ქირის მესაკუთრისათვის გადახდის ვალდებულებაც. აღნიშნული ქირის ოდენობა კი კვადრატულ მეტრზე ერთი ლარით განისაზღვრება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი დისკრიმინაციულია და მოსარგებლეთა უფლებებს ლახავს. შოთა მალაშხიას თქმით, **"ამ ხალხმა, თავის დროზე, ბინები რეალურ ფასად იყიდა და ამიტომ, მესაკუთრეებმა მათ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 100 პროცენტი უნდა გადაუხადონ."**

დეპუტატს ასევე გაუმართლებლად მიაჩნია მოსარგებლეთა მიერ მესაკუთრეთათვის ბინის ქირის გადახდაც.

მესაკუთრეებს "ნამუსზე აგდებს" პარლამენტარი ნაზი არონია.

**"საკუთარ გულში ჩაიხედეთ - თუ ფული არ აგილიათ და მოსარგებლეთათვის ბინები არ მიგიყიდიათ, მაშინ გამოდის, რომ უცხო ადამიანები საკუთარ სახლებში წლების განმავლობაში უანგაროდ შემოისახლეთ?"** - გაოცებით კითხულობს პარლამენტარი ქალბატონი და მოითხოვს, რომ მესაკუთრეთა თანაბრად, მოსარგებლეთა კონსტიტუციური უფლებებიც იყოს დაცული.

**"ყვავილები ხომ არ იყვნენ "ოტსტუპნიკები", თქვენს სახლებში თავისით რომ ამოსულიყვნენ?"** - მესაკუთრეთა უანგარობაში კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორს ნიკა გვარამიასაც ეპარება ეჭვი.

რაც შეეხება მესაკუთრეთა პოზიციას, იგი საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს ეფუძნება. **"რეპრესიებს იწყებთ? ბარემ აქვე დაგვაპატიმრეთ და დაგვხვრიტეთ,"** - იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრების "პრომოსარგებლურ" განწყობას აპროტესტებენ მესაკუთრეები და პარლამენტარების მოსყიდვაზე საუბრობენ. საპასუხოდ, მოსარგებლეები აცხადებენ, რომ, თავის დროზე, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები სწორედ მესაკუთრეებმა მოისყიდეს, დეპუტატები კი მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ცდილობენ...

სამსაათიანი განხილვის შემდეგ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით მოიწონა, ოღონდ, მასში ერთი კორექტივი მაინც შეიტანა: ზემოთ ნახსენები პირველი კატეგორიის მოსარგებლეთათვის საკომპენსაციო თანხა 80-დან 90 პროცენტამდე, ხოლო მეორე კატეგორიისთვის - 60-დან 80 პროცენტამდე გაზარდა.



## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე

| N | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს შესრულების ადგილი |
|---|---|---|
| 1 | სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო | ქ. ზუგდიდი, სტალინის ქ.N5 |
| 2 | სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო | მარნეული, გოგებაშვილის ქ.N6 |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 23-24 მაისს, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გმზ. N30, ოთახი N62ა ტელ. 758313.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

. 1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ლიცენზია

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ**;**

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. შესაბამისობის სერთიფიკატი;

5. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

6. ლიცენზია.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი N62ა, **2005 წლის 25-26 მაისს 1800 საათამდე.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-82-91, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 96.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შEმოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.





## პროფესიული განვითარების შესაძლებლობები BP საქართველო

BP, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**

- საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
- ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
- BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
- შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**

- ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
- მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და სალი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
- საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**

წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*

- მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.

*სასურველია:*

- საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
- აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

*განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.*

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**

# ტონი ბლერის „ისტორიული" გამარჯვება

*დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ 5 მაისის საყოველთაო არჩევნებში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა – მათ პარლამენტის თემთა პალატაში ზედიზედ მესამედ ეყოლებათ უმრავლესობა. ასეთ წარმატებას აქამდე მხოლოდ კონსერვატორებმა მიაღწიეს მარგარეტ ტეტჩერის ხელმძღვანელობით. თუმცა, ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში, წინასთან შედარებით, ლეიბორისტთა წარმომადგენლობა შესამჩნევად შემცირდა.*

ნიკა თარაშვილი

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ლეიბორისტული პარტიის ლიდერს ტონი ბლერს გუშინ ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირება დაავალა. ამის შესახებ ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს დედოფალთან აუდიენციის შემდეგ განუცხადა.

გუშინ გამოქვეყნებული მონაცემებით, 645 მაჟორიტარული ოლქიდან (ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში მხოლოდ მაჟორიტარული წესით ირჩევენ წევრებს) **ლეიბორისტებმა 355-ში გაიმარჯვეს**. მეორე ადგილზე გავიდა **კონსერვატიული პარტია – 197 მანდატით**, ხოლო მესამეზე – **ლიბერალ-დემოკრატები 62 მანდატით**. დანარჩენი პარტიების წარმომადგენლებმა სულ 18 ოლქში მიაღწიეს წარმატებას; ღამით კიდევ 13 ოლქის შედეგები იყო გასარკვევი.

სავარაუდოდ, მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობას ტონი ბლერი უახლოეს მომავალში დაასახელებს. ბრიტანელი ჟურნალისტების და პოლიტიკოსების ვარაუდით, კაბინეტი, ძირითადად, იგივე სახეებით იქნება დაკომპლექტებული. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ხაზინის მთავარი მდივანი პოლ ბოუტენგი ახალ მთავრობაში აღარ იმუშავებს. გარდა ამისა, განიხილება მინისტრთა კაბინეტიდან თავდაცვის მინისტრის ჯეფრი ჰუნის და გარემოს დაცვის მინისტრის მარგარეტ ბეკეტის წასვლის შესაძლებლობაც. არ არის გამორიცხული, კაბინეტის შემადგენლობაში დაბრუნდეს 2004 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადამდგარი დევიდ ბლანკეტი. ანალიტიკოსები, ასევე, ვარაუდობენ, რომ მთავრობის შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა პოლიტიკოსი გამოჩნდება.

ლეიბორისტთა "ისტორიული" გამარჯვების შემდეგ ტონი ბლერმა პირობა დადო, რომ ეცდება იმიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; განაგრძობს რეფორმებს განათლების სფეროში და დაიცავს წესრიგს ბრიტანეთის ქალაქებში. ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, იგი პარლამენტში ცვლილებათა "რადიკალური პროგრამის" შეტანას აპირებს, რომელიც განათლების, ჯანდაცვისა და სამართალდაცვის სფეროებში რეფორმებს ითვალისწინებს.

გუშინ დედოფალთან აუდიენციის შემდეგ (ტრადიციული შეხვედრა, სადაც ბრიტანეთის მონარქი არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას მთავრობის ჩამოყალიბებას სთხოვს) დაუნინგ სტრიტზე ჟურნალისტებთან გამოსვლისას ბლერმა განაცხადა: "რვა წლის წინ, როცა აქ ვიდექი, გაცილებით ახალგაზრდა, მაგრამ ნაკლებად გამოცდილი ვიყავი". ახლა კი ბრიტანეთის 52 წლის პრემიერ-მინისტრი ხაზს უსვამს, რომ "ნათელი წარმოდგენა აქვს, თუ რას მოელის ბრიტანელი ხალხი ლეიბორისტთა მმართველობის მესამე ვადისგან".

მართალია, ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამჟამინდელმა არჩევნებმა პარტიის ბევრი ცნობილი სახე გამოთიშა აქტიურ პოლიტიკას. ყოფილმა ლეიბორისტმა პარლამენტარებმა 46 ოლქში წააგეს არჩევნები კონკურენტებთან - წინა არჩევნებთან შედარებით, მხოლოდ ერთ ოლქში მოიპოვეს უპირატესობა.

რადიკალური ცვლილება იქნება მთავარ კონკურენტ კონსერვატორებშიც. გუშინ, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ტორები დამარცხდნენ, პარტიის ლიდერმა მაიკლ ჰოვარდმა გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. მისი თქმით, იგი მოიქცევა ისე, "როგორც მისი პარტიისთვის – საბოლოო ჯამში კი, მთლიანად ქვეყნისთვის იქნება უკეთესი". თუმცა, იქვე დასძინა, რომ თანამდებობაზე მანამდე დარჩება, ვიდრე პარტია ახალი ლიდერის არჩევის წესს არ შეცვლის.



*ტონი ბლერის პარტიამ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა.*

მიუხედავად გამარჯვებისა, უნდა ითქვას, რომ ლეიბორისტებს უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ. შეგახსენებთ, წინა არჩევნებისას მათ 165-ხმიან უპირატესობას მიაღწიეს (410 მანდატი). ასე რომ, ტონი ბლერისთვის დღევანდელი გამარჯვება საკმაოდ სერიოზულად დაფიქრების საგანი უნდა გახდეს. "მე ვიცი, რომ ერაყის საკითხმა ქვეყანა გახლიჩა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ახლა ჩვენ შევძლებთ გაერთიანებას, რათა ბრიტანეთის უკეთესი მომავალი უზრუნველვყოთ," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ. ბლერის თქმით, ის ელექტორატის შემცირების მიზეზებს კარგად ათვითცნობიერებს და მომავალში მზადაა, გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები.

*P.S. მთავრობის დაკომპლექტების გამო გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიზეზით, გუშინ ტონი ბლერმა მოსკოვში 9 მაისს ჩასვლაზე უარი განაცხადა.*

# კასპიის საბადოების დაცვა ამერიკელთა ინტერესებშია

აშშ-ს, როგორც მსოფლიო ჰეგემონს, საერთაშორისო ასპარეზზე დემოკრატიული ფასეულობების გავრცელების კვალდაკვალ, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სხვებზე მეტად გარჯა და სოლიდური თანხების გაღება უწევს. აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამერიკის თავდაცვის პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე რიჩარდ პერლი აცხადებს, რომ თეთრ სახლს აქვს არაერთი პროექტი, რომლებიც საზღვრებისა და ზღვის ზოლის ტერორისტებისგან დაცვას შეეხება. ერთ-ერთი ასეთთაგანი ახალი ამერიკული პროექტია, რომლის სახელწოდებაც "კასპიის დაცვაა". აღნიშნული პროექტი კასპიის ნავთობსაბადოების უსაფრთხოებისათვის 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

"კასპიის დაცვის" პროექტის შესახებ აქტიურად მიმდინარეობს საუბარი ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენლებს შორის. ამ თემას არანაკლები მონდომებით ამერიკული მედიის წამყვანი საშუალებებიც აშუქებენ. საქმე კასპიისპირა სახელმწიფოების, პირველ რიგში კი აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებას ეხება.

**"ამ პროექტის განხორციელება აუცილებელია, რათა კასპიისპირა სახელმწიფოებს მოსკოვიდან საფრთხე არ დაემუქროთ. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ სახელმწიფოებს, რომლებსაც აშშ-სთან კარგი ურთიერთობა აქვთ,"** - აცხადებს რიჩარდ პერლი. ამერიკის თავდაცვის პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე აუცილებელ პირობად მიიჩნევს აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან ერთად თავდაცვითი ინსტიტუტების შექმნას.

გაცხოველებული საუბრებისა და განსჯის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ "კასპიის დაცვის" პროექტის განხორციელება უკვე გადაწყვეტილია. ამას ყაზახეთში აშშ-ს ელჩის ჯონ ორდუეის განცხადებაც ცხადყოფს. ამერიკელი დიპლომატის თქმით, აშშ-ს მთავრობა ყაზახეთის შეიარაღებული ძალებისათვის დახმარების შესაძლებლობას განიხილავს, რათა ამ სახელმწიფომ თავისი კასპიისპირა საზღვრის უსაფრთხოება გააძლიეროს.

**"ეს დახმარება მოიცავს ტექნიკური, მათ შორის, რადიოელექტრონული დაზვერვისა და თვალთვალის საშუალებების გადაცემას; მათ განთავსებას კასპიის ზღვის სანაპიროზე. გარდა ამისა, ყაზახეთსა და აზერბაიჯანს კადრების მომზადებაშიც დავეხმარებით,"** - განაცხადა ალმა-ატაში ჯონ ორდუეიმ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ს ინტერესების მასშტაბურობას მოწმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტში მონაწილეობის მიღებისათვის ამერიკული კომპანიის "ექსონმობილი"-ს მიერ გამოთქმული მზაობაც. როგორც კომპანიის გენერალური მენეჯერი დევიდ უილისი აცხადებს, ეს არის ერთადერთი მარშრუტი, რომლითაც თენგიზის საბადოებიდან ნავთობის ტრანსპორტირებაა შესაძლებელი.

**"მართალია, კომპანია კონსორციუმში არ მონაწილეობს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მისი აქციონერები ჩვენც გავხდეთ. თუმცა, ეს ჩვენს კომპანიაზე კი არა, თავად კონსორციუმის მონაწილეებზეა დამოკიდებული,"** - აღნიშნა დევიდ უილისმა.

# დაპირებაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება

## მარეკ ბელკას მთავრობიდან არ უშვებენ

ლეშეკ მილერი პრემიერ-მინისტრის პოსტზე მარეკ ბელკამ გასული წლის მაისში შეცვალა, თანაც - იმ პირობით, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში შეასრულებდა პრემიერის ფუნქციებს. ერთი წელი უკვე გავიდა და მარეკ ბელკამ გადადგომის შესახებ განცხადება პრეზიდენტ ალექსანდრ კვასნევსკის პრეზიდენტის სასახლეში შეხვედრისას გადასცა. თუმცა, როგორც პარასკევს საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გაირკვა, პოლონეთის პრეზიდენტს სამთავრობო ცვლილებები, ჯერჯერობით, არ სჭირდება.

ალექსანდრ კვასნევსკის განცხადებით, რიგი მიზეზების გამო, დღეს პოლონეთისთვის სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა აუცილებელია. **"არჩევნებამდე დიდი დრო აღარაა დარჩენილი, ამდენად ახალი მთავრობის ფორმირება, საპროცედურო მიზეზების გამო, შესაძლოა, ძალიან გართულდეს,"** - განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა.

პოლონეთის ახალი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება შემოდგომაზე მოხდება არჩევნების შემდეგ. მანამდე კი მარეკ ბელკას კვლავ მოუწევს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელება.

ხუთშაბათს სეიმმა (პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატა) მხარი არ დაუჭირა პარლამენტის დათხოვნას. კენჭისყრის სხვა შედეგებით დასრულების შემთხვევაში, საჭირო გახდებოდა ფორსმაჟორულ რეჟიმში – 6 კვირაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვა. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების 3 პროექტი კენჭისყრაზე სხვადასხვა ფრაქციამ გაიტანა - უფრო კონკრეტულად კი, დეპუტატებისთვის საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა პოლონეთის მემარჯვენე-ცენტრისტულ ოპოზიციურ პარტიებს სურდათ. თუმცა, როგორც შედეგმა ცხადყო, ამჟამინდელი პარლამენტის დათხოვნის მოსურნეთა ვერც ერთმა პროექტმა ვერ შეძლო საჭირო 307 ხმის მოგროვება.

საპარლამენტო არჩევნები, ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, 25 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე ერთ-ერთ კვირა დღეს უნდა ჩატარდეს. კვასნევსკის თქმით, ზუსტი თარიღი 21 ივლისს გახდება ცნობილი.

რაც შეეხება სტაბილური პოლიტიკური გარემოს შენარჩუნებას, ქვეყნის პრეზიდენტი სამთავრობო ვაკუუმის თავიდან აცილების ერთ-ერთ მიზეზად ვარშავაში 16-17 მაისს ევროპის საბჭოს სამიტს ასახელებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ინდონეზია.** კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა ინდონეზიაში, რომელიც გასული წლის დეკემბრის შემდეგ სტიქიური უბედურების ზონადაა გამოცხადებული. ამჯერად ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მომხდარმა მიწისძვრის სიმძლავრემ, რიხტერის სკალით, 5.1 ბალი შეადგინა. მიწისქვეშა ბიძგები ახალ გვინეასა და კუნძულ სერამზეც დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში მიწისძვრის სიმძლავრე, რიხტერის სკალით, 4.5-დან 4.8 ბალამდე მერყეობდა. რაც შეეხება ეპიცენტრს, იგი სერამის ზღვის სიღრმეში 54 კმ-ზე მდებარეობდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ინდოეთი.** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯამისა და ქაშმირის შტატებში უშიშროების ძალების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას განადგურდა 11 მუსლიმი ტერორისტი. პროპაკისტანური სეპარატისტების წინააღმდეგობის დასაძლევად ინდოელ ჯარისკაცებს 2 დღე-ღამე დასჭირდათ. 48-საათიანი ბრძოლისას 6 ბოევიკი ქალაქ სრინაგარში იქნა ლიკვიდირებული, ხოლო 5 ტერორისტი ზემოაღნიშნული შტატების სხვა რაიონებში გაანადგურეს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მექსიკა.** შტატ ოახაკაში ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეულ წყალდიდობას 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 3 000-ზე მეტი - უსახლკაროდ დარჩა. სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ჰექტორ გონსალესის თქმით, შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში ადიდებული წყლის სიმაღლემ 3 მეტრი შეადგინა. დაიტბორა, დაახლოებით, 700 საცხოვრებელი სახლი. სტიქიით დაზარალებულ რეგიონში, სატრანსპორტო მიმოსვლის შეფერხების გარდა, პრობლემები ელექტრომომარაგების თვალსაზრისითაც გაჩნდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის პირველადი დახმარების შეგროვება დაიწყო.

მექსიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი მასშტაბის სტიქიური უბედურება ქვეყანაში 1993 წლის შემდეგ არ მომხდარა. **24 საათი**

■ ■ ■

**აღმოსავლეთი აზია.** იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნობუტაკა მატიმურამ სამხრეთ კორეელ კოლეგასთან მოლაპარაკებების შემდეგ საჯარო განცხადება გააკეთა. მატიმურას თქმით, იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიშირო კოიძუმის სამხრეთ კორეაში ვიზიტისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია. იაპონიის პრემიერი სამხრეთ კორეის პრეზიდენტ ნო მუ ხენს ივნისის ბოლოს შეხვდება.

**"ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები, დაძაბული პერიოდის გადალახვის შემდეგ, დადებითი მიმართულებით ვითარდება. ამაში ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა,"** - განაცხადა მატიმურამ. მისი თქმით, სამხრეთ კორეელ კოლეგასთან შეხვედრისას განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელთაც ორმხრივი ურთიერთობები მოიცავს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა საკამათო ტერიტორია - ტოკტოს არქიპელაგი იყო. აღნიშნული ტერიტორია სამხრეთ კორეის კონტროლქვეშაა, მაგრამ მასზე პრეტენზიას ტოკიოც აცხადებს. **"ამ პრობლემის გადაჭრის პრინციპულად განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, ერთ რამეზე შევთანხმდით - საჭიროა მშვიდი და გაწონასწორებული გადაწყვეტილებების მიღება,"** - აღნიშნა მინისტრმა. **რიანოვოსტი**


# შპს "საქართველოს რკინიგზა"

## მის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:

საჯართე რელსი სულ 3762,953 ტ. მათ შორის

1. საჯართე რელსი 1739.49 ტ. მათ შორის:

ა) ხაშურის სალიანდაგო დისტანცია (ხაშურის რ-ნი) 1724.99 ტ (რელსის ტიპი: რ-65 822.21 ტ, რ-50 507.44 ტ, რ-43 395.349 ტ);

ბ) გორის შპალსაჟღენთი ქარხანა (ქ. გორი) 14.5 ტ (რელსის ტიპი რ-50 14.5 ტ).

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 217436,25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). ბეს თანხა 119373 ლარი, ბიჯი 8697,45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

2. საჯართე რელსი 1002.249 ტ. მათ შორის:

ა) სამტრედიის სალიანდაგო დისტანცია (სამტრედიის რ-ნი) 381.769 ტ (რელსის ტიპი: რ-65 130.314 ტ, რ-50 251.455 ტ);

ბ) ზესტაფონის სალიანდაგო დისტანცია (ზესტაფონის რ-ნი) 253.9 ტ (რელსის ტიპი: რ-65 170.900 ტ, რ-70 70 ტ, რ-43 13 ტ);

გ) ბათუმის სალიანდაგო დისტანცია (ბათუმის რ-ნი) 149.77 ტ (რელსის ტიპი რ-65 149 ტ);

დ) სალიანდაგო სამანქანო სადგური (ბროწეულა) 216.81 ტ (რელსის ტიპი რ-65 216.81 ტ).

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 125281,12 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). "ბე"-ს თანხა 68780 ლარი, ბიჯი 5011,25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

3. საჯართე რელსი 1021.214 ტ. მათ შორის:

ა) სალიანდაგო სამანქანო სადგური №1 (ველი) 454.284 (რელსის ტიპი: რ-65 158.04 ტ, რ-50 236.764 ტ, რ-43 45.88 ტ, მსუბუქი 13.6 ტ);

ბ) ბორჯომის სალიანდაგო დისტანცია (ბორჯომის რ-ნი) 177.76 ტ (რელსის ტიპი: რ-65 78.8 ტ,რ-50 50.4 ტ, რ-43 29.56 ტ, მსუბუქი 19 ტ);

გ) ლანჩხუთის სალიანდაგო დისტანცია (ლანჩხუთის რ-ნი) 389.17 ტ (რელსის ტიპი: რ-65 389.17 ტ).

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 127651.75 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). "ბე"-ს თანხა 70081 ლარი, ბიჯი 5106,07 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ჩველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას "მონაწილეზე".
- შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე (ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა №3407003205 ბანკის კოდი №220101757 საიდენტიფიკაციო კოდი №202886010) "ბეს" და "მონაწილის ბილეთის" ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.
- იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მონაწილე იღებს "მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამდენიმე ქონების ცალკეული სახეობის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს "ბე" თითოეულ ქონებაზე, შეიძინოს "მონაწილის ბილეთი" თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია. თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენსა 100 (ასი) ლარს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა №3407003205 ბანკის კოდი №220101757 საიდენტიფიკაციო კოდი №202886010

აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 8 ივნისს 12 საათზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადი მიიღება აუქციონის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი №15, შპს "საქართველოს რკინიგზა" მე-4 სართული, ტ. 56 53 18.

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში ქონების გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მყიდველს" "ბე" არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

"მონაწილეს" "ბეს" დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

ჯართის გატანასთან და აწონვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს "საქართველოს რკინიგზაში"

ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი №15, მე-IV სართულზე ტ. 56 53 18, 56 53 19, 56 33 48.

*მოკლედ*

## ისევ ენერგოდეფიციტი

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო, შაბათს ელექტრომომარაგება ქვეყნის მასშტაბით შეზღუდვებით განხორციელდება. როგორც "პრაიმ-ნიუსს" საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში განუცხადეს, "იმერეთზე" სარემონტო სამუშაოები ხაზის მფლობელი კომპანიის, "საქრუსენერგოს" ინიციატივით ტარდება. "ელექტროსისტემის" ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, შაბათს, 9.00-დან 18.00 საათამდე თბილისის ელექტრომომარაგება 50 მეგავატით შეიზღუდება, ხოლო რეგიონების – 60-70 მეგავატით. ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთით" ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა ხდება.

*პრაიმ-ნიუსი*

## ეროვნულმა ბანკმა საკომისიო გადასახდელი შეამცირა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე ბანკებისთვის მომსახურების საკომისიო გადასახდელი შეამცირა. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე მონაწილეობისთვის კომერციულ ბანკებს გარიგების ოდენობიდან წლიური 1 პროცენტის ნაცვლად, 0,1 პროცენტის გადახდა მოუწევთ. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, შემცირებული საპროცენტო განაკვეთი ამ ბაზრის მომხიბვლელობას გაზრდის და კომერციულ ბანკების მხრიდან საკრედიტო რესურსების გაიაფებას შეუწყობს ხელს.

*მედიანიუსი*

## მოიჭრება ახალი 50 თეთრიანები

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 50 თეთრის ნომინალის ახალი დიზაინის მონეტის დამზადების საკითხი განიხილა. საბჭომ მიიჩნია, რომ ახალ მონეტაზე სახელმწიფო გერბი უნდა გამოისახოს. 50 თეთრის ნომინალის მონეტების გაყალბების ფაქტებიდან გამომდინარე, მისი დამზადებისას საჭიროა ახალი ლითონის გამოყენება, რის შედეგადაც 50 თეთრის ნომინალის სრულიად ახალი მონეტა მოიჭრება.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ახალი მონეტა ბრუნვაში 2005 წლის ბოლომდე შევა.

*მედია-ნიუსი*

## პირველი კვარტლის ანგარიში

საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესმა ორგანომ - საბჭომ, ბანკის მიერ წლის პირველ კვარტალში ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის და ეროვნული ფულადი ერთეულის სიმყარის, სავალუტო რეზერვების და კაპიტალის ბაზრების მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგები განიხილა. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ დამატებითი შემოსავლებისა და ქვეყანაში ჭარბი ფულადი მასის მომატების ფაქტორი მომდევნო თვეებშიც გაგრძელდება, რაც ეროვნული ბანკისგან, ლარის სიმყარისა და ინფლაციის შეჩერების მიზნით, მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას მოითხოვს.

*მედია-ნიუსი*

## საერთაშორისო სიმპოზიუმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორდღიანი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსნა.

მასში 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

სიმპოზიუმის გახსნას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაესწრო. მისი განცხადებით, ასეთ სიმპოზიუმებს შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სიმპოზიუმზე შავი ზღვის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

*მედია-ნიუსი*

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

**თბილისი, 2005 წლის 7 მაისი**

**განცხადება**

სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო აცხადებს, რომ 2005 წლის 16 ივნისს განსაზღვრულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2005 წლის 17 მაისი , 17 სთ-ის მდგომარეობით.

აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად, საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

**სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო**

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

**თბილისი, 2005 წლის 7 მაისი**

**სს "საქართველოს ბანკი" 2004 წლის აუდიტირებულ ფინანსურ შედეგებს აქვეყნებს, წლიური აქციონერთა შეხვედრის თარიღს ადგენს და უცხოურ საფონდო ბირჟის ლინტინგში ბანკის აქციების განთავსების შესაძლებლობის შესახებ იუწყება**

დღეს საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს "საქართველოს ბანკმა" (GSE:GEB) საერთაშორისო ფინანსური სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული და "ერნსტ ენდ იანგის" (Ernst & Young) მიერ აუდიტირებული 2004 წლის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები გამოაქვეყნა. აუდიტირებული, კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უნდა დამტკიცდეს წლიური აქციონერთა კრების მიერ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: www.bog.ge/ir

წლიური აქციონერთა კრება გაიმართება 2005 წლის 16 ივნისს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სარეგისტრაციო თარიღად გამოცხადდა 2005 წლის 17 მაისი. წლიური აქციონერთა კრების დღის წესრიგი გამოქვეყნდება შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

გარდა ამისა, ბანკმა განაცხადა, რომ სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი აწარმოებენ ბანკის აქციების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განთავსების ალტერნატივების ანალიზს. "მოხარული ვართ ამ ეტაპისთვის განხროციელებული რესტრუქტურიზაციის შედეგებით და იმით, რომ აღნიშნული ცვლილებები ინვესტორებმა უყურადღებოდ არ დატოვეს. მართალია ყველაზე რთული ნაწილი უკვე გადავლახეთ, წინ ბევრი სამუშაო გველის რათა მივაღწიოთ ამ წლისთვის დაგეგმილი ზრდის პარამეტრებს. ამასთანავე, ჩვენს საერთაშორისო ინვესტორებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო უნდა შევუქმნათ. გასული ოთხი წლის მანძილზე საქართველოს საფონდო ბირჟა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და იგი კვლავ გადამწყვეტ როლს ითამაშებს დაახლოებით 1,800 ადგილობრივი აქციონერისთვის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში. ბანკის უცხოელი აქციონერების (ფიზიკური პირები თუ ინსტიტუციონალური აქციონერები) რიცხვმა მკვეთრად იმატა და ისინი მთლიანად ბანკის კაპიტალის დაახლოებით 60%-ს ფლობენ. შესაბამისად დგება დრო იმისათვის რომ ბანკის აქციები უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ უცხოელ ინვესტორთათვის. მომდევნო თვეების განმავლობაში ბანკის მენეჯმენტი და სამეთვალყურეო საბჭო განიხილავენ უცხოური ლისტინგის შესაძლო ალტერნატივებს, მაგალითად, ლონდონის საფონდო ბირჟის ალტერნატიული საინვესტიციო ბაზარი, ისევე როგორც ვენის, სალონიკის, მოსკოვის და სტამბულის საფონდო ბირჟები. ალტერნატივების განხილვა მოხდება აქციებით ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან კონსულტაციების კონტექსტში. ჩვენ ვრჩებით ერთგული ჩვენი ინოვატიური ორგანიზაციული კულტურისა და დიდი ენთუზიაზმით ველით ამ ახალი წამოწყების რეალიზაციას. იმედი გვაქვს, რომ გავხდებით პირველი ქართული კომპანია, რომელიც დაშვებული იქნება უცხოური საფონდო ბირჟის ლისტინგში. ჩვენი ღრმა რწმენით ჩვენი აქციების ლიკვიდობა და აქციების თავისუფალი მიმოქცევა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ჩვენს სავაჭრო ჯერადებზე და მიუახლოვდება საერთაშორისო ლისტინგში დაშვებული კომპანიების ჯერადებს", აღნიშნა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, ***ლადო გურგენიძემ.***

**"საქართველოს ბანკის" შესახებ:**

ს.ს. "საქართველოს ბანკი" ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. მისი საბაზრო წილი სესხებში დაახლოებით 18.6%, ხოლო დეპოზიტებში 23.7%-ს შეადგენს. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო (კომპანია "გალტ & თაგგარტ სიქიურითის" მეშვეობით, რომელშიც "საქართველოს ბანკს" მნიშვნელოვანი სააქციო წილი აქვს) საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია "ბისიაი" ბაზრის 12%-იან წილს ფლობს. 2005 წლის 30 აპრილის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 351.4 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 57.7 მილიონ ლარს გაუტოლდა.

დამატებითი ინფორმაციისთვისი დაუკავშირდით:
***ლადო გურგენიძეს,*** გენერალური დირექტორი +995 32 444 103 lgurgenidze@bog.ge
***ირაკლი გილაურს,*** გენერალური დირექტორის მოადგილე +995 32 444 111, igilauri@bog.ge
***მაკა ეკიზაშვილს,*** ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი +995 32 444 256, ir@bog.ge

# აჭარის ერთი წელი

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა აჭარის მთავრობის ერთწლიანი მუშაობით, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ბევრია გასაკეთებელი სიღარიბის დასაძლევად, დასაჩქარებელია მაღალმთიანი აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში ოჯახების ჩასახლების პროცესიც.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ბობოყვათი-ჩაქვის და ჩაქვი-ბათუმის საავტომობილო გზების დასასრულებლად დამატებით 2 მლნ. ლარი გამოყო.

გუშინვე, პრეზიდენტმა აჭარის პარლამენტის თავმჯდომარეს მიხეილ მახარაძეს **"აჭარის სინდისი და ინტელექტი"** უწოდა და საკანონმდებლო ორგანოს მთავრობასთან თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ხოლო მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნულ განცხადებებს გააკეთებდა, აჭარაში აბაშიძის მიერ აფეთქებული და ერთ წელიწადში აღდგენილი ხიდის გახსნა არანაკლებ საზეიმო ვითარებაში განხორციელდა. ამ ფაქტს, ცხადია, ძალზე დიდი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა.




ინტერ-პრესის ფოტო

*ჩოლოქის ხიდის აღდგენა 1 მლნ 400 ათასი ლარი დაჯდა.*

ჩოლოქის ხიდის აღდგენა 1 მლნ 400 ათასი ლარი დაჯდა. ასლან აბაშიძის ბრძანებით, გასული წლის 2 მაისს აფეთქებულ ჩოლოქის ხიდზე სარემონტო სამუშაოები სამშენებლო კომპანია "ზიმომ" განახორციელა. სამშენებლო კომპანიის გენერალური დირექტორის ზურაბ კიკნაძის განცხადებით, ხიდის აღდგენა 1 მლნ 400 ათასი ლარი დაჯდა და ამ თანხაში ნაგულისხმევია როგორც აფეთქებული ხიდის დემონტაჟი, ასევე დროებითი ხიდისა და ძირითადი - კაპიტალური ხიდის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოები 4 თვეში დასრულდა. კომპანიამ ნოემბერში ჩატარებული ტენდერი მოიგო და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთა შეასრულა.

ჩოლოქის ხიდი 68 მეტრი სიგრძისაა, მისი სავალი ნაწილის სიგანე 11,5 მეტრია, ტროტუარები ორივე მხარეს 1,5 მეტრს შეადგენს. კიკნაძის განცხადებით, ძირითადი ხიდის გახსნის შემდეგ, 10 დღეში დაგეგმილია დროებითი ხიდის დაშლა, რომელსაც სტიქიით დაზარალებულ ერთ-ერთ რაიონში გადაიტანენ.

# სომეხი ბანკირები თბილისში

ეროვნული ბანკის საინფორმაციო სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გუშინ სომხეთის ბანკირთა დელეგაცია მიიღო, რომელიც თბილისში საქართველოს ბანკირთა ასოციაციის მოწვევით იმყოფება.

შეხვედრაზე სომეხი ბანკირები განსაკუთრებით თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის საქმიანობით დაინტერესდნენ. ეროვნული ბანკი, 12 კომერციულ ბანკთან ერთად, ამ ბირჟის დამფუძნებელია. საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსს სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში საბირჟო სესიაზე ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე აყალიბებს. მსგავსი სტრუქტურა სომხეთში ამჟამად იქმნება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ მოსალოდნელია თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვალუტით ვაჭრობაზე საკომისიო გადასახდელის 4-ჯერ შემცირება. ამ ეტაპზე აღნიშნული მაჩვენებელი გარიგების მოცულობის 0.1 პროცენტს შეადგენს. ბირჟაზე საკომისიო გადასახადს იხდის როგორც ვალუტის მყიდველი, ასევე გამყიდველი, რაც, ჯამში, გარიგების 0.2 პროცენტია. ეს, თავის მხრივ, საბირჟო გარიგებებში მონაწილე ბანკების ხარჯებს ზრდის. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ბანკებს შორის ბირჟის მეშვეობით სავალუტო ვაჭრობის მოცულობის ზრდას განაპირობებს.

თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დაინტერესდა სომხეთში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემით, რომელიც ამ ქვეყანაში 2004 წლიდან ხორციელდება.

საქართველოს მსგავსად, სომხეთსაც სათანადო კანონმდებლობის მომზადებასთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარება გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა "კა-ეფ-ვემ" გაუწია.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ სისტემის ამოქმედების შემდეგ სომხეთის კომერციულ ბანკებში მოსახლეობის დეპოზიტების ოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა.

*24 საათი*

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტი „პროკრედიტბანკს" ეწვია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე „პროკრედიტბანკის" ახალ ცენტრალურ ოფისს ეწვია. შეხვედრას „პროკრედიტბანკის" გენერალური დირექტორი ფილიპ ზიგვარტი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კლაურ პიტერ ცაიტინგერი და სტეფან ბოუვენი დაესწრნენ. შეხვედრაზე საქართველოში „პროკრედიტბანკის" მიერ გაწეულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ დადებითად აფასებს „პროკრედიტბანკის" საქმიანობას. მისი თქმით, ეს არის ბანკი, რომელიც თავისი პოლიტიკით ხელს უწყობს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ასევე დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

„პროკრედიტბანკის" საკრედიტო პორტფელის 95 პროცენტს სწორედ ამ სეგმეტზე გაცემული სესხები შეადგენს. ბანკის წილი მიკრო სასესხო სეგმენტზე 2004 წლის მდგომარეობით 56 პროცენტს შეადგენს. სხვა საბანკო დაწესებულებათა საერთო წილი ამავე სეგმენტზე 12 პროცენტის ტოლია, ხოლო დანარჩენი 32 პროცენტი არასაბანკო მიკროსაფინანსო დაწესებულებებზე მოდის. „პროკრედიტბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა კლაურ პიტერ ცაიტინგერმა მადლობა გადაუხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანადგომისათვის და განაცხადა, რომ ბანკი გეგმავს ერთწლიანი კორპორაციული ობლიგაციების ემისიას, რომელთა რეალიზაციაც ლარებში მოხდება.

„პროკრედიტბანკის" მიერ გაცემული სესხების 90 პროცენტამდე 10 ათას ლარზე ნაკლები ოდენობის სესხთა კატეგორიას განეკუთვნება. აღნიშნული პოლიტიკით დაახლოებით 18 ათას ფიზიკურ პირს საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა ეძლევა.

# კონტრაბანდის წინააღმდეგ - არა მხოლოდ ადმინისტრირების გამკაცრებით

ზურაბ გარაყანიძე
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*

ბოლო დღეებში საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში კვლავ ადგილი ჰქონდა ისეთი სერიოზული ეკონომიკური დანაშაულის ფაქტებს, როგორიცაა კონტრაბანდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონტრაბანდის პრობლემასთან მიმართებაში საკმაოდ აქტუალურია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან აღურიცხავი ტვირთების შემოდინებისა და გავრცელების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მოზღვავებული კონტრაბანდული საქონლის პრობლემა მხოლოდ ამ თემით არ ამოიწურება და იგი საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს, არასწორი იქნებოდა არ აგვეღნიშნა ამ რეგიონებიდან შემოსული აღურიცხავი ტვირთების მნიშვნელოვანი ოდენობა და არცთუ უმნიშვნელო წილი კონტრაბანდის საერთო მასაში. სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გაესვას, რომ ამ პრობლემის უკან დგას როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის არსებობაში თავისი სერიოზული წვლილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის არაეფექტიანობასა და მათი ცალკეული თანამშრომლების კორუმპირებულობას მიუძღვის. ამასთან, სწორი არ იქნებოდა ისეთი ობიექტური გარემოებების არაღნიშვნაც, როგორიცაა გამჭვირვალე, დაუცველი საზღვრები, უკონტროლო ტერიტორიები, უამრავი შემოვლითი გზების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც გაიოლებულია ტვირთების არალეგალური გადაადგილება. პრაქტიკულად, პოლიტიკური სეპარატიზმის საფუძვლად ეკონომიკური სეპარატიზმი გვევლინება.

სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებთან შექმნილი მდგომარეობა, კონტრაბანდის მასშტაბების თვალსაზრისით, აშკარად საშიშ ფორმებს იძენს და მან გამოკვეთილად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დივერსიის სახე შეიძლება მიიღოს. ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად მდგომარეობა, ყველა პროგნოზით, კიდევ უფრო გართულდება.

არსებობს პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა და ჩვენი აზრით, შერჩეული უნდა იქნეს სწორედ ის, რომლის რეალურად განხორციელების შესაძლებლობაც გაგვაჩნია.

პირველი: ადმინისტრაციული საზღვრის ისე ჩაკეტვა, რომ კონტრაბანდული ტვირთების, პირველ რიგში, საწვავისა და სიგარეტის შემოდინება გამოირიცხოს. თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ პრობლემის ამ გზით მოგვარებისათვის საჭიროა სამართალდაცვის უწყებების და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევა და საშუალებები, რაც როგორც დღეს, ისე უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია.

მეორე გზა: უარი უნდა ვთქვათ ყველანაირ ეკონომიკურ ურთიერთობაზე ენგურსგალმელებთან, ენგურზე გადმოსული ტვირთი უნდა დააკავოს შესაბამისმა უწყებებმა, ხოლო კონტრაბანდის საგანი კანონით დადგენილ რეჟიმში უნდა მოექცეს. აქაც შესაძლებლობა ნაკლებია, თუნდაც იმიტომ, რომ წარმოუდგენელია აღიკვეთოს გალის ტერიტორიაზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია (მდინარე ენგურზე 70-ზე მეტი გადასასვლელი ფონის არსებობის პირობებში) ზუგდიდში თუ სხვა ქალაქებში. იგივე შეიძლება ითქვას ცხინვალის რეგიონზეც. პრაქტიკულად, კონტრაბანდისტად გვევლინება ათეულობით ათასი ჩვენი მოქალაქე, დაწყებული მძღოლიდან - ბაზრობის მოვაჭრით დამთავრებული, ადმინისტრირების გამკაცრება კი სოციალურ პროტესტებს იწვევს. იქნებ, მესამე გზა ანუ ობიექტური ეკონომიკური ინტერესები გამოვიყენოთ? საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის ბოლოს სტრასბურგში გამოთქმული სამშვიდობო ინიციატივა ხომ ოლსტერის, სამხრეთ ტიროლის და სხვა მსგავსი პრობლემების გადაჭრის ეკონომიკურ ანალიზსაც გულისხმობს?

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩინეთის და ტაივანის ურთიერთობა. 2002 წლის დასაწყისში, მიუხედავად ჩინეთის მიერ დეკლარირებული "ერთი ჩინეთის" პოლიტიკისა, ორივე მიღებულ იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ამით ჩინეთს საშუალება მიეცა, თავისუფლად გამოიყენოს ტაივანის ნავსადგურები და აეროპორტები, ტაივანმა კი ჩინეთში 60 მლრდ. აშშ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა - ძირითადად, ჰონკონგის და ტაივანის კუთვნილი ქუემოუსა და მატსუს ოფშორების საშუალებით სავაჭრო, სატრანსპორტო და კომუნიკაციების სექტორებში. შედეგად, ტაივანელ ბიზნესმენთა დიდი ნაწილი უკვე ეკონომიკურადაა დამოკიდებული ჩინეთთან ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაზე. ეკონომიკურმა ინტერესებმა კი სწრაფად იჩინა თავი პოლიტიკურ დაახლოებაში. ტაივანის მმართველი დემოკრატიული პროგრესის პარტიის წევრთა ერთი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი, პოლიტიკურ ოპოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩინეთთან ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას უკვე აშკარად უჭერს მხარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე გზა, ჩვენი აზრით, შემდეგია: აფხაზეთის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ტვირთების განბაჟების ადგილად გამოვაცხადოთ ზუგდიდი, ხოლო ცხინვალიდან - გორი. მით უფრო, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების კანონიერ საფუძველს საბაჟო კოდექსის მე-2 და მე-10 მუხლები იძლევა, რომელთა მიხედვითაც სავალდებულო არ არის, ერთმანეთს ემთხვეოდეს სახელმწიფო და საბაჟო საზღვრები და ამ უკანასკნელის გადაკვეთის ადგილებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. ასეთი ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1999 წლის 5 მაისს და პრეზიდენტის N234 ბრძანებულებით - ცხინვალის რეგიონის გავლით შემოსული ტვირთების განბაჟების ადგილად გორის ტერმინალი გამოცხადდა. თუმცა, ფაქტიური სახელმწიფო საზღვარი როკის გვირაბის ჩრდილოეთ პორტალიდან ზემოთ, ორას მეტრშია (საინტერესოა, რომ მთელი გვირაბი და მისგან ჩრდილოეთით 200-მეტრიანი გზის მონაკვეთი ყოფილ კონცერნ "საქავტოგზის", ამჟამად კი მისი სამართალმემკვიდრის - საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზეა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის სახელმწიფო კომისიის მიერ). უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამი თვე ამ გადაწყვეტილებამ თავისი ეკონომიკური ეფექტი მოიტანა, რასაც წინ უძღოდა რამდენიმე უწყების ერთიანი ძალისხმევა. შედეგად, საბაჟო შემოსავალმა ყოველთვიურად 500-600 ათას ლარს მიაღწია. მაგრამ როგორც კი შესაბამისი უწყებების მხრიდან სერიოზულმა მცდელობებმა იკლო, ამ მექანიზმის ეფექტიანობაც შემცირდა. ობიექტური მიზეზი ერთია - ამ ადმინისტრაციულ ღონისძიებას არ მოჰყვა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ეკონომიკური ხასიათის მოლაპარაკებები და ყველა ეკონომიკური გარიგება ერგნეთის სტიქიური ბაზრობის დონეზე დარჩა.

ეს წინადადება ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მესამე ვარიანტს მიესადაგება. ე.ი. თუ მესამე ვარიანტს ავირჩევთ, პრობლემის მოგვარებაში ისეთი სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციაც შეიძლება ჩაერთოს, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაა. უფრო მეტიც, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების სურვილი შესაძლოა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებით ბერკეტად გამოვიყენოთ.

ამდენად, შემოთავაზებულ მესამე ვარიანტს, აფხაზეთ-სამეგრელოს და ცხინვალი-გორის ადმინისტრაციულ საზღვრებთან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს და იგი სეპარატისტულ რეგიონებში ობიექტური ეკონომიკური ინტერესების მქონე მძლავრი ცენტრისკენული ეკონომიკური ლობის წარმოქმნას გულისხმობს. ეს კი ხელისუფლების სამივე შტოს შეჯერებულ და რაც შეიძლება სწრაფ გადაწყვეტილებას მოითხოვს. დაყოვნება პრობლემას მხოლოდ გაამწვავებს.

# ეცერის სამარხში ნაპოვნი ჩონჩხები უცხოეთში გაიგზავნება

*ვის ეკუთვნის და რა ხანდაზმულობისაა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციისას სამარხში ნაპოვნი ჩონჩხები; მართლაც არის თუ არა კავშირი აღმოჩენილი ძვლების ფრაგმენტებსა და ბოლო წლების მანძილზე მომხდარ გაუხსნელ გატაცებებს შორის - ამის საბოლოოდ დადგენა-გარკვევას რომ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, ეს გუშინ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსმა ლევან სამხარაულმაც აღიარა.*



**"პირველადი მონაცემებით, ისინი სხვადასხვა პერიოდში არიან გარდაცვლილები, თუმცა გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. ჯერჯერობით არც გარდაცვლილთა სქესია გარკვეული. დაღუპულებს თავის არეში სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებათ. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ცეცხლსასროლი იარაღით არის ჭრილობები მიყენებული, თუ - რაიმე სხვა საგნით. კვლევაში უკვე ჩაერთო ანთროპოლოგთა ჯგუფი. ვინაიდან დნმ-ს ანალიზი საქართველოში არ კეთდება, ნიმუშები გამოსაკვლევად უცხოეთში გადაიგზავნება",** - აცხადებს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი. მისივე ინფორმაციით, აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნ ნეშტთა რაოდენობა ათს აჭარბებს.

ვიდრე ჩონჩხის ფრაგმენტებით ბოლო წლებში გატაცებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა იდენტიფიკაცია მოხდება, სოფელ ეცერში მცხოვრებნი სამართალდამცველთა მიერ გავრცელებულ ვერსიას ეწინააღმდეგებიან - თითქოს, აფრასიძეების საცხოვრებელი სახლის მიმდებარე გორაზე აღმოჩენილი ძვლები გატაცებული ადამიანებისაა. აფრასიძეების თანასოფლელები ირწმუნებიან, რომ ორი დღის წინ ნაპოვნი გვამების ნაშთები ძველი ნასოფლარიდან არის შემორჩენილი.

**"ადგილი, საიდანაც გვამები ამოიღეს, დადეშქელიანების ნასოფლარი იყო. ეს ტერიტორია 2-3 წლის წინ არქეოლოგებმა გათხარეს და იქიდან ხატები და სხვა ძველი ნივთებიც ამოიღეს. სწორედ იმ გათხრებისას აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. მღვდელმა ეროსი აფრასიძემ, რომელიც ახლა წალკაშია, ძვლები მოაგროვა, ერთ ადგილას ჩამარხა და, სამარხის ნიშნად, იქ ჯვარიც ჩაარჭო",** - აცხადებს რამდენიმე თვის წინ სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ევგენი აფრასიძის მეუღლე დოდო სიდიანი.

აფრასიძეების ოჯახი ფეხბურთელ კახა კალაძის ძმის გატაცებაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. პატიმრობაში მყოფი ომეხ აფრასიძის თქმით, მის სახლთან აღმოჩენილ სამარხში გატაცებულთა ცხედრები არ არის. **"ამას შესაბამისი ექსპერტიზა დაადასტურებს,"** - აცხადებს აფრასიძე. მისივე თქმით, მათი ოჯახის მოსამსახურის, ამჟამად, ასევე, პატიმრობაში მყოფი ვლადიმერ მურავიოვის ჩვენება, თითქოს სამარხში სხვადასხვა დროს გატაცებულთა ნეშტები იყო დაფლული, სიმართლეს არ შეესაბამება. **"მურავიოვის ეს ჩვენება მასზე სამართალდამცველების ზემოქმედების ნიშანია და ჩვენება მან საკუთარი ნების წინააღმდეგ მისცა",** - ასეთია ომეხ აფრასიძის კომენტარი. დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, გარდაცვლილი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტებით პიროვნების იდენტიფიკაცია ადვილად შესაძლებელია, თუ გარდაცვლილის სისხლით ნათესავები ცოცხლები არიან. **"ჩონჩხის ფრაგმენტებით პიროვნების დადგენა დნმ-ს კვლევის შედეგად არის შესაძლებელი, რითაც ძვლოვანი ასაკის დადგენა რეალური ხდება. თუმცა, სანამ დნმ-ის კვლევა მოხდება, სასურველია, ცხედრებს გაცილებით უფრო ადვილი პროცედურა - ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდეთ, რადგან ამგვარი მეთოდი გამოძიებას საშუალებას მისცემს, გამორიცხვის მეთოდით ისარგებლოს, რაც გარდაცვლილისა და ცოცხალი ადამიანის სავარაუდო ნათესაურ კავშირს დაადგენს",** - აცხადებს ნიკოლეიშვილი.

მისივე განმარტებით, საქართველოში დნმ-ის კვლევა ვერ ხერხდება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი, რთული და ძვირადღირებული ექპერტიზაა, რომელსაც მეტად კვალიფიციურ დონეზე აშშ-ში ატარებენ. რაც შეეხება ჩონჩხის ამგვარი მდგომარეობით ადამიანის გარდაცვალების თარიღის დადგენას, ამაზე ექსპერტი განმარტავს, რომ საჭიროა ძვლის მიკროსკოპული კვლევის ჩატარება, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდება რუსეთის ფედერაციაში.

*24 საათი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "თბილგაზი", ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.N18ა, 2005 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ს.ს. "თბილგაზის" კერესელიძის ქუჩიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე საშუალო წნევის 300 მმ-იანი გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად:

**დიდუბის ქუჩაზე (გაფრინდაულის ქუჩიდან ვახუშტის ქუჩის გადაკვეთის ჩათვლით) 300მმ-იანი დიამეტრის 505 მეტრი ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენის შეცვლა 315მმ-იანი დიამეტრის 450 მეტრი პოლიეთილენის მიწისქვეშა გაზსადენით და 300მმ-იანი დიამეტრის 45 მეტრი ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენით. გაზსადენის გამოცდა, შეჭრა, ჭების მოწყობა, გადამყვანებისა და მცირე დიამეტრის მილების მონტაჟი, სხვა აუცილებელი სამუშაოები.**

**კერესელიძის ქუჩიდან ელიავას ქუჩის გავლით დიდუბის ქუჩის I შესახვევამდე (გაზის ჭამდე) 300მმ-იანი დიამეტრის 250 მეტრი ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენის შეცვლა 315მმ-იანი დიამეტრის 250 მეტრი პოლიეთილენის მიწისქვეშა გაზსადენით. გაზსადენის გამოცდა, შეჭრა, ჭების მოწყობა, გადამყვანებისა და მცირე დიამეტრის მილების მონტაჟი, სხვა აუცილებელი სამუშაოები.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. თითოეული პრეტენდენტისაგან დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა მოიცავდეს შესყიდვის (შესასრულებელი სამუშაოები) ზემოხსენებულ ყველა პოზიციას. ალტერნატიული წინადადებების მიღება გათვალისწინებული არ არის.

2. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

■ დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 23 მაისიდან 31 მაისის 17.00 სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, ს.ს. "თბილგაზის" კანცელარიაში - პირველი სართული ან სატენდერო კომისიის აპარატში - მეოთხე სართული.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) შესაბამისი სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) შესაბამისი სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის:

ანალოგიური სამუშაოების ჩატარების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.4 ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

4. ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია და შესაბამისი დანართი (ჩამონათვალი) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 6 ივნისის 17 სთ.-მდე მისამართზე: ს.ს. "თბილგაზი", მიცკევიჩის ქ.N18ა, IV სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

8. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით, ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

| N | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ფასი | 0.35 |
| 2 | პრეტენდენტის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი ტექნიკური მდგომარეობა | 0.15 |
| 3 | პრეტენდენტის (ორგანიზაციის) პროფესიული გამოცდილება | 0.20 |
| 4 | სამუშაოს შესრულების ვადები | 0.20 |
| | სულ: | 1.00 |

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ოთარ შენგელია, მისამართზე: ს.ს. "თბილგაზი", თბილისი, მიცკევიჩის ქ.N18ა, IV სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ: 372159.

*ს.ს. "თბილგაზის" სატენდერო კომისია*

*მოკლედ*

## რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ბრალდება წაუყენეს

ამერიკის სასამართლომ რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ევგენი ადამოვს ბრალდება უკვე ოფიციალურად წაუყენა. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ადამოვის გადაცემის მოთხოვნით შვეიცარიას ოფიციალურად მიმართავს. აშშ-ში მას 60 წლამდე პატიმრობა და დაახლოებით 2 მილიონი დოლარის ოდენობით ჯარიმა ემუქრება. შეგახსენებთ, რომ ადამოვს და მის ამერიკელ პარტნიორს მარკ კაუშანსკის ამერიკის მთავრობის მიერ რუსული ბირთვული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების მითვისებაში ედებათ ბრალი. გამოძიების მტკიცებით, ადამოვმა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა 1993 წელს პიტსბურგში კონსალტინგური ფირმის "ენერგო პულის" გახსნით დაიწყო. ფირმამ სულ რამდენიმე დღე იარსება, შემდეგ დაიხურა, თუმცა კიდევ ხუთი წლის განმავლობაში მის საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა თანხები, რომელსაც აშშ-ის მთავრობა რუსეთს ბირთვული უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებისთვის უგზავნიდა. პენსილვანიის შტატის დასავლეთ ოლქის ფედერალური პროკურორის მერი ბეტ ბიუკენენის თქმით, ადამოვის და კუშანსკის ანგარიშზე 15 მილიონ დოლარზე მეტი გადაირიცხა.

## ეროვნულ ბანკს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ

კომერციული ფირმა საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელოვნურად შეფერხებაში.

შპს "სარა-ნიკას" გენერალური დირექტორის ირინა გორდიაშვილის განცხადებით, ეროვნული ბანკის იურიდიული სამმართველოს უფროსის პაატა ხოტენაშვილის ძალისხმევით, ეროვნული ბანკი არ ასრულებს თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და ბანკში გახსნილი რუსეთის ჯარების საკორესპონდენტო ანგარიშიდან არ ხსნის 190 ათას დოლარს.

საქმე ისაა, რომ შპს "სარა-ნიკას" 1996 წლიდან უნგრეთიდან შხამ-ქიმიკატების იმპორტს ახორციელებს. 1999 წელს ფირმამ საქართველოში შესაწამლი საშუალება "ფუნდაზოლი" შემოიტანა, თუმცა მისი რეალიზაცია, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა და რადგან პესტიციდის ვარგისიანობის ვადა იწურებოდა, მომწოდებელი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, იგი რუსეთში გაიტანეს. 15 ტონა ქიმიკატი საქართველოდან, ხელშეკრულების საფუძველზე, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებამ გაიტანა.

როგორც კომერციული ფირმის გენერალური დირექტორი აცხადებს, საქართველოს მხრიდან საზღვარი ტვირთმა კანონმდელობის სრული დაცვით გადაკვეთა. თუმცა, ვლადიკავკაზში, ტვირთი, როგორც კონტრაბანდული, დააკავეს და ჩამოართვეს. ტვირთის ღირებულების ანაზღაურება ფირმამ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებისგან მოითხოვა. როსტოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავა საქართველოში უნდა განხილულიყო. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის - შპს "სარა-ნიკას" პოზიცია გაიზიარა და სარჩელი დააკმაყოფილა.

"სააღსრულებო ფურცელი ეროვნულ ბანკში ორი კვირის წინ შევიდა. თუმცა, იურიდიული სამსახურის უფროსმა პაატა ხოტენაშვილმა დოკუმენტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტამდე არ მიიტანა. სანდო წყაროს ინფორმაციით, ხოტენაშვილმა რუსეთის მხრიდან ამ ქმედებისათვის 5 ათასი დოლარი აიღო",- აცხადებს შპს "სარა-ნიკას" ხელმძღვანელი.

*მედია-ნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# თქვით SALVE გერმანულად

### TBC ბანკში ბიბლიოთეკა გაიხსნა, მაღრაძემ კი ბუშისგან იდუმალი საჩუქარი მიიღო

ია ვეკუა

ვისაც არაერთხელ განუცდია დათო მაღრაძის პოეზიის კითხვით მიღებული სიამოვნება, ამიერიდან იმავე განცდას გერმანულადაც მიიღებს. მაღრაძის 2004 წელს გამოსული ლექსების კრებული SALVE ამ ენაზე უკვე ითარგმნა, დაისტამბა და პრეზენტაციაც გაიმართა.

ამჯერად ეს კულტურული მისია TBC ბანკის აქტიური ხელშეწყობით შესრულდა. ცოტა ხნის წინ აღდგენილ ისტორიულ შენობაში განთავსებულ ბანკის ცენტრალურ ოფისში ამ დაწესებულებისთვის უჩვეულო დარბაზი – ბიბლიოთეკაც არსებობს. დათო მაღრაძის გერმანულენოვან კრებულს საზოგადოება სწორედ ამ დარბაზში გაეცნო, რაც TBC ბანკის პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის ინიციატივა იყო. მრგვალი ბიბლიოთეკის კედლებზე განთავსებული თაროები, ჯერჯერობით, მხოლოდ სანახევროდაა შევსებული, წარმოდგენილია თანამედროვე ქართული ლიტერატურის რამდენიმე ათეული ნიმუში. აქვეა ლიტერატურულ პრემია "საბას" დაჯილდოების ცერემონიალების ამსახველი ფოტოები. როგორც ცნობილია, "საბა" სწორედ TBC ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება. სავარაუდოდ, ეს დარბაზი კიდევ არაერთხელ უმასპინძლებს კულტურულ ღონისძიებებს, განსაკუთრებით ახალი ლიტერატურული გამოცემების პრეზენტაციებს.

მაღრაძის ლექსები გერმანულად მანანა პაიჭაძემ თარგმნა.



დათო მაღრაძე და მამუკა ხაზარაძე.

სწორედ მან შეარჩია 25-მდე ლექსი კრებულის ქართული ვარიანტიდან (ქართულ კრებულში სამჯერ მეტი ლექსი ერთიანდება). "ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ლექსების წერა მომიწევდა, თანაც, გერმანულ ენაზე. ეს კი დათო მაღრაძის შესანიშნავმა პოეზიამ, მისმა არაჩვეულებრივმა ჟღერადობამ და სულიერმა სიღრმემ შემაძლებინა", - აღნიშნა მანანა პაიჭაძემ.

მანანა პაიჭაძის მიერ შესრულებული თარგმანის შესახებ პრეზენტაციაზე ბევრი ითქვა. ისიც აღინიშნა, რომ მთარგმნელმა ზედმიწევნით შეძლო ავტორისეული სულისკვეთების, ლექსთა ფორმისა და ხასიათის შენარჩუნება.

ისევე, როგორც კრებულის ქართული ვარიანტი, მისი გერმანული ვერსიაც გამომცემლობა "საარმა" დასტამბა. ორივე გამოცემა ერთნაირი ორიგინალური დიზაინით ხასიათდება. გარეკანზე კრებულის სათაური SALVE-ა გამოტანილი. ეს არის სადარბაზოს შესასვლელთან გადაღებული ფოტო, რომლის ახსნასაც ავტორი წინასიტყვაობაში გვთავაზობს: "გარეკანზე მოთავსებული სადარბაზოს ფოტო შემთხვევით არ აღმოჩენილა ამ წიგნის ყდაზე. ეს ჩემი მშობლების სახლის შესასვლელია – ყაზბეგის ქ. №14".

ამის შემდეგ ავტორი საკმაოდ სენტიმენტალურად ჰყვება, როგორ იზრდებოდა ამ სახლში, სადაც მისი უფროსი ქალიშვილიც დაიბადა, უმცროსს კი მხოლოდ უყვებოდა მშობლების სახლზე. იხსენებს, რომ სწორედ აქ თარგმნიდა მსოფლიო ლიტერატურას მამამისი, ელგუჯა მაღრაძე და მამიდა თამარი. წიგნს კიდევ სამი წინასიტყვაობა აქვს: №2 – "სახელმწიფო პოეტების გარეშე", №3 – "ბონჟურ, მუსიე გოგენ" და №4 – "თეთრი პელიკანი".

SALVE-ს გერმანული თარგმანის გარდა, დათო მაღრაძე ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი პრიზითაც იწონებდა თავს. რამდენიმე დღის წინ ამერიკის კულტურის კომიტეტიდან საერთაშორისო მშვიდობის პრიზი მიიღო. დათო მაღრაძე ვერ ხსნის, კონკრეტულად რა დამსახურებისთვის მიენიჭა ეს პატივი. "ასეთ ჯილდოს არ ველოდი და ვერც მისი გადმოცემის მიზეზს ავხსნი. ამიტომ ამ პრემიას მოფერებით ჯორჯ ბუშის საჩუქარი დავარქვი", - აღნიშნა დათო მაღრაძემ.

თვალსაზრისი

# საქართველო, 2005 წელი - ახალი რევოლუციის აჩრდილი

*ეს წერილი არის საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქის ნააზრევი, რომელსაც, ალბათ, გაიზიარებს საზოგადოების ნაწილი. რათა ავტორის მიმართ არ იყოს ბრალდებები მიკერძოებაში და ანგაჟირებაში, ამთავითვე ვაცხადებ - წერილი ტენდენციურია! ვხედავ რა საგანგაშო ნიშნებს, რომელთაც ახლო მომავალში შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, ძირითად ყურადღებას ვამახვილებ ხელისუფლების შეცდომებზე და უარყოფით მხარეებზე.*

*ამითი ერთად, ავტორი არ ასრულებს არავის დაკვეთას, არ არის და არასოდეს ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მას არ ამოძრავებს რაიმე გამორჩენის სურვილი და არა აქვს სხვა პრეტენზია, გარდა იმისა, რომ უმოკლეს ვადაში იხილოს ძლიერი და აყვავებული სამშობლო.*

ბორის ცოცხალაშვილი

*2005 წლის 18 აპრილი*

საქართველოში ახალი რევოლუციის აჩრდილი გამოჩნდა! ასეთი განცხადება ზოგიერთს შეაშფოთებს, ზოგიერთს დააფიქრებს, ვინმეს შეიძლება, გაეცინოს. მე მიმაჩნია - საფრთხე გაჩნდა, იზრდება და მოვლენების განვითარებამ შეიძლება, დამანგრეველი გავლენა იქონიოს ქვეყნის მომავალზე.

როგორც წესი, ხელისუფლების შეცვლისათვის, განსაკუთრებით ძალდობრივი გზით, აუცილებელი წინაპირობები უნდა არსებობდეს. მოვიყვან ნაწყვეტს ჩემი სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათში" 2003 წლის პირველ ნოემბერს, არჩევნების წინა დღეს:

"ხელისუფლების შეცვლა განსაკუთრებით მიზანშეწონილი და აუცილებელია არის სამ შემთხვევაში:

თუ ქვეყნის პრობლემები ქრონიკულ ხასიათს იძენს და არსებული მმართველობა ვერ (ან არ) აგვარებს მათ;

თუ კორუფციის დონე აჭარბებს კრიტიკულ ზღვარს და ხელისუფლება ვერ (ან არ) აგვარებს მათ;

თუ ხელისუფლება კარგავს ხალხის ნდობას, ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და ამუხრუჭებს მის განვითარებას;

ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება და ღრმავდება კონფლიქტი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რაც იწვევს ჯერ მოსახლეობის ცალკეული ფენების უკმაყოფილებას, შემდეგ კი საყოველთაო პროტესტს, რომელიც ანტაგონისტურ დაპირისპირებაში გადაიზრდება ხოლმე და რევოლუციით მთავრდება."

ნოემბრის არჩევნების პირობებში სამივე მოყვანილი მიზეზი მკაფიოდ იყო გამოხატული. აქვე გავიხსენოთ, დაახლოებით როგორ ფასდებოდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შანსები: სახელისუფლებო ბლოკი – 16-18 პროცენტი, აღორძინება – 12-14 პროცენტი (რიგვ ე.წ. ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით), ნაციონალური მოძრაობა – 15-18 პროცენტი (მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო და გაიზარდა უკანასკნელ თვეში ქვემო ქართლში, აჭარაში და სხვა რეგიონებში მზარდი დაპირისპირების შედეგად), ლეიბორისტები – 12-15 პროცენტი, ბურჯანაძე-დემოკრატები – 10-12 პროცენტი, ახალი მემარჯვენეები – 8-10 პროცენტი, მრეწველები – 6-8 პროცენტი.

ანუ ამჯერად გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობდა, მმართველი პარტიები ვერ მოიპოვებდნენ უმრავლესობას პარლამენტში, თუ ოპოზიცია შეძლებდა გაერთიანებას.

რომელია ვარაუდი, როგორ მოიქცეოდნენ ოპოზიციური პარტიები, ისინი ერთმანეთს (!) იგივე სიმძაფრით ებრძოდნენ, როგორც ხელისუფლებას, არ იყო გამორიცხული მოულოდნელი ალიანსები. მაგრამ "სახელისუფლებო ბლოკმა" და "აღორძინებამ" მეტისმეტი მოინდომეს და მოსახდენი მოხდა.

ოთხი თვის შემდეგ გაერთიანებულმა ნაციონალებმა და დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 80 პროცენტზე მეტი მიიღეს, თუმცაღა არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა. მანამდე კი იყო პრეზიდენტის არჩევნები და უფრო შთამბეჭდავი მხარდაჭერა.

ეს ძალზე სერიოზული არგუმენტია, რომ არსებული ხელისუფლება 80 პროცენტით არის არჩეული, მაგრამ გავიხსენოთ - ასეთივე პროცენტებით იყო არჩეული წინა ხელისუფლებაც.

საერთოდ, როდესაც ელექტორატის 80 პროცენტი ჯერ არჩევს ერთ ხელისუფლებას, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მეორეს - საწინააღმდეგოს, როდესაც 25-30 პროცენტი ორიოდ თვეში გადაიქცევა ოთხმოცად - ან არჩევნების პროცესი არ არის წესრიგში, ან ამომრჩეველი. და ყველა შემთხვევაში ეს ცუდია ქვეყნისათვის, ვინაიდან რეალური ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურ პარტიებს სტაბილური იდეოლოგიური მხარდამჭერი არ ჰყავს!

ასე იყო თუ ისე, ხალხმა მიიღო რაც უნდოდა - ახალი ხელისუფლება!

დავესესხები ნახსენებ სტატიას კიდევ ერთ ფრაგმენტს:

"...ხელისუფლების პერიოდული ცვალებადობა:

- გამორიცხავს მართვის სტერეოტიპების დამკვიდრებას;

არის კორუფციის დონის შემცირების მთავარი ფაქტორი;

იძლევა პროგრესული იდეების განხორციელების საშუალებას;

აფართოებს ქვეყნის მართვაში მონაწილე წრეს;

განაპირობებს საზოგადოების "ინტელექტუალური ელიტის" პოტენციალის წარმართვას არა როგორც მმართველთა, არამედ მთლიანად ქვეყნის ინტერესებისათვის;

გამორიცხავს მოსახლეობის ფართო ფენებში ე.წ. "მონური" ფსიქოლოგიისა და აზროვნების დამკვიდრებას;

ამაღლებს ადამიანთა პასუხისმგებლობის და ღირსების გრძნობას და კიდევ მრავალ პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლა უზრუნველყოფს სასწრაფო ცვლილებებს და ხვალვე ყველაფერი გამოსწორდება, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურ ძალთა გადალაგება და პრეტენდენტთა წრე არ იძლევა განსაკუთრებულ ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ეს იქნება პირველი ნაბიჯი გზაზე, რომელიც აუცილებლად არის გასავლელი."

ნაბიჯი გადაიდგა, ხელისუფლება შეიცვალა, რა თქმა უნდა, აჯობებდა, ეს მომხდარიყო პატიოსანი არჩევნების გზით, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას ნაკლებად აინტერესებდა კანონიერების და ლეგიტიმურობის ნიუანსები. მისთვის მოხდა მთავარი - "ისინი" წავიდნენ და გაჩნდა იმედი, უკეთესობის მოლოდინი. "ვარდების რევოლუციით" მოსულებს რომ მრავალი პრობლემა დახვდებოდათ, მათთვის ცნობილი იყო. ბევრი მათგანი წლების მანძილზე თავად იღებდა მეტნაკლებ მონაწილეობას ამ პრობლემების ჩამოყალიბებაში.

უმთავრესი ამოცანები, რომლებიც იდგა ახალი ხელისუფლების წინაშე, იყო:

დაქსაქსული საზოგადოების გამთლიანება, ვინაიდან მხოლოდ კონსოლიდირებულ საზოგადოებაში არის შესაძლებელი სწრაფი და ეფექტური ცვლილებების (რეფორმების) განხორციელება;

დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება-განვითარება და ხელისუფლების გონივრული გადანაწილება;

ინტელექტუალური ელიტის, მცოდნე, პატიოსანი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მაქსიმალური მობილიზება და ჩართვა ქვეყნის მართვაში;

ძირითადი პრიორიტეტების, მიზნების განსაზღვრა და თანამიმდევრული მოქმედება კანონიერების და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

ვერავინ იტყვის, რომ წელიწანდახევარში არაფერი გაკეთებულა. გაიზარდა ბიუჯეტი, შემცირდა კორუფციის დონე, ტარდება რეფორმები, მოხდა სახელმწიფო აპარატის შემცირება და სხვა. მაგრამ მეორე მხარეა – როგორ კეთდება ეს ყველაფერი. სხვათაშორის, საზოგადოება არც ელოდა მომენტალურ შედეგებს და გაუმჯობესებას, საკმარისი იყო დადებითი ტენდენციების წარმოსახვა და ხალხი გაგებით შეხვდებოდა, გაიჭირვებდა, მხარში ამოუდგებოდა ხელისუფლებას.

რეალურად კი მოხდა (და ხდება) შემდეგი. საზოგადოება კიდევ უფრო მეტად გაიხლიჩა. ნაციონალ-დემოკრატების დაპირისპირებამ პოლიტიკურ ოპონენტებთან უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მაგრამ ეს არაფერი, უფრო დასაფიქრებელია დაპირისპირება ხალხთან და ხალხში. საზოგადოება იხლიჩება პოლიტიკური, თანამდებობრივი, სოციალური, კლასობრივი ნიშნებით, უფრო მეტიც - ასაკობრივი ნიშნით, რაც ყველაზე სახიფათოა. როდესაც 45-50 წელს გადაცილებულ ადამიანებს, მიუხედავად მათი პროფესიული და ზნეობრივი თვისებებისა, მიუთითებენ, რომ ისინი ზედმეტნი არიან საკუთარ ქვეყანაში – ეს არ არგებს სახელმწიფოს! თითქოს და ხელისუფლებამ დაივიწყა დევიზი, რომელიც ქვეყნის გერბს ერთვის - "ძალა ერთობაშია!"

ნაციონალ-დემოკრატებს ძალზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ შესაძლებლობებზე, ამ დროს, როგორც ვითარებიდან ირკვევა, ისინი ერთობ მოკრძალებულია. პარლამენტის უმრავლესობის და აღმასრულებელი გუნდის შემადგენლობები არაერთგვაროვანია, მათში მრავლად არიან "უსახური" და შეზღუდული შესაძლებლობების წარმომადგენლები. მათ არ შესწევთ საკითხების ღრმა, შერწყმული გადაწყვეტის უნარი, არ ჰყოფნით ცოდნა, პროფესიონალიზმი, ზოგი გადაწყვეტილება ზერელე და პრიმიტიულია. მაგალითად, მიღებული იქნა დადგენილება პარლამენტის შემცირებისა 150 წევრამდე, თავისთავად ეს სწორია და თანხვდება ხალხის ნებას, რეფერენდუმის შედეგებს. მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, ეს ნაბიჯი დაკავშირებული ყოფილიყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმასთან, რომელიც გასატარებელია, სამხარეო მოწყობის დაკანონებასთან. ამავე დროს ნათლად ჩანს არჩევნების მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლის მიზანშეწონილობა, რათა პარლამენტში ნაკლები იყოს უინიციატივო, მხოლოდ პულტზე თითის დამჭერი წევრები და გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა ამომრჩევლის წინაშე. ასეთ შემთხვევაში მარტივი გათვლით მივიღებთ 110-120 წევრს ერთპალატიანი, ან 135-140 წევრს – ორპალატიანი პარლამენტისათვის.

მთავრობის ზოგი ქმედება, უბრალოდ, გაუგებრობას იწვევს. ელემენტარული პრობლემა, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებთან დაკავშირებით, წარმოშობილი სათანადო დაუფიქრებლობის გამო, შესაძლებელი იყო ორ საათში გონივრულად და სამართლიანად გადაჭრილიყო. ამის მაგივრად, გამოცდების ჩაბარება-არჩაბარება გადაიქცა "სახელმწიფო მნიშვნელობის" პრობლემად, არაერთი ურთიერთშეურაცხყოფის და საზოგადოებაში ვნებათღელვის მიზეზი გახდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა დაკომპლექსებულია, მას იმდენად ეშინია სისუსტე (თავისი გაგებით!) არ გამოამჟღავნოს, რომ ურჩევნია უაზრობები აკეთოს. ხოლო რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის და ელჩების გამოწვევის კურიოზულ დამთხვევას, ეს შემთხვევა, ისევე როგორც სხვა შეუთანხმებელი მოქმედებები, სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს, ვინაიდან არ ამაღლებენ ქვეყნის ავტორიტეტს, არც შიგნით და არც გარეთ.

ყველაფერს ემატება კიდევ ერთი საგულისხმო სიმპტომი – ხელისუფლება ცრუობს! ცრუობს, რათა გაამართლოს ზოგიერთი წარუმატებლობა, სისუსტე, შეიძლება დანაშაულიც კი. სიცრუე – როგორც სახელმწიფო პოლიტიკა, ამაში ახალი არაფერია. ასე იყო სხვადასხვა ქვეყნებში, იყო ჩვენთანაც სულ ცოტა ხნის წინ. მაგრამ ყველას ახსოვს, რით თავდება სიცრუეზე დამყარებული მმართველობა, რით დასრულდა ჩვენთან. დღითიდღე იზრდება რაოდენობა ადამიანებისა, ვისაც აღარ სჯერა ცრუპენტელობისა, რომლითაც ცდილობენ, დაფარონ არაკომპეტენტურობა, ხელმრუდობა, ნარკომანობა და სხვა "ღირსებები". ხელისუფლების რეიტინგი განუწყვეტლივ მცირდება, ამჟამად 30 პროცენტის ფარგლებშიაო (ნეტავ მართლა ასე იყოს და აღარ დაეცეს!). თითქოს არ არის ცოტა, მაგრამ ერთი წლის წინ ხომ განუზომლად მეტი იყო. და ნუ იტყუებენ თავს, რომ ეს არაპოპულარული რეფორმების ბრალია, მიზეზი სხვა არის. მალე სულ აღარავინ დაუჯერებს და შემდეგ რა?! ვინ იცის პასუხი ამ შეკითხვაზე?

რაც ამჟამად ქვეყანაში ხდება, ბერტოლდ ბრეხტის მისტერიებს მაგონებს – კომედია, ტრაგედია და ფარსი ერთმანეთშია გადახლართული, ხოლო უადგილო და ხშირად უნიჭო "პიარ-აქციები" ზონგ-ინტერმედიებივით "ამშვენებენ" ყველაფერს.

ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტის მიერ "ჩვენი დროის გმირების" წარდგენა. თურმე ადამიანის შეურაცხყოფა, ჩხუბი და შემდეგ, იმის გამო, რომ ამან სკანდალის სახე მიიღო, ბოდიშის მოხდა – გმირობის ტოლფასია. თურმე პროფესიული მოვალეობის შესრულება, ელემენტარული ზნეობის ნორმების დაცვა – გმირობაა. ცოტა უცნაური წარმოდგენაა გმირობაზე. მართლა ასე ცუდად არის ჩვენი საქმე?

იქვე გამოცხადდა, საქართველო "შემდგარი ქვეყანა გახდაო". ვისთვის? რაში გამოიხატება ეს? ჩვენ რა, დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ, ლტოლვილები აღარ გვყავს, ეკონომიკა ავაყვავეთ, ხალხის კეთილდღეობა გავზარდეთ, კანონიერება გავამყარეთ? - პრეზიდენტი, ალბათ, ილუზიების ტყვეობაში იმყოფება...

ჩემი წარმოდგენით, შემდგარი ქვეყანა გავხდებით, როდესაც ზემოჩამოთვლილის მიღწევის შემდეგ ჩვენთან ხელისუფლება პირველად შეიცვლება პატიოსანი, დემოკრატიული არჩევნების შედეგად!

სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძველი არის ცოდნა, ზნეობრიობა, ღირსება და სამართლიანობა. უდიდესი და უძლიერესი იმპერიები იმსხვრეოდნენ, როდესაც სათავეში მოდიოდა ამ თვისებების არმქონე მმართველი. საქართველოსაც წლების მანძილზე უვიცობა, უზნეობა და უღირსობა მართავდა, თორემ ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. ამის საწინააღმდეგოდ მოხდა რევოლუცია.

იმის შესახებ, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მომრავლდნენ უმეცრები და არაკომპეტენტურები, ბევრი თქმულა. უზნეობის ფაქტებიც აშკარავდება, თუნდაც ის, რომ მაღალჩინოსნების ხელფასსა და ხანდაზმულთა პენსიებს შორის ასჯერადი და მეტი სხვაობაა. არ შეიძლება საკუთარი კეთილდღეობის და ცხოვრების დონის შექმნა მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისად, ხოლო სხვისი – ყოველგვარი სტანდარტის გარეშე. მრავალი ფაქტი ცხადყოფს – ხელისუფლების ნაწილი სრულ სულიერ წყვდიადში იმყოფება!

ქვეყანაში მოხდა მოსახლეობისთვის მეტად მტკივნეული რამ, სამსახურიდან დაითხოვეს სამოცათასზე მეტი ადამიანი. თავისთავად შემცირება აუცილებელი და გარდაუვალი იყო, აღშფოთებას იწვევს ამ აქციის ფორმა. დათხოვნილებს არც კუთვნილი კომპენსაცია მისცეს, ბოდიშიც კი არ მოუხადეს. როგორც წესი, ეს ხდებოდა ადამიანური ღირსების შელახვით, მოტყუებითა და კანონდარღვევებით. ამ დროს "გაყრილთა" უმრავლესობა მცოდნე და პატიოსანი ადამიანები არიან, ბევრი მათგანი ნოემბრის მოვლენებშიც მონაწილეობდა და გულმხურვალედ ზეიმობდა გამარჯვებას. რასაკვირველია, ისინი უკმაყოფილოები არიან და პირველ რიგში იმით, რომ მათ ადგილზე ნაცნობობით, მამიდაშვილობით ბევრი ისეთი მოიყვანეს, ვინც არც საქმე იცის და არც გაკეთება უნდა. არადა, ცნობილია: ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატებული ფუნქციონირება შეუძლებელია კომპეტენტური ბიუროკრატიის გარეშე, რომელსაც ეხერხება ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება შესაბამის დონეზე. რაც ყველაზე ცუდია, დათხოვნილთა ნაწილი სამომავლოდ აბსოლუტურად გამორიცხავს თანამშრომლობის შესაძლებლობას არსებულ ხელისუფლებასთან.

საერთოდ, ადამიანის არსებობისათვის სახელმწიფო სულაც არ არის საჭირო, მისი მთავარი დანიშნულება მოქალაქეების დაცვა და კეთილდღეობის პირობების ხელშეწყობაა. რობინზონ კრუზომ წლები გაატარა უკაცრიელ კუნძულზე სახელმწიფოს გარეშე და მშვენივრად გრძნობდა თავს.

ხელისუფლება, რომელიც არ უქმნის საკუთარ მოსახლეობას კეთილდღეობის პირობებს, უტიფრად ექცევა, შეურაცხყოფს და ღირსებას ულახავს ხალხის ნაწილს, არ უნდა ელოდოს მისგან პატივისცემას და ლოიალობას, ხოლო კანონის დამრღვევი ხელისუფლება – კანონმორჩილებას. სახელმწიფოს ღირსება პირდაპირ კავშირშია ყოველი მოქალაქის ღირსებასთან.

რაც შეეხება დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას, მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა ვერ გაზარდეს დემოკრატიის დონე და ხარისხი, რომლებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა ბევრ, მათ შორის - დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხში; გამოკვეთილი დისბალანსია ხელისუფლების შტოებს შორის; შესამჩნევად დაკნინდა პარლამენტის მნიშვნელობა, რამაც ის პრეზიდენტის და მთავრობის ნების გამტარებელ დანამატად აქცია. კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ არის თანამიმდევრული, ზოგ შემთხვევაში კანონები და დადგენილებები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ამწუთიერ მოთხოვნილებებს ემსახურებიან და მიმართული არიან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაზე. იმის მაგივრად, რომ მოხდეს ძალაუფლების გადანაწილება, არჩევითობის გავრცელება ყველა დონეზე, გუბერნატორების და მერების ჩათვლით, თვითმმართველობის დონის ამაღლება, ხდება ძალაუფლების კონცენტრირება მცირე ჯგუფის ხელში.

გამოვლინდა კიდევ ერთი დამაფიქრებელი მინიშნება – ხელისუფლება ძალზე მტკივნეულად, როგორც წესი, უარყოფითად და არაადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე და კრიტიკაზე, ვერ იტანს განსხვავებულ აზრს. საზოგადოების ნაწილისთვის მაინც აბსოლუტურად მიუღებელია ოპოზიციის სალი და საქმიანი წინადადებების იგნორირება, ოპონენტების ერთმნიშვნელოვანი შერაცხვა მტრებად და მათდამი ცინიკური დამოკიდებულება. ხელისუფლებას სხვებზე მეტად უნდა ესმოდეს ოპოზიციის მნიშვნელობა და უნდა აცნობიერებდეს, რომ დემოკრატიის პირობებში, სულ მალე, შეიძლება თავად აღმოჩნდეს ოპოზიციის როლში.

სამართლებრივი ხელისუფლების რეფორმაც არ არის დასრულებული, ჭიანურდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რაც უეჭველად გაზრდის სასამართლოს ავტორიტეტს და შეამცირებს კორუფციის დონეს. სუსტი, ხშირად არაავტონომიური სასამართლოს ფონზე პროკურატურის და საგამოძიებო ორგანოების მოქმედება რიგ შემთხვევაში რეპრესიულ ხასიათს ატარებს და მიმართულია არა კანონიერების, არამედ ხელისუფლების სასარგებლოდ, ცალკეული პიროვნებების და ჯგუფების წინააღმდეგ.

პარალელურად, სულ უფრო იჩენს თავს პარტიული დიქტატურის დამყარების მცდელობები. არის პირველი ნიშნები იმისა, რომ "ვარდების რევოლუციონერები" საკუთარ თავს კანონზე და ხალხზე მაღლა აყენებენ და მათი ქმედებები პირდაპირი გამოწვევაა საზოგადოებისადმი. ყველაფერი ეს ძალიან საშიში ტენდენციებია, ვინაიდან ამ მიმართულებით მიდის გზა დემოკრატიიდან ტირანიისკენ!

მინდა მოკლედ შევეხო რეფორმების თემას, საქართველოში რეფორმები აუცილებელია, თანაც - მრავალმხრივი და ეფექტის მომცემი რეფორმები. ისინი უნდა შეეხონ სახელმწიფოს მოწყობას, მართვის პრინციპებს, სასამართლოს, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს და მრავალ სხვა დარგს. დადებითი შედეგისათვის მიზანშეწონილია მათი ერთდროული გატარება, რათა ყველა სფერო, რომელიც სახელმწიფოებრიობის ერთიანი სხეულის ნაწილებია, თანაბრად განვითარდეს და შეავსოს ერთმანეთი. არსებობს რეფორმების რამდენიმე გზა (მეთოდი):

რეფორმა სწრაფად მზადდება და სწრაფად ხორციელდება, ან

სწრაფად მზადდება და დიდხანს (ეტაპობრივად) ხორციელდება, ან დიდხანს მზადდება და სწრაფად ხორციელდება, ან დიდხანს მზადდება და დიდხანს ხორციელდება.

ყოველ მეთოდს თავისი პლუსმინუსები აქვს და შერჩევა დამოკიდებულია რეფორმის არსზე, მიზანზე და თანმხლებ გარემოებებზე. ხოლო მეთოდი – რეფორმა არ მზადდება და ისე ხორციელდება, წინასწარ განწირულია წარუმატებლობისათვის და ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, რისი მხილველნიც ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით. და ყველა შემთხვევაში რეფორმების წარმატებას სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა.

უნდა თუ არა ვინმეს ამის დანახვა-დაჯერება, რაც ზევით წერია, ხდება და არის. საზოგადოების ნაწილი ამას ვერ ამჩნევს, ნაწილი ეგუება, მაგრამ არის ნაწილი, რომელიც ხედავს და მათში წინააღმდეგობის გაწევის მოთხოვნილება ჩნდება, ამით კი უარყოფითი ენერგია წარმოიქმნება. ეს ნაწილი იზრდება, იზრდება ნეგატიური ენერგიის მასაც, რომელშიც რევოლუციის აჩრდილი იბადება. ჩვენ კი ვიცით, რით მთავრდება ამგვარი მასის ამოფრქვევა.

დაუშვებელია, ქვეყანა კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს კატასტროფის ზღვარზე. ჯერ შესაძლებელი და შედარებით ადვილია მდგომარეობის გამოსწორება. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, კერძოდ პრეზიდენტმა, რომლის მიმართ ნდობის ფაქტორი კვლავაც მაღალია:

აღიაროს შეცდომები, ბოდიში მოუხადოს ხალხს და შეცვალოს მართვის პრინციპები.

დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები, თუნდაც მიღებული დადგენილების ფორმატში.

შექმნას საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც ჩამოაყალიბებს სახელმწიფო იდეოლოგიას, განვითარების დოქტრინას და განსაზღვრავს სტრატეგიებს.

სასწრაფოდ დაიწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და რეფორმების განხორციელება ყველა მიმართულებით.

განსაზღვროს და დანერგოს მართვის ოპტიმალური სტრუქტურა, არსებული პირობების შესაფერისი თანამდებობრივი განრიგი და ზომიერი ხელფასები, მინიმუმამდე დაიყვანოს სახელმწიფო აპარატის ხარჯები.

ობიექტური კონკურსის საფუძველზე დააკომპლექტოს საჯარო უწყებები, კვალიფიციური კადრებით.

გადახედოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, სოციალური სფეროს დაფინანსების გაზრდის მიზნით, მკვეთრად (2-3 ჯერ) გაზარდოს პენსიები და დახმარებები.

მიიღოს ზომები შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებისათვის.

არის მრავალი შესაძლებლობა, რისი გაკეთება შეიძლება, არ შეიძლება მხოლოდ უმოქმედობა...

მოხუცი და თეთრწვერა მხატვარი



B3

ხოსე პეკერმანი - მწვრთნელი სამი ლექციით



B5

მანახეთ, მითხარით და დასკვნებს თავად გავაკეთებ



B6

# WELCOME TO GEORGIA

## თბილისი პრეზიდენტ ბუშის მოლოდინში




ორშაბათამდე ორი დღეღა დარჩა. აეროპორტიდან თბილისისკენ გამომგზავრებულ ჯორჯ ბუშს ინგლისური "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", ქართულ ღვინოსთან ერთად შეეგებება. გზაზე ბილბორდი კიდევ ერთხელ შეახსენებს ამერიკის პრეზიდენტს, რომ 9 და 10 მაისს მას საქართველოში ხვდებიან. თბილისის კვალობაზე მოკრიალებული ასფალტით საპატიო სტუმარი სასტუმრო "მეტეხი პალასში" მივა და დაბინავდება.



მეტეხის პლატოდან ქალაქის ხედს გადახედავს და რიყეზე საქართველოს და ამერიკის დროშებიან სტუმართმოყვარე გაზონს შენიშნავს



ქალაქის ცენტრისკენ მიმავალს გზად მორცხვად მდგარი, მწვანე საბურველში გახვეული დანგრეული შენობების ნახვაც მოუწევს.



თავისუფლების მოედანზე პრეზიდენტები ბუში და სააკაშვილი სწორედ იმ ადგილიდან მიმართავენ ხალხს, სადაც ახლა მენეჯერ-მშენებელი გოგლა დგას. სახელდახელო ტრიბუნების და სცენის მშენებლობა სადაცაა დასრულდება, გაკეთდება მერიიდან გამოსასვლელი გადახურული კორიდორი. სცენა არ გადაიხურება და თუ გაწვიმდება, ეს პრეზიდენტებისთვის რა გაჭირვებაა - ბევრჯერ მდგარა წვიმის ქვეშო, ამერიკის პრეზიდენტზე თქვა გოგლამ და მით უმეტეს, ჩვენი პრეზიდენტი-მეთქი, დავამატე.



სცენისა და ამფითეატრის აწყობაში ამერიკელები აქტიურობენ და sunshine - ერთმანეთს შესწუწუნებენ. ცხელა.



პრეზიდენტი ბუში საქართველოში ორშაბათამდეც დაცულია - ბილბორდი პუშკინის ქუჩაზე.



ბოლო "მონასმებიღა" დარჩა, ამწეებიც წავლენ და პუშკინის ქუჩაც მზად იქნება.



რუსთაველის პროსპექტი პრეზიდენტ ბუშს ელოდება. საქართველოს სახელით თბილისი პრეზიდენტ ბუშს ღირსეულად უმასპინძლებს და კონდოლიზა რაისისა არ იყოს, პრეზიდენტი ბუში იქ ჩავა, სადაც მოისურვებს და ლავროვს (!) არ შეეკითხება.



*პროექტის ავტორები დესი დაშკოვა და ლევან ხერხეულიძე*



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის საღამო
ტრიო "დაფიონი"
(ნატალია მეიფარიანი (ვიოლინო), გიგა ხელაია (ჩელო), რუსუდან მეიფარიანი (ფორტეპიანო)
ბილეთების ფასი: 2-დან 6 ლარამდე.
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
ლუდვიგ მინკუსი
"დონ კიხოტი"
(ბალეტი სამ მოქმედებად)
ჩელიტა - ცისია ჩოლოყაშვილი
ბაზილი - ლაშა ხოზაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გოეთე
"ფაუსტი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია
ლეო დელიბი
"კოპელია"
დას: 17:00; 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"გახსოვდეთ!"
სამამულო ომში დიადი გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა
დას: 18:00 სთ.

**თეატრი "ნაბადი"**
"ნაბადი"
დას: 20:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"დაიკიდე"
დას: 15:00; 17:30 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 16:00 სთ.

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

**კლუბები**
**ბერლინი**
დი-ჯეები: ქეში და ქაოსი
დას: 23:00 სთ.
ფასი: 15 ლარი; გოგოებისთვის - 5 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სახელმძღვანელო მოდელი

### როგორ ვმართოთ კოლექციები: ჰოლანდიური გამოცდილება

ვერა ნეფარიძე

*კოლექციები არ არის მკვდარი სხეულები; ეს ცოცხალი ორგანიზმებია, რომელთაც სჭირდებათ მოვლა; საბოლოოდ ისინი უნდა გახდნენ ადვილად ხელმისაწვდომნი, - მრავალჯერ ნათქვამი, რომელიც ჩვენი მუზეუმების საცავებში დავანებული ფასეულობებისადმი ახლებურ მიდგომას გამოხატავს, გუშინაც გაიმეორეს "ერმაკოვის ფოტოარქივის კონსერვაციის პროექტის" მიმდინარე ანგარიშის პრეზენტაციაზე. ცხრაწლიანი პროექტი, რომელსაც დასრულებამდე ოთხი წელიწადი აშორებს, კოლექციების მართვის სახელმძღვანელო მოდელად შეაფასა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა; პროექტის ხელმძღვანელმა, ნიდერლანდების მუზეუმის კონსერვაციის განყოფილების გამგემ ჰანს კ. დე ჰერდერმა კი გვიამბო, თუ რითი დაიწყო ეს ყველაფერი.*


არქივში დღემდე აღდგენილია 12 ათასზე მეტი სტერეოფოტო, ათი ათასამდე ცალკეული ფოტო და ექვსი ალბომი.

როდესაც ჰანს კ. დე ჰერდერმა ვიზუალურად გვაჩვენა არქივის ხუთი წლის წინანდელი მდგომარეობა, შესადარებლად კი, მისი მოხსენების დასასრულს დასათვალიერებლად არქივს მიაშურეს სტუმრებმა, "ძველ" და განახლებულ არქივებს შორის დიამეტრული სხვაობა აშკარა გახდა. ამ შედეგის მიღწევას საკმაო დრო (დასრულებამდე კიდევ ოთხი წელია დარჩენილი), შრომა და ცოდნის გაღრმავება დასჭირდა; ცოდნა - დაწყებული ელემენტარულიდან (მაგალითად: ჰორიზონტალურად უნდა ეწყოს ფოტოალბომები თუ ვერტიკალურად), "დიჯიტალიზაციის" (მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა) ჩათვლით. "ნუ იფიქრებთ, რომ ეს ყველაფერი რაღაც განსაკუთრებული და ძნელად მისაღწევია. ამ ყველაფერს თქვენ აკეთებდით, ოღონდ დავთრებში", - ანუგეშა თანამშრომლები ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა ჰოლანდიელი სპეციალისტის მოხსენების შემდეგ სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში გამართული დისკუსიის დროს.

"ერმაკოვის ფოტოარქივის კონსერვაციის პროექტი" ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ხუთი წლის წინათ დაიწყო ნიდერლანდების მუზეუმთან თანამშრომლობით. ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარება და ქართველი სპეციალისტების დაოსტატება (პროექტის ფარგლებში ფოტორესტავრაცია "ეროვნული მუზეუმის" ორმა თანამშრომელმა ნიდერლანდებში შეისწავლა) კი ჰოლანდიური ფონდი "ჰორიზონტის" დახმარებით გახდა შესაძლებელი. ფონდმა, რომელიც დაინტერესებულია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებითა და პოპულარიზაციით, არქივში არსებული ფოტოების აღდგენა, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზაში შეტანა დაიწყო.

არქივი საკმაოდ დიდია. სპარსეთის სამეფო კარის ფოტოგრაფისგან, რომელმაც ორმოცი წელიწადი იმოგზაურა კავკასიის ქვეყნებში, დიდი მემკვიდრეობა დარჩა საქართველოს. ფოტოგრაფის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ერმაკოვმა ცხოვრების გარკვეული პერიოდი გაატარა ტრაპიზონში, სადაც ფოტოფირზე აღბეჭდა იქაური ქართველები. ინფორმაციას დიმიტრი ერმაკოვის შესახებ პირველად ვხვდებით გაზეთ "კავკასიურ კალენდარში". სწორედ აქ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია ერმაკოვის ახალი სტუდიის შესახებ. სხვათა შორის, ჰოლანდიელები მოძიებული მასალების მიხედვით შეეცდებიან ჯანაშიას სახელობის მუზეუმში ამ სტუდიის აღდგენას.

დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი, რომელშიც დაცულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის კავკასიის ქალაქების უნიკალური ფოტოგამოსახულებები, სახელმწიფომ ფოტოგრაფის ქვრივისგან გასული საუკუნის დასაწყისში შეისყიდა. შემდეგ არქივი გადაეცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს; 1930 წელს კი ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ამჟამად დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას, ამირანაშვილისა და გრიშაშვილის სახელობის თბილისის მუზეუმების ფონდებში. კოლექციაში სულ 15 717 შუშის ნეგატივი, 112 ალბომი, 12 500 სტერეოფოტო, 23 349 ცალკეული ფოტო და 12 ფოტოაპარატი ირიცხება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფოტოკამერების რესტავრაციაც. დღემდე აღდგენილი, დამუშავებული და მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 12 ათასზე მეტი სტერეოფოტო, ათი ათასამდე ცალკეული ფოტო და ექვსი ალბომი. აღსანიშნავია, რომ ალბომების გარდა (რომლებიც აღსადგენად ჰოლანდიაში მიაქვთ), არქივის ყველა სხვა ნივთის რესტავრაცია თბილისში მიმდინარეობს. რაც მთავარია, საამისოდ ჰოლანდიაში ასწავლეს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტებს. მათი თქმით, კავკასიაში ფოტორესტავრაცია მეტად იშვიათი სპეციალობაა. ამგვარად, ქართულ-ჰოლანდიური ერთობლივი პროექტი, შეიძლება ითქვას, ერთდროულად რამდენიმე სასიკეთო ნაყოფს მისცემს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, სადაც ახლა ყალიბდება კოლექციების მართვის მეთოდოლოგია.

# ჰუმან(ოიდ)ური აბზაცები

### არაკოლექტიური ცეკვა სამ ნაწილად

*რა საჭიროა შოუბიზნესის კრიტიკა, თუკი ის საერთოდ არ მოწგონს, არ ხარ მისი რეალური მომხმარებელი და მეტიც, გაღიზიანებს მისი არსებობა; ღირს კი ასეთ შემთხვევაში დაიხარჯო? ეს შეკითხვები აუცილებლად შეაწუხებდა ლაშა გაბუნიასაც, მით უმეტეს, როდესაც მისი მრავალწლიანი ჟურნალისტური გამოცდილება ბევრს ვერაფერს ცვლიდა იმ გარემოში, რომლის გასაუმჯობესებლადაც ასე ენერგიულად ირჯებოდა. მაგრამ, კარგია, რომ არ მობეზრდა - ლაშა იმ გამონაკლისთა შორისაა" ვინც დღემდე ("ჰუმანოიდისა" და "მელომანის" ფსევდონიმებით) რეგულარულად "აცხობს" ბასრ, ირონიულ სვეტებს, ფელეტონებს, ესეებსა თუ სტატიებს სამამულო წარმოების შოუბიზნესის, და არა მარტო მის წიაღში, ზოგადად, ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული სისუსტეების შესახებ; მით უმეტეს კარგია, რომ გამომცემელმა "საარმა" ეს ყველაფერი წიგნად აკინძა - ლაშას წერილების პერსონაჟთა უმრავლესობას (მათ "შემოქმედებას" ვგულისხმობ) ხომ სწრაფად უკვალოდ გააქრობს დრო, ეს წიგნი კი რამენაირად შემოუნახავს მომავალს, როგორ მღეროდნენ არჩილ შოთას ძეები, როგორი ქართულით მეტყველებდნენ წამყვანი ჟურნალისტები და რომ გამეფებული არაპროფესიონალიზმი ვიღაცას მაინც არ მოწონდა.*


ლაშა გაბუნია (მარცხნივ) შთაბეჭდილებებს ისმენს.

ვერა ნეფარიძე

მოწონებით მართალია ბევრს არც მაშინ მოწონდა ეს ყველაფერი და არც ახლა, მაგრამ თქვა ისე, როგორც ფიქრობ, ეს ბევრს არ აქვს. ჩემი აზრით, ეს ჩვენში გაიშვიათებული გამბედაობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რომ ლაშა გაბუნიას პუბლიკაციებს მკითხველი არ აკლდა; მეტიც, გაზეთს ("ახალი ვერსია") მკითხველთა გარკვეული წრე სწორედ ამ ავტორმა შესძინა. მათ შორის ერთ-ერთი, როგორც თავად აღიარა, მწერალი და კაფე "პარნასის" ლიტერატურული პრეზენტაციების მასპინძელი ბესო ხვედელიძეც ყოფილა. ტრადიციულად, ბესომ გახსნა ლაშას წიგნის "არაკოლექტიური ცეკვის" პრეზენტაცია, რომელიც ცოტა არატრადიციული გამოვიდა შინაარსობრივად. როგორც წესი, კაფე "პარნასში" პროზაულ და პოეტურ წიგნებს გვაცნობენ. ასე რომ, გუშინდელმა პრეზენტაციამ ლიტერატურული შეხვედრების ჟანრულ დიაპაზონშიც შეიტანა ცვლილებები.

წიგნს, ანუ ლაშა გაბუნიას პუბლიკაციების კრებულს კარგა ხანია ველოდით. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დრო მეტად აფასებს ნამუშევარს, გნებავთ, ახლო წარსულში განცდილი "სიამ-ტკბილობების" (რაც დიდი დოზით არის მოწოდებული წიგნში) "ნოსტალგიის" გამო. "არაკოლექტიური ცეკვა" - ეს არ არის გასული საუკუნის 90-იანი და უკანასკნელი წლების ჩვენი საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების გადაფასება, რამდენადაც კრებულში თავმოყრილ წერილებში (საგაზეთო სვეტები, ინტერვიუები, სტატიები...) ავტორის იმავდროული შეფასებები და დამოკიდებულებებია გადმოცემული შეუფარავად, სხვადასხვა ლიტერატურული ხერხით გამძაფრებული. იმის მიუხედავად, რომ კრებულის თემატიკა არ არის შეზღუდული (აქ არის შოუბიზნესის, პოპ-მუსიკის, ქართული მასმედიის თუ თანამედროვე ლიტერატორების კრიტიკა და სხვა), მისი ძირითადი ობიექტი მაინც ქართული "არტია" - ანუ ის, რასაც ამ სიტყვაში მოიაზრებენ ჩვენში. ავტორი უფრო მეტად სამამულო შოუბიზნესისა და მუსიკალური ხელოვნების სფეროში ტრიალებს. წიგნი სამ ნაწილადაა დაყოფილი: "ლონგის სვეტად", "ხით-ჰიტ პარადად" და ინტერვიუებად და სტატიებად.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძალიან ბევრი მეგულება, ვისაც საგაზეთო პუბლიკაციების წიგნად გამოცემა გულზე მოხვდებოდა, მაგრამ არც ესაა ტრაგედია თუნდაც ერთი მიზეზის გამო: სადაც ასე თავს გვახვევენ უგემოვნო პროდუქციას, ერთი წიგნი მთელ ამ ინდუსტრიას ალბათ წაღმა ვერ დაატრიალებს. და თუკი ეს შეძლო, მაშინ ამ განაწყენებულ ადამიანებს, მადლობის მეტის სათქმელი არ უნდა ჰქონდეთ.

# „თბილისო" და მოგონება რეი ჩარლზზე

### ყველაფერი კარგი საქართველოს ჯარისთვის

სოფო კილასონია

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი აღინიშნება. ვაკის პარკი სამამულო ომის ვეტერანებს ჩვეულებისამებრ უმასპინძლებს, შემდეგ სხვადასხვა ღონისძიებაც გაიმართება - ოპერისა და ბალეტის თეატრში და სხვაგან. თუმცა, ყველაფერ ამას გუშინ თავდაცვის ეროვნული აკადემიის საკონცერტო დარბაზში მოწყობილმა მართლაც ლამაზმა კონცერტმა დაასწრო. საგანგებოდ ვეტერანებისა და აკადემიის კურსანტებისთვის გუშინ სცენაზე თბილისის მუნიციპალიტეტის ორკესტრი უკრავდა, მასთან ერთად კი რამდენიმე მომღერალი - მაია ბარათაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, ბორის ბედია და სტუმარი, ინგლისელი პოპ-შემსრულებელი ტონი ომეილი პოპულარულ და ყველასთვის კარგად ნაცნობ სიმღერებს ასრულებდნენ.

თუმცა, სანამ კონცერტზე საუბარს გავაგრძელებდე, თავიდან უნდა დავიწყო. ომახიანი მილოცვების შემდეგ ტრიბუნა დაუთმეს მათ, ვისაც დავიწყებული გმირები ჯერ კიდევ ახსოვთ, ვისაც მათთან ერთად უბრძოლია და ვისაც დიდი სტალინის დავიწყება პირად ტრაგედიად მიაჩნია. "სამოცი წელი არაფერია ისტორიისთვის, მაგრამ ძალიან ბევრია ერთი თაობისთვის", - თქვა ერთ-ერთმა გამომსვლელმა ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა. 60 წელი ბევრიცაა და საკმარისიც, რათა მაშინდელ მეომართ ყველაფერ ახლისადმი გაუცხოება დასჩემდეთ, ხოლო ჩვენ - უნებისყოფობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა წელიწადში ერთხელ ის დღე დგება, როცა მათ სიტყვის თქმის უფლებას აძლევენ და ისინიც მოგონებებსა და ძველს, მაგრამ თავიანთ იდეალებს უბრუნდებიან.

ერთსაათიანი გამოსვლების შემდეგ ხალისიანი კონცერტიც დაიწყო. გუშინდელი საღამო თავდაცვის აკადემიისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო. სწორედ მარჯანიშვილის თეატრში მუშაობს თბილისის მუნიციპალიტეტის ორკესტრი. ბენდის შექმნასა და მუშაობასთან დაკავშირებით თეატრის დირექტორმა ბატონმა გაიოზ კანდელაკმა კონცერტის მსვლელობისას მრავალი რამ გაიხსენა: "მე და გივი გაჩეჩილაძეს ბავშვობიდან გვაკავშირებს ჯაზის სიყვარული. როცა ამ ორკესტრის შექმნის იდეა გაგვიჩნდა, არ გამოგვივაო, ამბობდა. მაშინ ვუთხარი: დრო მოვა, მსმენელი ცოცხალ მუსიკას დაუბრუნდება და მოითხოვს, ფონოგრამების დრო წავა და ერთი ბენდი არ უნდა გვქონდეს? ეს დღეც მოვიდა! მაშინდელ ქალაქის მერთან ნიკო ლეკიშვილთან მივედით. მოგვისმინეს, მხარი დაგვიჭირეს, დაგვეხმარნენ კიდეც - ინსტრუმენტები გვიყიდეს. ამას მოჰყვა ის, რომ მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთ სარეპეტიციო დარბაზში ყველა საუკეთესო მუსიკოსი მოვიწვიეთ. ვინც დღემდე ამ ბენდში ზის, ყველა ვარსკვლავია. ასე დავიწყეთ მუშაობა. მალე ორკესტრმა თბილისის მუნიციპალიტეტის ორკესტრის სახელი მიიღო. ადრეც და ახლაც გვეხმარება მერია და მისი კულტურის სამსახური. ამ ხალხმა იგრძნო ჩვენი ორკესტრის დონე და მისი საჭიროება. ფაქტობრივად, ასეთი დიდი ორკესტრი საქართველოში არ არის. შეიძლება მრავალი ფოლკლორული ანსამბლი და სიმფონიური ორკესტრებია, მაგრამ ეს ორკესტრი ერთია. მას უკვე ძალიან დიდი, ხუთსაათიანი რეპერტუარი აქვს. ყველაფრის არანჟირებას გივი გაჩეჩილაძე აკეთებს. ერთმანეთს ვკითხეთ: ორკესტრი შეიქმნა, რაღაც ხელფასებიც გვაქვს, ახლა რა უნდა ვქნათ? - გადავწყვიტეთ, ჩვენი ჯარის აღმშენებლობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ჩვენ, ხალხი უნდა მივიდეთ ამ ადამიანებთან და არა პირიქით, მათგან არ უნდა ვითხოვდეთ შეუძლებელს. როცა მათთან ასეთი დონის ხელოვნებას მიიტან, ასეთ მუსიკას მოასმენინებ, ისინიც სხვანაირები გახდებიან. როცა საჭირო იქნება, სხვაგვარად, ბევრად უფრო ჭკვიანურად იბრძოლებენ. ჩვენ კიდევ არაერთ კონცერტს მოვაწყობთ მათთვის სრულიად უანგაროდ."

მარჯანიშვილის თეატრის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერმა ხათუნა წულაძემ ორკესტრის სამომავლო გეგმები უფრო დაწვრილებით გაგვაცნო. აღმოჩნდა, რომ თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე ბენდი საქველმოქმედო გამოსვლებსა და კონცერტებს მოაწყობს სახვადასხვა რეგიონში, საჯარისო ფორმირებებთან. თეატრის მენეჯერმა ისიც გაგვიმხილა, რომ "ტონიო მეილი, ბრიტანელი პოპ-ვარსკვლავი, საგანგებოდ ჩამოვიდა ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად."

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტის მსვლელობისას მე და ჩემი რესპონდენტები საუბრით ვიყავით გართულნი, საკონცერტო რეპერტუარმა ყურადღების მოდუნების საშუალება არ მოგვცა. კონცერტი ორკესტრმა საკუთარი ახალი მუსიკალური ნომრით, "ხორუმით" გახსნა, რის შემდეგაც მაია ბარათაშვილმა და ახალბედა მომღერალმა ბორის ბედიამ რამდენიმე ქართული სიმღერა და მათთან ერთად დუეტში რევაზ ლაღიძის "თბილისო" შეგვისრულეს. მალე მათ თაკო გაჩეჩილაძეც შეუერთდა, რომელმაც, სოლო სიმღერების გარდა, ტონი ომეილისთან ერთად დუეტიც შემოგვთავაზა. ორი ქართველი ქალბატონის მშვენიერი ხმის, ჩემთვის აქამდე უცნობი ბადრი ბედიას ძლიერი ტემბრისა და მართლაც მაღალი კულტურით შესრულებული სიმღერების მიუხედავად, კონცერტი, ბუნებრივია, სტუმარმა დაასრულა. სიმღერებმა ლუი არმსტრონგის, რეი ჩარლზისა და ელტონ ჯონის რეპერტუარიდან მეტად გაახალისეს ისედაც ხალისიანი კურსანტები და არანაკლებ ხალისიანი ომის ვეტერანები.

# ბანკომატებზე მორგებული ხელოვნება

"საქართველოს ბანკის" ინიციატივა თანამედროვე მხატვრობის პოპულარიზაციისთვის

თამარ ბაბუაძე

იყო დრო, როცა შტატებში ბანკ "ნორთუესტის" კლიენტი ვიყავი და ერთხელ, როგორც ერთგულ მომხმარებელს, შინ საბანკო ჩეკების რამდენიმენაირი ვარიანტი გამომიგზავნეს. ზოგი თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებით იყო გაფორმებული, ზოგი - ანიმაციური ფილმებიდან ფოტოებით. მე მევალებოდა სასურველი ჩეკი ამერჩია, რათა დამეტკბო თვალი და ჩეკის გამოწერის დროს, არ დამვიწყებოდა, რომ არსებობს მსოფლიოში ყველაზე მყარ ვალუტაზე, დოლარზე, კიდევ უფრო მყარი რამ - ხელოვნება.

ეს სინამდვილე, რომელიც, როგორც უკვე მიხვდებოდით, ხელოვნებისა და საბანკო საქმის მჭიდროდ დაკავშირების შედეგია, დიდხანს ქართული რეალობის მიღმა რჩებოდა. ჩვენთანაც იხვეწებოდა და ვითარდებოდა საბანკო სისტემა, მაგრამ ხელოვნებასთან მსგავსი პირდაპირი კავშირის გარეშე.

ტრადიცია ახლა დაირღვა. "საქართველოს ბანკი" ნოვატორის ამპლუაში მოგვევლინა და ლოგიკურად გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე - "არტ ბარათების" ეტაპზე.

იგულისხმება შემდეგი: მალე ბანკი მოხმარებაში ჩაუშვებს ახლებური ტიპის 40 ათას საბანკო ბარათს (Visa Electon-ს და Cirrus Maestro-ს), რომლებიც თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრებით გაფორმდება. სარგებელი ორმაგი იქნება - მოხდება თანამედროვე მხატვრობის პოპულარიზაცია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ (ქართული საბანკო ბარათებით ხომ უკვე ძალიან ბევრი სარგებლობს საზღვარგარეთაც) და მეორეს მხრივ, ხელოვნების წყალობით, მეტი კლიენტი გაუჩნდება საკრედიტო ბარათებსაც.



ნინო დარასელი და ლადო გურგენიძე გამოფენის გახსნაზე.

"დაიწყება მასობრივი "ბარათიზაცია" - განაცხადა გუშინ სასტუმრო "მეტეხში" გახსნილ გამოფენაზე "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა ლადო გურგენიძემ და სტუმრებს იმ მხატვრების ტილოები წარუდგინა, რომელთაგან "საქართველოს ბანკი" პირველ ოთხეულს აირჩევს. გამოფენა ჟურნალ "ანაბეჭდთან" პარტნიორობით გაიხსნა. "ნახევარფინალისტი" მხატვრები კი არიან: ნიკოლოზ სახამბერიძე, დიმა ანთაძე, მაკა ჯებირაშვილი, ლევან ჭიჭინაძე, ირაკლი ბუგიანაშვილი, თეა ბოტკოველი, დავით გაგოშიძე, გიორგი მაღლაკელიძე, ვახტანგ ახალკაციშვილი, ლევან ხარანაული, გიორგი აბუაშვილი, ლევან მინდიაშვილი, გია რურუა და სანდრო ერისთავი.

ნამუშევრები სპეციალურად პროექტ "არტ ბარათისთვის" არ შექმნილა. მხატვრებმა სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ნახატები თავიანთი სურვილით შეარჩიეს და ბანკის წარმომადგენლებს გადასცეს. როგორც მხატვარი თეა ბოტკოველი განმარტავს, ნამუშევრების შერჩევისას რამდენიმე ლოგიკური კრიტერიუმი დაიცვა - ფორმა, საბანკო ბარათი ხომ მართკუთხედის ფორმისაა, და კომპოზიცია და ფერი - ბარათზე დატანილი ნახატი თვალისთვის იოლად აღსაქმელი და სადა უნდა იყოს. შესაძლო კრიტერიუმი იყო შეძლებისდაგვარი ქართულობაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი პრინციპი გამოფენაზე ყველაზე ნაკლებადაა დაცული. პეიზაჟებსა თუ ნატურმორტებში ეგზოტიკური ყვავილები, პერსონაჟები და ზოგადად, განწყობა უფრო ჭარბობს.

"საქართველოს ბანკმა" და ჟურნალმა "ანაბეჭდმა" პროექტს ინტრიგა შეუნარჩუნეს და გადაწყვიტეს, ოთხი გამარჯვებულის ვინაობა პუბლიკას მოგვიანებით, დაახლოებით ივნისისთვის გააცნონ; მაშინ, როცა დაიწყება დაპირებული მასობრივი ბარათიზაცია და როცა "საქართველოს ბანკი" ძირფესვიანად გამოცვლის ძველ ბანკომატებს ბოლო თაობის ბანკომატებით. ლადო გურგენიძის თქმით, პირველად გამოშვებული "არტ ბარათები" "საქართველოს ბანკის" კლიენტებს უსასყიდლოდ დაურიგდებათ. მათ თვითონ შეეძლებათ, აირჩიონ ოთხი გამარჯვებული მხატვრის ნამუშევრებით გაფორმებულ ბარათებს შორის სასურველი.

ლადო გურგენიძე აცხადებს: "ჩვენ ბარათების ბაზრის 40-45 პროცენტს ვფლობთ, მაგრამ, ცხადია, ამ მონაცემის გაზრდა გვსურს".

ასე რომ, ინტერესი ორმაგია - ქართულ საბარათე ბიზნესს ქართული თანამედროვე ხელოვნება უნდა დაეხმაროს, ამ უკანასკნელს კი - პირველი.

# მოხუცი და თეთრწვერა მხატვარი

გალერეა "ჰობიში" ედმონდ კალანდაძის გამოფენა გაიხსნა

ია ვეკუა

ედმონდ გაბრიელ კალანდაძე 82 წლისაა, მოხუცია, თეთრწვერა, სათვალის სქელი მინების მიღმა მიმალულ თვალებში დღემდე ცრემლი უკრთის, როცა მის გამოფენაზე მოსული სტუმრები აღფრთოვანებას არ მალავენ. ეს არ არის ხელოვნური რეაქცია, ედმონდ კალანდაძე აღმაფრთოვანებელი მხატვარია.

გალერეა "ჰობის" ერთი კარგი ტრადიცია აქვს - ყოველ წელს მართავს ამ მხატვრის გამოფენას. ტრადიცია წელსაც ურღვევია და კალანდაძის რჩეული ფერწერა ამ გალერეის კედლებზე მეოთხედ გამოიფინა.

ედმონდ კალანდაძე თანამედროვე ქართული მხატვრობის ძველი გვარდიის ერთ-ერთი მხცოვანი წარმომადგენელია, თუმცა საკუთარ თავს მარად ახალგაზრდას უწოდებს. ძირითადად, პეიზაჟებს ხატავს, რასაც საკუთარი ფერებით ასრულებს. მხოლოდ მას შეუძლია დახატოს ხასხასა წითელი ცხენი ან მწვანე ზღვა.



ედმონდ კალანდაძე - მხატვარი ძველი გვარდიიდან.

"აქ მხვდებოდა ოდესღაც მეთევზე ნიკოლაი ჯანდარაძე. ღმერთო, აცხონე მისი სული" - ასე ასათაურებს გამოფენის ერთ-ერთ ყველაზე სევდიან ნახატს. მასზე ძველი ქოხი, თეთრ მდინარეში მოტივტივე ნავი და, სავარაუდოდ, ნიკოლაი ჯანდარაძის ლანდია გამოსახული. საერთოდ, სევდა ედმონდ კალანდაძის შემოქმედების მთავარი თემაა. მიტოვებული სახლები და ამ სახლებში მოციმციმე ერთადერთი ფანჯარა ადამიანის სიმარტოვეზე საღებავებით შექმნილ ამბავს გვიყვება.

მხატვარმა გამოფენაზე საკუთარი ავტოპორტრეტიც გამოფინა. ნახატ-კალანდაძეს თავი წითელი ხილაბანდით აქვს წაკრული, თვალები არ უჩანს და, ერთი შეხედვით, მეკობრეს მოგვაგონებს. მხატვარი კი ხსნის, რომ მეკობრეობაზე არანაირი პრეტენზია არ აქვს. თვალები კი მის ავტოპორტრეტს საერთოდ არ აქვს. "ნახატის უკან წერია: **"ეს რომ ჩემმა თვალებმა დაინახონ!"** - მაშინ ისეთ განწყობაზე ვიყავი, რომ არ მინდოდა საკუთარი თვალით მეხილა, რაც ხდებოდა. ახლა კი სიტუაცია გაცილებით მომწონს."

82 წელი ედმონდ კალანდაძეს 4 მაისს შეუსრულდა, თუმცა ამ ასაკშიც არ წყვეტს მუშაობას და "ჰობის" გამოფენაზეც უახლოეს პერიოდში შექმნილი ტილოებიც გამოიტანა.

**ედმონდ კალანდაძე:** "დღე და ღამე ვხატავ. ამ გამოფენისთვის ახლების გარდა 65 წლის განმავლობაში დახატული ნამუშევრებიც გამოვიმეტე. აი, ის ტილო, რომელზეც წვიმაში მოყოლილი ხარებია დახატული, ამ დღეებში შევქმენი. დიდი ხნის წინ მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ სველი ხარებისთვის მხოლოდ ახლა მოვიცალე. ამ 65 წლის განმავლობაში ჩემი მხატვრობა არ შეცვლილა, უბრალოდ, იმდენად განვითარდა, რომ თავადაც ვერ ვცნობ. ამ გალერეაში გამოფენილი ყველა ტილო რეალურად მინახავს - ეს არის ჩემი საქართველო!"

ედმონდ კალანდაძემ ჯერ არ იცის, რას დახატავს ყველაზე ბოლოს. "გალაკტიონმაც არ იცოდა, რას დაწერდა სიკვდილის წინ. მართალია, რაღაც მონახაზი მაქვს, მაგრამ ამაზე სერიოზულად არ ვფიქრობ", - ამბობს 82 წლის მხატვარი.

# როცა მიწა ცეკვავს

მცირე გეოლოგიური გაკვეთილი

***რა:*** *გამოფენა "მიწისძვრა! ცხოვრება დაუდეგარ მიწაზე".*
***სად:*** *ბირჩის აკვარიუმი, ლა ჯოლა, კალიფორნია.*
***რატომ:*** *მიწისძვრა ვის არ განუცდია? ამიტომ.*

შეიძლება მიწისძვრის იმდენად გეშინოდეთ, რომ ეს წერილი არც წაიკითხოთ. მაგრამ ისიც ხომ იცით, რომ შიშს თვალებში უნდა ჩახედო და მერე მას იოლად დაძლევ. ამ პრინციპით მოქმედებენ კალიფორნიაში, სადაც მიწა ძალიან ხშირად და მეტისმეტად შემაშინებლად იძვრის ხოლმე და მიწისძვრის თემას ტაბუს ხსნიან. მას გამოფენას უძღვნიან და ასე უსწორებენ თვალს ბუნებრივ სტიქიას.

გამოფენის შესახებ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი სიუ კოვაჩი გვიამბობს. წყნარი ოკეანის სანაპიროზე დგას, წყლიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულ პატარა გორაკზე. იქით გაიხედავ - სან ხასინტოა, აქეთ - ელსინორი, გვერდით - სან ანდრეასი, ცოტა მოშორებით - სან კლემენტე, სამხრეთით - ბახა. რა აქვთ ამ დასახლებებს საერთო, გარდა იმისა, რომ კალიფორნიის შტატში შედიან? ის, რომ ამ ქალაქებში მიწისძვრა სასურველი არა, მაგრამ შეჩვეული სტუმარი ნამდვილად არის. თუნდაც, გასული 24 საათი ავიღოთ. ანზა-ბორეგოს უდაბნოს სახელმწიფო ნაკრძალში 1:05 სიმძლავრის სეისმური აქტივობა დაფიქსირდა 11.2 მილის სიღრმეზე. რამდენიმე დღით ადრე კი სეისმური აქტივობა რივერსაიდის აღმოსავლეთით მთებში იყო.

მოკლედ, მიწა იქ კვირაში რამდენჯერმე იძვრის ცხადია,. ყველა ბიძგს მოსახლეობა ვერ გრძნობს, მაგრამ სტატისტიკა უკვე თავზარდამცემია: 12 თვის განმავლობაში მომხდარი ათასობით მიწისძვრა. განსაკუთრებულად აქტიური თვეები, მაგალითად, ისეთი, როგორიც აპრილი იყო - იმდენად აქტიური პერიოდი გამოდგა, რომ "მიწისძვრისთვის მოსამზადებელ თვედ" გამოცხადდა. სკრიპსის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტმა კი ზემოხსენებული გამოფენაც მოაწყო. ექსპოზიცია პოპულარულ ენაზე და გართობის ელემენტების დახმარებით ცდილობს, დამთვალიერებელს ეს გეოლოგიური ფენომენი ამოახსნევინოს.




ინდივიდუალური მიწისძვრა, რომელსაც ადამიანი იწვევს.

სკრიპსის ინსტიტუტის მეცნიერები რომ სანდო ხალხია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი კალიფორნიის უდაბნოში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ობსერვატორიას განაგებენ, ობსერვატორიას, რომელიც დედამიწის ქერქს იკვლევს. ისინი ასევე სწავლობენ კონკრეტულად ოკეანეებსაც, რომლებიც დედამიწის 75 პროცენტს მოიცავენ. პლანეტის ზედაპირული ფენა, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ ოკეანეების ქვეშაა მოქცეული, დაყოფილია მყარ ფირფიტებად, იგივე ტექტონიკურ თეფშებად. ისინი მოძრაობენ და ერთმანეთს ეჯახებიან, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მუდმივად. როცა თეფშების ნაპირები ერთმანეთს ეხებიან, ადამიანები სწორედ მაშინ გრძნობენ მიწისძვრას. სწორედ ამ შეჯახებამ გამოიწვია 26 დეკემბრის ტრაგიკული ცუნამი სამხრეთ აზიაში, - ადამიანურ ენაზე გვიხსნის სიუ კოვაჩი.

მიწისძვრების დარბაზში კი, შიშის წინააღმდეგ ცოდნით რომ შეიარაღდეს, ადამიანს ყველაფერი აქვს. შესასვლელშივე, კომპიუტერის მონიტორზე შესაძლებელია უახლესი ბიძგების დაფიქსირება და გაზომვა. ღილაკზე თითის ერთი დაჭერა და სკრიპსის ინსტიტუტის სეისმომეტრების მიერ გაზომილი მონაცემები გამოვა ეკრანზე: ბოლო 24 საათის განმავლობაში მომხდარი ბიძგები რუკაზე წითელი კოპლებით არის აღნიშნული, 24-იდან 48 საათის ინტერვალში დაფიქსირებული ბიძგები - ყვითელი კოპლებით, ორი კვირის წინანდელი კი - მწვანე ფერით.

მიწისძვრის შოუზე მოკლემეტრაჟიან ფილმსაც სთავაზობენ დამთვალიერებელს. "ტალღები მიწაში" - ასე ჰქვია სურათს, რომელშიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ამონტაჟებენ მეცნიერები სეისმურ მონიტორებს სეისმურ სადგურებში და როგორ ზომავენ ბიძგებს.

უნდა ითქვას, რომ კალიფორნიელები შიშს გაბედულად უყურებენ თვალებში, ანუ გამოფენაზე თამამად მიდიან და ბავშვებიც მიჰყავთ. სპეციალურად პატარებისთვის ხომ რამდენიმე ინტერაქტიული თამაშია მოწყობილი. ამ თამაშში ჩართვა სამი წლის ბავშვსაც კი შეუძლია. პატარები აგებენ შენობებს კუბებისგან და შემდეგ "მიწისძვრის" დახმარებით ანგრევენ მათ. ანდა უზარმაზარ, "ლეგოს" ტიპის თავსატეხებს ხსნიან და ერთმანეთს უკავშირებენ სათამაშო ტექტონიკურ თეფშებს. თუმცა, პატარებსაც და დიდებსაც განსაკუთრებით ერთი თამაში მოსწონთ: დგებიან მოძრავ სათამაშო მოედანზე, რომელზეც დიდი ასოებით წერია "ახტი" და საკუთარ, პერსონალურ მიწისძვრას იწვევენ. შემდეგ მათ მიერ გამოწვეულ "ადამიანურ" ბიძგებს რიხტერის შკალაზე ზომავენ. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც სინამდვილეში.

შოუ, რომელიც მიწისძვრას - ამ თავზარდამცემ ბუნებრივ მოვლენას გართობად და თამაშად აქცევს, კალიფორნიაში 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება. მანამდე კი სკრიპსის ინსტიტუტის მეცნიერები ერთ უიმედო, მაგრამ რეალისტურ განცხადებას აკეთებენ. ინსტიტუტის ვიცე-დირექტორი ჯონ ორქეთი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური მიღწევები წარმოუდგენლად სწრაფი ტემპით იხვეწება, "მიწისძვრის პროგნოზირება ამ ეტაპზე მაინც შეუძლებელია. მეტიც, არ არის გამორიცხული, ეს ადამიანმა ვერასდროს შეძლოს".

## ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ხალხური | "[illegible], ქართული [illegible] ფოლკლორის ნიმუშები" | "დიოგენე" | 31.2 |
| [illegible] | "[illegible]" | "[illegible]" | 4.8 |
| ოტია იოსელიანი | "[illegible] ზღაპრები" | "[illegible]" | 4.4 |
| ლაშა ბუღაძე | "[illegible]" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3.6 |
| აბაკელია და სხვ. | "საქართველოს ისტორია [illegible] მეცნიერება და კულტურა" | "დიოგენე" | 3.2 |
| ენდრიუ ჰეივუდი | "პოლიტიკური იდეოლოგიები" | "ლოგოს პრესი" | 2.8 |
| ანა სამადაშვილი-კორძაია | "მე, მარგარიტა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| ჰედლი ბული | "ანარქიული საზოგადოება" | "დიოგენე" | 1.6 |
| ზურაბ კიკნაძე | "მითოლოგიური ენციკლოპედია. ქართული მითოლოგია" | "[illegible]" | 1.6 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |




**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "[illegible]" | გარტ ჯენინგსი | მარტინ ფრიმენი, მოს დეფი, [illegible] | 21,103,203 | 21,103,203 |
| "თარჯიმანი" | სიდნი პოლაკი | ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, კეტრინ კინერი | 13,833,815 | 43,152,385 |
| XXx: State Of The Union | ლი ტამაჰორი | აის ქიუბი, სემიუელ ლ. ჯექსონი, უილემ დეფო | 12,712,272 | 12,712,272 |
| "ამიტივილის კოშმარი" | ენდრიუ დუგლასი | რაიან რეინოლდსი, [illegible] | 7,862,157 | 54,816,999 |
| "საჰარა" | ბრეკ აიზნერი | მეთიუ მაკკონაჰი, პენელოპა კრუზი, სტივ ზანი, უილიამ მეისი | 5,788,332 | 56,885,831 |
| "ეს ძალიან ჰგავს სიყვარულს" | ნაიჯელ კოული | ეშტონ კუტჩერი, ამანდა პიტი, [illegible] | 5,084,727 | 14,561,119 |
| Fever Pitch | პიტერ და ბობი ფარელები | დრიუ ბერიმორი, ჯიმი ფელონი | 3,532,013 | 36,317,491 |
| Kung Fu Hustle | სტივენ ჩოუ | სტივენ ჩოუ, [illegible] | 3,317,955 | 12,653,318 |
| "რობოტები" | კრის ვეჯი, კარლოს სალდანია | ევან მაკგრეგორი, ჰალი ბერი, მელ ბრუკსი, რობინ უილიამსი, ჯენიფერ ქულიჯი | 2,269,605 | 123,300,061 |
| "გამოიცანი, ვინ" | კევინ სალივანი | ბერნი მაკი, ეშტონ კუტჩერი, ზოი სალდანია | 2,151,466 | 65,434,348 |

**სიმღერების ცხელი ათეული მოზრდილთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**




| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული კვირები |
|---|---|---|---|
| კელი კლარკსონი | Breakaway | 1 | 33 კვირა |
| "ლოს ლონელი ბოიზი" | Heaven | 2 | 46 კვირა |
| ჯონ მეიერი | Daughters | 3 | 31 კვირა |
| მაიკლ ბუბლე | Home | 5 | 14 კვირა |
| ტიმ მაკგროუ | Live Like You Were Dying | 4 | 31 კვირა |
| "მარუნ 5" | She Will Be Loved | 6 | 31 კვირა |
| "[illegible]" | Give A Little Bit | 7 | 20 კვირა |
| ქით ურბანი | You'll Think Of Me | 8 | 49 კვირა |
| მარტინა მაკბრაიდი | In My Daughter's Eyes | 9 | 34 კვირა |
| დერილ ჰოლი ჯონ ოუტსი | I'll Be Around | 10 | 34 კვირა |

ფეხბურთი

# სელადესი: "ჩვენი შანსი "ვალენსიაზეა" დამოკიდებული"




მიჩელ სალგადოს ტრავმამ და დისკვალიფიკაციამ ალბერტ სელადესს მადრიდის "რეალის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება მისცა. სანტანდერის "რასინგთან" შეხვედრაში კი მას შეიძლება მეორე შანსი მიეცეს. რაც შეეხება ესპანეთის ჩემპიონობას, სელადესი გარკვევით ამბობს: "ჩვენ ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ".

**- თუ მიჩელ სალგადო "რასინგთან" თამაშისთვის ვერ მომჯობინდება, მზად ხარ, ის კვლავ შეცვალო?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყოველ ჩვენგანს შეუძლია გუნდს დაეხმაროს. და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფეხბურთელი ტრავმას ან დისკვალიფიკაციას მიიღებს.

**- თქვენი საჩემპიონო შანსი პირდაპირ უკავშირდება ვალენსიაში, "მესტალიაზე" დაფიქსირებულ შედეგს?**

- დიახ, რადგან ჩვენსა და "ბარსელონას" შორისს ქულათა სხვაობა იგივეა, მატჩი კი სულ უფრო ცოტა რჩება. თუმცა, როცა ამ ყველაფერს ვამბობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის მატჩი, რომელიც ჩვენ უნდა მოვიგოთ.

**- თუ "ბარსელონა" "ვალენსიას" მოუგებს, შეიძლება მას ესპანეთის ჩემპიონი ვუწოდოთ?**

- არა, რადგან, თუ ჩვენც მოვიგებთ, ჩემპიონობის თეორიული შანსი კიდევ დაგვრჩება. თუმცა, ისიც მართალია, რომ ვალენსიაში გამარჯვებით კატალონიელები მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამენ ჩემპიონის ტიტულისკენ.

**- როგორია შენი აზრი რობერტო კარლოსის სიტყვებზე, რომელიც "ბარსელონასა" და "რეალ სოსიედადის" მატჩს ეხებოდა?**

- კარლოსს არ ვეთანხმები. მე მჯერა "რეალ სოსიედადის" პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის. თუ ისე მოხდება, რომ ჩემპიონის ბედი ბოლო ტურში გადაწყდება, მაშინ ეჭვი არ შემეპარება სანსებასტიანელთა პროფესიონალიზმში. მე მესმის, რომ ისინი ამ სიტყვებზე გაღიზიანდნენ. "რეალ სოსიედადის" ფეხბურთელი რომ ვყოფილიყავი, ეს სიტყვები არც მე მომეწონებოდა, მაგრამ ყველას საკუთარი აზრი აქვს და შეუძლია ის გამოთქვას.

**- ისევ დაიწყო ლაპარაკი სტიმულირებაზე...**

- როცა ჩემპიონატი მთავრდება, ყველა გუნდი რაღაცას ამბობს. ერთნი ჩემპიონობისთვის იბრძვიან, სხვები - უეფას ზონაში მოსახვედრად. აქ ახალი არაფერია. პრემიალურებში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუ მას გამარჯვებისთვის იძლევიან.

**- მაგრამ სან-სებასტიანში მატჩის ბოლოს ტრიბუნები სკანდირებდნენ: "ბარსა", "ბარსა"...**

- მგონია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც "ბარსას" უჭერენ მხარს და ადამიანები, ვინც მადრიდის "რეალს" ქომაგობენ... მე, როგორც პროფესიონალს, არ შემიძლია მინდორზე გამოვიდე და არ მოვიგო - ყველა მოსაგებად თამაშობს. როცა მატჩი იწყება, ფეხბურთელი ყველა ჭორს ივიწყებს. დარწმუნებული ვარ, ყველანაირი აზრი არსებობს. მწამს, რომ "რეალ სოსიედადის" შემადგენლობაში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც "რეალი" ან "ბარსელონა" ესიმპათიურებათ, მაგრამ ეს ხომ ნორმალურია. ამიტომ, თუ ისინი "ბარსელონას" წინააღმდეგ მინდორზე გამოვლენ და ეცოდინებათ, რომ გამარჯვების შემთხვევაში კატალონიელები ჩემპიონები გახდებიან, არა მგონია, რომ მათ იოლად მისცენ მეტოქეს გოლის გატანის საშუალება ან სპეციალურად ცუდად ითამაშონ. არავითარ შემთხვევაში არა მგონია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

**- მაგრამ ისტორიას მსგავსი ფაქტები ახსოვს...**

- სიმპათია რომელიღაც გუნდის მიმართ არსებობდა და იარსებებს, მაგრამ ამისთვის ცუდად ითამაშო? - არა მგონია. რა თქმა უნდა, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც სანსებასტიანელთა მოქმედებაში ინერტულობას დაინახავენ, თითქოს გუნდს მოგება არ სურს და სხვა, მაგრამ თავში ვერც კი გამივლია, რომ რომელიმე ფეხბურთელმა საკუთარ თავს უთხრას: "მე არ მოვიგებ, რადგან მირჩევნია, "ბარსელონა" ჩემპიონი გახდესო". არსებობს სიმპათია, მაგრამ ყველას აქვს ღირსების გრძნობა. ამასთან, გუნდები საკუთარი პრესტიჟისთვის იბრძოლებენ.

**- შეამჩნიე, რომ ბოლო მატჩებში "ბარსელონა" ნერვიულობს?**

- როცა ფინალი ახლოვდება და როცა ხედავენ, რომ ჩვენ ჩვენს მატჩებს ვიგებთ, რასაკვირველია, მცირე ზეწოლას განიცდიან. სამი თვის წინათ ყველა ფიქრობდა, რომ "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატს იოლად მოიგებს. ჩვენ შევეცდებით, ჩვენი თამაშები მოვიგოთ და ქულათა მაქსიმუმი დავაგროვოთ. თანდათან სულ უფრო ცოტა თამაში რჩება. მათ უკვე შეუძლიათ, უმაღლეს მწვერვალს ხელით შეეხონ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი მოუგიათ. ჩვენ ჩვენი თამაშები უნდა მოვიგოთ. მათ მატჩებზე კი ვერავითარ გავლენას ვეღარ მოვახდენთ.

## TV-სპორტი

### შაბათი. 7 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "დინა"
13:30 "FUTBOL MUNDIAL"
13:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "დინა". პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 "საფეხბურთო კლუბი"
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 "2:1". ტოქშოუ
17:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "ნიუკასლი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "ვოლფსბურგი"
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "რენი" - "მონაკო". პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბეტისი" - "სევილია". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 20:30 პრესცენტრი
10:20, 20:45 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში. მეოთხედფინალები
13:15 "სარკის წინ"
13:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
14:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
15:00 როდეო. "Bull Riders"
16:00 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
21:30 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
22:00 სპორტული ცეკვები. დიდი პრიზი "დინამო". პირველი ნაწილი
23:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:25 ახალი ამბები
00:40 "არტეფაქტი". ფიგურული სრიალი
01:30 01:30-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. დიეგო კორალესი - ხოსე ლუის კასტილიო. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
11:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
14:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
22:00 ველორბოლა. იტალიის ტური
23:00 ველორბოლა. იტალიის ტური. პროლოგი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 საბრძოლო ხელოვნება. "შუტუ"
02:30 თავგადასავალი. "გაქცევა". ტელეჟურნალი

# ალბიონელმა კალმოსნებმა ლემპარდი შემოხაზეს




გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც ლონდონელმა "არისტოკრატებმა" ინგლისის ჩემპიონობით ნახევარსაუკუნოვანი ოცნება აისრულეს, "ჩელსის" გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ მიეცათ საბაბი, შესულიყვნენ ლონდონურ პაბებში და კონკრეტული ფეხბურთელის სადღეგრძელო შეესვათ. ჩელსელი ფანების მიერ კათხებით სადღეგრძელოების შესმის მიზეზი კლუბისა და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდია, რომელსაც ფეხბურთის კალმოსნებმა გამოკითხვის შედეგად წლის ფეხბურთელის წოდება მიანიჭეს.*

წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, 26 წლის ლამპარდმა სეზონზე საპრემიერლიგო მატჩებში საკუთარ თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი ბურთი - 12 შეაგდო მეტოქეთა კარში.

საგულისხმოა, რომ იმავე გამოკითხვაში ლამპარდმა თავისივე თანაგუნდელს ჯონ ტერის აჯობა, რომელიც, თავის მხრივ, პროფესიონალ ფეხბურთელათა ასოციაციის მიერ აპრილში წლის საუკეთესო მოათამაშისთვის დაწესებული პრიზით დააჯილდოეს. ფაქტობრივად, აქაც და იქაც, ისე როგორც პროფესიონალ ფეხბურთელათა ასოციაციის გამოკითხვისას (აპრილში არისტოკრატთა ცენტრალურმა მცველმა ჯონ ტერიმ ორ თანაკლუბელებს პეტრ ჩეხსა და დღევანდელ გმირს ფრენკ ლამპარდს გაუსწრო, ისევე როგორც არსენალელ ტიერი ანრის, ლივერპულელ სტივენ ჯერარდს და კრისტალპალასელ ენდი ჯონსონს. შარშან ამავე, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ საუკეთესოდ "არსენალის" ფრანგი ლეგიონერი ტიერი ანრი დასახელდა.-რედ.). პირველი-მეორე არისტოკრატთა შორის გახდა ამოსარჩევი. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ლამპარდმა და ტერიმ მთლიანობაში ხმათა 90 პროცენტი დაისაკუთრეს. ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ჯერი კოკსი კი აღნიშნავს, რომ ლამპარდმა თანაკლუბელი ჯონ ტერი საგრძნობლად ჩამოიტოვა უკან.

"ტერიმ ფანტასტიკური წვლილი შეიტანა "ჩელსის" თამაშში, - ტერის დამსახურებაზე მიუთითებს კოკსი. - მაგრამ ლამპარდმა საკუთარი თამაშით შეძლო, ჩვენი ასოციაციის წევრების ხმათა უმრავლესობა დაემსახურებინა. კერძოდ, ის, რომ ისაა ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე და, იმავდროულად, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის...

ის მრავალმხრივ განვითარებული მოთამაშეა. მისი ფიზიკური მზადყოფნა ფენომენალურია. ხოლო ის ფაქტი, რომ მან სეზონზე 18 ბურთი გაიტანა, მას სრულიად განსაკუთრებულ ფეხბურთელად წარმოგვიდგენს".

ლამპარდს, რომელმაც "ვესტ ჰემიდან" გადასვლის შემდეგ მოირგო "ჩელსის" მაისურა, ამ სეზონზე საკუთარი კლუბის არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია, ხოლო "ბოლტონთან" თამაშისას, სადაც მათი ჩემპიონობის ბედი წყდებოდა, ორი გოლი გაუტანა მეტოქეს.

ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა ასოციაციამ მესამე ადგილზე ლივერპულელი მცველი ჯემი კარაგერი გაამწესა.

და კიდევ, ფრენკ ლამპარდი "ჩელსის" ისტორიაში მეორე ფეხბურთელია, რომელსაც პრესტიჟული პრიზი არგუნეს. მანამდე, 1997 წელს, ასევე დააფასეს ლონდონელთა იტალიელი ლეგიონერი ჯანფრანკო ძოლა. მეტიც, "ჩელსის" ნახევარმცველი ინგლისელთაგან მესამეა, რომელიც წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ნუსხაში ფიგურირებს. ლამპარდამდე დაუჯილდოებიათ ალან შირერი (1994) და ტედი შერინგემი (2001).

# შოთა არველაძე შოტლანდიას ემშვიდობება




საქართველოს ნაკრების ფორვარდმა შოთა არველაძემ შოტლანდიაში გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ შეიძლება გლაზგო დატოვოს. შოთამ საქართველოში ითამაშა, შემდეგ - თურქეთში, ჰოლანდიასა და შოტლანდიაში. მომავალი სეზონიდან კი საქართველოს ნაკრების ფორვარდი შეიძლება უცხოეთის რომელიმე სხვა ქვეყანაში აღმოჩნდეს.

წლევანდელ სეზონში შოთა არველაძემ მოულოდნელად დაკარგა სათამაშო პრაქტიკა. ახლა კი იმედოვნებს, რომ საგოლე ალღოს რომელიმე სხვა ქვეყნის სხვა გუნდში დაიბრუნებს. ამსტერდამის "აიაქსის" ყოფილი ფორვარდი ამბობს, უსაშველოდ არ წუხს, რომ შოტლანდიურ გრანდს ემშვიდობება.

**- რას იტყვით "რეინჯერსში" გატარებულ პერიოდზე?**

- მიმაჩნია, რომ აქ არცთუ ისე ცუდად ვთამაშობდი. "რეინჯერსთან" ერთად შოტლანდიაში ერთ სეზონში სამივე ჯილდო მოვიგე. ახლა კი მსურს შოტლანდია ჩემპიონის რანგში დავტოვო. წასვლა ყოველთვის მაჟორულ ნოტზე სჯობია. რა თქმა უნდა, "სელტიკთან" დერბი მომენატრება, მაგრამ ეს არის და ეს. ერთი რამ ზუსტად შემიძლია ვთქვა: შოტლანდიური ამინდი არასოდეს მომენატრება.

**- გაწუხებთ ის ფაქტი, რომ მომავალი სეზონისთვის ჯერჯერობით კლუბი ვერ გამოძებნეთ?**

- სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ ასე უნდა ვიფიქრო. მე ბევრი ადამიანი მიცნობს და ეს სავსებით საკმარისია. რამდენიმე წინადადება მქონდა ევროპული კლუბებისგან - ვგულისხმობ ინგლისს, გერმანიას, ჰოლანდიასა და თურქეთს. ამას გარდა, ჩემი პერსონით ერთ-ერთი იტალიური კლუბიც იყო დაინტერესებული, მაგრამ ჯერჯერობით არ შემიძლია ვთქვა, ეს საუბარი ჭორის დონეზე მიმდინარეობდა თუ უფრო სერიოზულად.

**- რომელ კლუბში ისურვებდით თამაშს?**

- ვცდილობ, მოვლენებს რეალურად შევხედო. უკვე აღარ ვოცნებობ, როგორც ადრე. მახსოვს, რომ "აიაქსში" ჩატარებული კარგი სეზონის შემდეგ "იუვენტუსზე", "მილანზე" ან "მანჩესტერ იუნაიტედზე" დაიწყეს საუბარი. უკვე 32 წლის ვარ და ის დღეები დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. თუმცა, ძველებურად მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ შემიძლია კარგი ხარისხის ფეხბურთი უმაღლეს დონეზე ვითამაშო. დარწმუნებული ვარ, შემიძლია სეზონში 20 გოლი გავიტანო. შეიძლება ჩემს ახალ კლუბში 15 გავიტანო, მაგრამ ესეც ხომ კარგი შედეგია.

**- მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში საქართველოს ნაკრები არცთუ ისე კარგად თამაშობს. გჯერათ, რომ ეს შესარჩევი ციკლი ქართველთათვის სასურველი შედეგით დასრულდება?**

- რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებს უკეთ გამოსვლაც შეეძლო. ჩვენ ბოლო ორი მატჩი წავაგეთ, მაგრამ ალენ ჟირესმა გუნდის გაწვრთნა ხომ ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო. სიმართლე რომ ითქვას, ის ახალ გუნდს აშენებს, რომელმაც მხოლოდ ექვსი მატჩი გამართა. ახალი გუნდის შესაქმნელად დრო არის საჭირო. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ იმ დროისთვის, როცა საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს, მე უკვე ფეხბურთელი კი არა, გულშემატკივარი ვიქნები და ეს, ცოტა არ იყოს, სევდას მგვრის. მეორე მხრივ, ნაკრებში 50-ზე მეტი საერთაშორისო მატჩი ვითამაშე, გავიტანე 20 გოლი და დაახლოებით ათი წლის განმავლობაში გუნდის წამყვანი ფორვარდი ვიყავი. ვიმედოვნებ, რომ ჩვენმა თაობამ ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ახალი, ნიჭიერი თაობის სახით ღირსეული შეცვლა მოვიდეს და ჩვენ მომავალში, გასული წლების დამსახურებისთვის, მადლობა გადაგვიხადოს.

**- საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას აპირებთ?**

- საქართველოში დღემდე დაძაბული დროა. შეიძლება ჩემს შვიდი წლის ვაჟს 20 წლის შემდეგ შესანიშნავი სამშობლო ჰქონდეს. ასეა თუ ისე, ჩემს სამშობლოში აუცილებლად დავბრუნდები. ზუსტად კი იმის თქმა შემიძლია, რომ ფეხბურთს სამუდამოდ ვერაფრით ვერ დავემშვიდობები. არ ვიცი, რას გავაკეთებ, მაგრამ მე არასდროს მომწონდა საშუალო პოზიციაზე ყოფნა. თუ ჩემს სამუშაოს კარგად ვერ შევასრულებ, საერთოდ არ მოვკიდებ ხელს.

ფეხბურთი

# ხოსე პეკერმანი - მწვრთნელი სამი ლეკვით

ლაშა გოდუაძე



ცნობილი გამოთქმის მიხედვით, ყველა გზა რომში მიდის, მაგრამ არგენტინელთა ნაკრების მწვრთნელის ხოსე პეკერმანისთვის გზებს არა იტალიის დედაქალაქში, არამედ გერმანიაში მივყავართ, მარადიული ქალაქის ჩრდილოეთით 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს სწორედ ეს ქვეყანა მასპინძლობს.

უდიდეს საფეხბურთო ტურნირამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, თუმცა, არგენტინა ამ ქვეყანას ერთი თვის შემდეგ მაინც ესტუმრება - გერმანია ივნისში ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშებას მასპინძლობს და პეკერმანის გუნდი რვა მონაწილეს შორისაა.

ფიფას ინტერნეტ-გვერდის ჟურნალისტები არგენტინელთა თავკაცს რამდენიმე დღის წინ შეხვდნენ. სანამ მწვრთნელთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ კონფედერაციათა თასის გათამაშება 15 ივნისს დაიწყება და 29 ივნისს დასრულდება. ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს: ა ჯგუფი - გერმანია (მასპინძელი), ავსტრალია (ოკეანეთის ჩემპიონი), არგენტინა (სამხრეთ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი), ტუნისი (აფრიკის ჩემპიონი). ბ ჯგუფი - ბრაზილია (მსოფლიოსა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი), საბერძნეთი (ევროპის ჩემპიონი), იაპონია (აზიის ჩემპიონი), მექსიკა (ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ჩემპიონი).

**- რამდენიმე კვირაც და ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშება დაიწყება. რას ელით ამ ტურნირისგან?**

- ჩვენ ამ შეჯიბრებას სერიოზულად ვეკიდებით. მარტო ის რად ღირს, რომ ყველა მონაწილე თავისი კონტინენტის ჩემპიონია! ვფიქრობ, ესაა შეჯიბრება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საკუთარი შესაძლებლობები ზუსტად შევაფასოთ.

**- ეს ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე იმართება. ხედავთ თუ არა მასში რაიმე დადებითს?**

- რა თქმა უნდა! კონფედერაციათა თასის გათამაშებას რამდენიმე პლუსი აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ისმ არის, რომ საშუალება მეძლევა, გუნდს ზედიზედ რამდენიმე თამაშში ვუხელმძღვანელო ერთსა და იმავე ადგილზე. მას შემდეგ, რაც ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ამის საშუალება არ მქონია. გარდა ამისა, კარგია, რომ გუნდის ბირთვის შეკრებას მოვახერხებ - ვფიქრობ, ტურნირის დროს ბიჭებთან ნაყოფიერად ვიმუშავებ.

**- იქნებ გაგვიმხილოთ, როგორ გუნდს ჩაიყვანთ გერმანიაში: დაახლოებით ისეთს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რომ ათამაშეთ თუ ექსპერიმენტულ შემადგენლობას?**

- გულახდილად რომ ვთქვა, საბოლოოდ არ ამირჩევია - რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს უნდა შევეხმიანო და მათი გეგმები გავიგო. დღესდღეობით მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ჩემთვის, როგორც არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის, ამ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ზერელედ ნამდვილად არ ვეკიდები. შესაბამისად, მსურს, რომ გერმანიაში რაც შეიძლება ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდე. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ სურვილი ერთია და შესაძლებლობა - მეორე.

**- როცა ნაკრები ჩაიბარეთ, განაცხადეთ, რომ გუნდისთვის გარდამტეხი პერიოდი იდგა. ახლა რას იტყვით?**

- არაფერი შეცვლილა - არგენტინის ნაკრები კვლავაც საკუთარი თავის ძიებაშია. ადრე ჩვენს გუნდში ირიცხებოდა რამდენიმე შეუცვლელი მოთამაშე, დღეს კი ასე არაა. კონფედერაციათა თასის გათამაშება სწორედ ამიტომაა კარგი - ახალი ფეხბურთელების მოძებნაში დაგვეხმარება, გუნდში თაობათა შერწყმას ხელს შეუწყობს. აქვე მინდა დავძინო, რომ იმ მოთამაშეებმა, რომლებიც გერმანიაში ვერ გაემგზავრებიან, ხელი არ უნდა ჩაიქნიონ - დღეს ნაკრებს მიღმა დარჩენა არ ნიშნავს მათ საბოლოო უგულებელყოფას. მსოფლიო ჩემპიონატამდე ხომ თითქმის წელიწადზე მეტია...

**- ჯგუფურ ეტაპზე ტუნისს, ავსტრალიას და გერმანიას დაუპირისპირდებით. დაგვეთანხმებით, ამ ჯგუფიდან ადვილი იქნება შემდეგ ეტაპზე გასვლა...**

- ჩემი აზრით, ტუნისი და ავსტრალია მეტ პატივისცემას იმსახურებენ. ოცი წლის წინ ჩვენ და გერმანია აშკარა ფავორიტები ვიქნებოდით, მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა - ფავორიტები სულაც არ დგანან მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა. მსოფლიოს და ევროპის ბოლო ჩემპიონატებმა სწორედ ამაში დაგვარწმუნა - კორეა-იაპონიაში, ისევე როგორც პორტუგალიაში, იმ გუნდებმა მოახდინეს სენსაცია, რომლებსაც ლიდერთა შორის არ მოიხსენიებდნენ: აზიაში კორეამ და თურქეთმა იყოჩაღეს, პორტუგალიაში კი - საბერძნეთმა. ამ უკანასკნელმა სულაც ტურნირი მოიგო. ასე რომ, ჩვენ, არგენტინელები, მეტოქეებს ზერელედ არ მოვეკიდებით.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თქვენი გუნდი ლიდერია. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ გაისად გერმანიაში თამაში განაღდებული გაქვთ?**

- თუ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ, რა თქმა უნდა, გაგვიხარდება, რომ ჯგუფს ვლიდერობთ, მაგრამ პირველმა ადგილმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოგვადუნოს. ლიდერობის მიუხედავად, ყველა დარჩენილ მატჩში მაქსიმალურად დავიხარჯებით და ვეცდებით, იმ თამაშებშიც საუკეთესო შედეგს მივაღწიოთ. მუდმივად გამარჯვებისთვის ბრძოლა ნაკრების წევრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის კარგად მომზადებაში დაეხმარება.

**- მარტში, შესარჩევი ტურნირისას, ორი მატჩი სრულიად სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარეთ. უნდა ველოდოთ თუ არა იგივეს ეკვადორელთა წინააღმდეგ?**

- იმ დღეებში ასეთი სტრატეგია საუკეთესოდ მეჩვენა და, როგორც ხედავთ, არ მოვტყუვდი. რაც შეეხება კიტოში თამაშს, ვნახოთ, რა იქნება უკეთესი. არაა გამორიცხული, ცვლილება საერთოდ არ მოხდეს. წინასწარ ამის თქმა გამიჭირდება.

**- ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის შესარჩევ ტურნირზე ძნელი მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშია. ეთანხმებით თუ არა მას?**

- საერთოდ, ასეთ გამონათქვამებს წარსულის გამოცდილება უმაგრებს ზურგს. არ ვიცი, როგორაა ბრაზილიელთათვის, მაგრამ ჩვენთვის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშიც ძნელია და, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა. სწორედ იმ დღიდან, როცა ვიფიქრებთ, რომ შესარჩევი თამაშები დიდი არაფერია, უდიდესი პრობლემები შეგვექმნება. იცით, რატომ ვერ გავიდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინა? სათანადოდ ვერ განეწყო შესარჩევი თამაშებისთვის. არადა, არგენტინის ნაკრების ის თაობა, მგონი, უნიჭიერესი იყო ჩვენი გუნდის ისტორიაში. მერწმუნეთ, არ ვაჭარბებ...

**- იმაზე, თუ როგორ გამოეთიშა არგენტინის ნაკრები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატს, ჯერ კიდევ საუბრობენ. საინტერესოა, თქვენ თუ ახსენებთ აზიურ წარუმატებლობას ფეხბურთელებს?**

- ის, რაც კორეა-იაპონიაში მოხდა, არგენტინული ფეხბურთის მატიანის ერთ-ერთი ყველაზე შავი ფურცელია. მაგრამ წარუმატებლობა წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. საბედნიეროდ, ჩემს გუნდში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებმაც შესანიშნავად გააანალიზეს მომხდარი და ბრწყინვალედ იციან, თუ რის მიღწევა სურთ გერმანიაში.

**- იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებმაც თქვენ ხელში მოირგეს ნაკრების მაისურა, არის თუ არა ვინმე, ვინც მოლოდინს გადააჭარბა?**

- პირადად ჩემთვის როდრიგო პალასიოს პროგრესი სიურპრიზი იყო. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ მოიკიდა ფეხი "ბოკა ხუნიორსში" და, როგორც ხედავთ, ნაკრებში შეღწევაც მოახერხა. ის ძალიან ნიჭიერი და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე ფეხბურთელია. მაოცებს მისი ტექნიკა და ვიმედოვნებ, რომ დღითიდღე უკეთესობისკენ შეიცვლება. მგონი, მისი სახით არგენტინულ ფეხბურთს შესანიშნავი მოთამაშე ეზრდება.

**- ცნობილია, რომ გყავთ სამი ლეკვი, რომლებსაც ყატარი, მალაიზია და არგენტინა დაარქვით - იმ ქვეყნების პატივსაცემად, სადაც ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატები მოიგეთ. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა იყოლიოთ მეოთხე ლეკვი და მას გერმანია დაარქვათ?**

- ლეკვების შესახებ მართალი ბრძანდებით. აი, მეოთხეზე კი რა მოგახსენოთ... მსურს, ისიც ვიყოლიო, თუმცა, ასე შორს ყურება არ მჩვევია. მოდი, ამ თემაზე გაისად ამ დროს ვისაუბროთ. მერწმუნეთ, უკეთესი იქნება.

კრივი

# ზეპური საკრივო ლაყბობა ტონის თანხლებით



ბიგა ბურასაშვილი

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილ ჩემპიონს უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ კუბელ მძიმეწონოსანთან ელისეო კასტილიოსთან დორტმუნდის რინგზე უსტატუსო ორთაბრძოლა გამართა, დაახლოებით ორთვენახევარში ხელთათმანების ხელმეორედ მორგება განუზრახავს. თუ ვის შეერკინება, ეს ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, კლიჩკოს სიტყვებით, მომავალი მეტოქე, შესაძლოა, აღმოჩნდეს კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ჩემპიონი კრის ბერდი, რომელთანაც უკრაინელის ბანაკი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს.

კარგა ხანია, ვლადიმირ კლიჩკოს დაკარგული ტიტულის დაბრუნების სურვილი ამოძრავებს. კასტილიოსთან ჩხუბიც ერთგვარად ამისკენ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ. თუმცა, ვიდრე დორტმუნდის რინგზე (23 აპრილი) აბიჯებდა, რამდენიმე დღით ადრე ფედერაციის მამებმა უკრაინელ გიგანტს შეუთვალეს: კუბელთან ჩხუბმა ფედერაციის საპრეტენდენტო სტატუსი დაკარგაო. ერთი სიტყვით, დორტმუნდის ორთაბრძოლა მხოლოდ სარეიტინგო ჩხუბის რანგით განისაზღვრა. ანუ, კრის ბერდთან შერკინების გზა დაუგრძელდა.

ამჟამად კლიჩკო დაკარგული რეპუტაციის აღდგენაზე ზრუნავს, რეპუტაციისა, რომელიც კორი სანდერსთან (8 მარტი, 2003წ.) და ლეიმონ ბრიუსტერთან (10 აპრილი, 2004წ.) ნაწვნევმა მარცხმა შეულახა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ფილმებში გადაღების წინადადებებზე უარს აცხადებს, ისევე როგორც რიგ ღონისძიებებში მონაწილეობაზე.

ამასობაში ძმები კლიჩკოების ოფიციალური საიტი გვამცნობს, რომ კასტილიოზე გამარჯვების შემდეგ ვლადიმირი გოლფის თამაშით იქცევდა თავს და რამდენიმე საქველმოქმედო ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. ოთხი დღის წინათ კი იუნესკოს აუქციონის დატვირთვის მქონე ყოველწლიურ საქველმოქმედო საღამოზეც გამოჩენილა და, კასტილიოსთან რომ იჩხუბა, ის ხელთათმანები გაუყიდია. დღეს კი გერმანელთა კერპის, ჩოგბურთის დიდოსტატის ბორის ბეკერის ფონდის თაოსნობით ჩასატარებელ კიდევ ერთ საქველმოქმედო საგოლფო ტურნირზე იქნევს ყვანჯს.

საქველმოქმედო ტურნირებისა თუ ღონისძიებების დარად, კლიჩკო არ დაჰკლებია არც ლას ვეგასის ცნობილ გასართობ კომპლექსს "მენდელეი ბეის", რომელმაც გუშინ კრივის კალმოსანთათვის ავტორთა ასოციაციის მიერ დაწესებული ჯილდოს გადაცემის საზეიმო შეხვედრას უმასპინძლა. "მენდელეი ბეის" კომპლექსში კი კრივის სამყაროს ვეტერანმა თუ მოქმედმა ზეპურმა საზოგადოებამ მოიყარა თავი - მძიმეწონოსანთა დივიზიონის ოთხივე ჩემპიონი: ვიტალი კლიჩკო (WBC), კრის ბერდი (IBF), ჯეიმს ტონი (WBA) და ლეიმონ ბრიუსტერი (WBO). ასევე სხვადასხვა წონითი კატეგორიის ბატონ-პატრონნი თუ ტიტულდაკარგული ჩემპიონები: ოსკარ დე ლა ჰოია, რეი ლეონარდი, გლენ ჯონსონი, ერიკ მორალესი, მარკო ანტონიო ბარერა, ფლოიდ მეივეზერი, ბერნარდ ჰოპკინსი, რონალდ რაიტი (პირველი საშუალო წონის (69.855კგ.) ყოფილ ჩემპიონს რონალდ "ვინკი" რაიტს ასევე ყოფილ ჩემპიონთან ფელიქს "ტიტო" ტრინიდადთან 14 მაისს საჩემპიონო ორთაბრძოლა ელის.-რედ.), ჯეფ ლესი, ზაბ ჯუდა, ხუან მანუელ მარკესი, ხოსე ლუის კასტილიო (სხვათა შორის, WBC-ს ვერსიით მსუბუქი წონის (61.235კგ) უმთავრესი ქამრის მფლობელს ხოსე ლუის კასტილიოს დღეს გვიან ღამით WBO-ს ჩემპიონთან დიეგო კორალესთან უწევს საჩემპიონო ჩხუბი.-რედ.), ხულიო სეზარ ჩავესი, ჰასიმ რაჰმანი, დენ ბირმინგემი, ბრაიან კენი, სტივ ალბერტი, ელ ბერნშტეინი, მარკ რატნერი, რიჩარდ სტილი.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ საზეიმო შეხვედრაზე ჩემპიონები საკუთარი ქამრებით წარდგნენ დამსწრეთა წინაშე და ჯგუფური სამახსოვრო სურათიც გადაიღეს. ამბობენ, საღამაოზე დასწრება 150 დოლარი ღირდაო.

ჯეიმს ტონი, რომელიც გუშინდელ წვეულებაზე 30 აპრილს "მედისონ სკვერ გარდენში" ჯონ რუისისთვის ართმეული კრივის მსოფლიო ასოციაციის უმთავრესი საჩემპიონო ქამრით იწონებდა თავს, აცხადებს, რომ ტიტულის პირველი დამცავი ორთაბრძოლის ჩატარება ივლისში განუზრახავს. შესაძლო და სასურველ მეტოქედ მანაც ფედერაციის ჩემპიონი კრის ბერდი დასახელა და, იმავდროულად, როგორც სჩვევია, ლაყბობას მოჰყვა. ჯერ ის, რომ მსოფლიოს საუკეთესო მძიმეწონოსანი ვარო, ყველა ჩემპიონს დედას ვუტირებ, მათ შორის, "იმ ფრანკენშტაინსაცო" (იგულისხმება ვიტალი კლიჩკო). მერე აბსოლუტური, ერთადერთი და განუმეორებელი ჩემპიონი გავხდებიო.

ტონი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კატეგორიული გამონათქვამებით და განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ასოციაციის ჩემპიონობის შემდეგ რა დღეში იქნება. ნათქვამია, ენას ძვალი არა აქვსო და ტონის შემთხვევაში, ალბათ, უკვე ყოველდღიურად მოგვიწევს ასეთი რამერუმეების მოსმენა.

და კიდევ, თუ ჯონ რუისთან შერკინებამდე მეტოქეზე აცხადებდა, რომ შემთხვევითი ჩემპიონიაო, ახლა, როდესაც ქამარი წაართვა, ყოფილ მეტოქეზე უკვე მოწიწებით ლაპარაკობს და მას ძალზე ძლიერ მოკრივეს უწოდებს. ასე რომ არ იყოს, აბა, ევანდერ ჰოლიფილდს როგორ დაამარცხებდა, თანაც, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მეტოქეს გაფურჩქვნის ხანა ედგაო; ხომ დაუმარცხებია ჰასიმ რაჰმანი, ანჟეი გოლოტა და კირკ ჯონსონი.

ტონის მხრიდან ჯონ რუისის დაფასება, ალბათ, იმას უფრო ემსახურება, რომ ისევ და ისევ საკუთარ სიძლიერეს გაუსვას ხაზი. ხედავთ, როგორი კაცი დამიმარცხებიაო?!



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მანახეთ, მითხარით და დასკვნებს თავად გავაკეთებ

შაბათს დილას მთელი ოჯახი სახლში ვიყავით. სადღაც დაახლოებით პირველ საათზე, უცბად ჩემმა ქმარმა თავისი ოთახის კარი ყვირილით გამოაღო - "ჩქარა, ჩქარა მოდით. მიშას მოუსმინეთ. გაგიჟდებით"... შეშინებულები ტელევიზორს მივვარდით. სანამ მივხვდი, რა ხდება, რა აღარ ვიფიქრე - წყალდიდობის მსხვერპლი, ბუშის არჩამოსვლა და კიდევ ათასი სხვა რამ. გასარკვევად რამე შეკითხვის დასმა მინდოდა, მაგრამ ჩემი ქმარი გიჟივით ხელებს იქნევდა - ხმა არ ამოიღო, ნუ მიშლიო. მერე გავარჩიოთო. ისრაელის არხზე RTVI-ზე (თუ არ ვცდები) სააკაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ მიდიოდა, რომელსაც ერთი საათის განმავლობაში სრულ სიჩუმეში (ქმარი კომენტარებსაც კი მიკრძალავდა, ერთი სიტყვა რომ არ გამორჩენოდა) დიდი ინტერესით ვუსმენდი. ჩემს პირად და ოჯახურ შთაბეჭდილებებს არ გაგიზიარებთ, თორემ ვინმე „პადხალიმობად“ აღიქვამს. ერთს კი გულახდილად ვიტყვი, რომ რამდენადაც ინტერვიუს ბოლოს პრეზიდენტის გამოსვლით, საუბრით ამაყი ვიყავი, იმდენად ზოგადად ქართულ მასმედიაზე, პრესსამსახურზე გავბრაზდი. ამ კონკრეტული ინტერვიუს არსებობის შესახებ ვიცოდი (განმეორებითი ჩვენება იყო), ერთი-ორ ჩემს ნაცნობს ეს არხი აქვს, ეს გადაცემა ნანახი ჰქონდა და შესაბამისად აზრიც გამიზიარეს. გასაბრაზებელი, გამაღიზიანებელი და აუხსნელი კი ის არის, რომ ნუთუ არ შეიძლება ჩვენი ტელეეთერის ოქროს წუთები იმას დაუთმონ, რაც, დარწმუნებული ვარ, მთელ საქართველოს იდიოტურ შოუებზე უფრო მეტად აინტერესებს. ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის ასეთი შთამბეჭდავი გამოსვლის შესახებ ჭორად რატომ უნდა ვიგებდე? ან ვისაც ეს არხი არ გააჩნია, იმას არ აინტერესებს, იმან არ უნდა იცოდეს პრეზიდენტის ისეთი გულწრფელობა, როგორსაც ქართული ჟურნალისტიკის ვერც ერთი წარმომადგენელი, სამწუხაროდ, ვერ აღწევს? აქვე, ამ თემასთან დაკავშირებით მეორე მაგალითსაც მოვიყვან. პარიზში საკმაოდ ბევრი მეგობარი მყავს და მხოლოდ ამის გამო ვიცი, რომ რამდენიმე ხნის წინ საფრანგეთის ტელევიზიის მე-2 არხზე გადაცემა გავიდა, სადაც სტუდიაში ჟისკარ დ`სტენი იყო მიწვეული, ტელეჩართვით კი მას მიხეილ გორბაჩოვი და მიხეილ სააკაშვილი ესაუბრებოდნენ. გადაცემა საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, გამოცდილ ჟურნალისტს მიჰყავდა, რომელიც უდიდესი პროფესინალიზმის მიუხედავად, საკუთარ პირად სიმპათიებს ვერც და არც მალავდა. გარდა იმისა, რომ ტოკშოუმ მთელი ქართული დიასპორა აღაფრთოვანა, წარმოუდგენელი, უჩვეულო რეზონანსი გამოიწვია და ფრანგული პრესა მეორე დღეს სააკაშვილის სრულიად ახლებური ხედვის, პოლიტიკის, აზროვნების, ჟისკარ დ'სტენისა და გორბაჩოვის გუშინდელ ხედვაზე გამარჯვების აღიარებით აჭრელდა, გარდა ამისა, გადაცემის ბოლოს საფრანგეთის მოსახლეობის ინტერაქტიული გამოკითხვა ჩატარდა, რომლის შედეგები გადაცემის, სააკაშვილის გამოსვლის შედეგებზე მეტყველებდა, რეზიუმეს აკეთებდა. ფრანგების 45 პროცენტი მომხრე იყო, რომ უკრაინა ევროკავშირში შევიდეს. 40 პროცენტი - რომ საქართველო და მხოლოდ არასრული 30 პროცენტი რომ რუსეთი. ეს იყო ფრანგი ერის აზრი, რომლის უმეტესობამ რამდენიმე წლის წინ არც კი იცოდა, სად არის საქართველო. მე კი, საქართველოს მოქალაქე, ამ გადაცემის, მის მიერ გამოწვეული რეზონანსის, ფრანგების აზრის შესახებ, რატომღაც ჭორის დონეზე უნდა ვიგებდე. რატომ? რა არ გვცალია ამისთანა? რა ისეთი გადატვირთული გვაქვს ტელეეთერი? ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთჯერადი ჩვენების უფლება მაინც შევიძინოთ, ნიკა ქავთარაძის ან შაბათის შოუს ერთხელ მაინც შეველიოთ, ყველაფერზე თათა ვარდანაშვილის აზრი არ მოვისმინოთ და პრაიმტაიმში ბევრად უფრო საინტერესო, მანიშვნელოვანი და აქტუალური ამბავი გავიგოთ.

მასმედიით უკმაყოფილების თემას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის რუსეთში ვიზიტით, ლავროვთან შეხვედრით გავაგრძელებდი. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გადაცემებმა წარმოუდგენლად მოკლე, მწირი, არასრული ინფორმაცია მოგვაწოდეს, იმ ორი ფრაზიდან გამომდინარე მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ჩემი ქვეყნის ხელისუფალის რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის ტონით პირველად ვიყავი ამაყი, დაკმაყოფილებული. მე პირველად ვიგრძენი, რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ, რომელსაც თანასწორუფლებიანი, პრინციპული, და არა თხოვნით - შეშინებული ტონით მშობლიურ ენაზე საუბარი შეუძლია. ჩემს ქვეყანას სახელმწიფოს კონტურები, ამბიციები, პრეტენზიები, მოთხოვნები გაუჩნდა და ნებისმიერი, თუნდაც ბუმბერაზი, აგრესიული პოლიტიკის მქონე ქვეყანა იძულებულია მოგისმინოს, მიიღოს, გაითვალისწინოს და პატივი გცეს. საქართველოს თემა რუსული და მსოფლიო პრესის ფურცლებიდან დღეების განმავლობაში არ გამქრალა. "Иностранных баз в Грузии не будет"; "К 1 января 2008 года завершится процесс вывода российских баз"; "Лавров сдался"; "Военные базы выдавлены из Грузии. Следующий на очереди Черноморский флот"; "Мид упалномочен уходить"; "Слова Лаврова в корне отличаются от того, что Москва говорила об зтой проблеме раньше"; "Грузия привезла в Москву условия вывода российских баз"; "Грузия готовится отпраздновать День Победы. Над Россией"; "Похоронная команда для СНГ"; "Преждевременный уход из Грузии". ეს რუსული პრესის სათაურების ძალიან მცირე ნაწილია, რომელთა ნახვა ინტერნეტში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მე კი თქვენთვის გაცნობა მომინდა. აი, თუ რატომ უნდა ვაკეთებდე ამას მე, ეს კი სრულიად გაუგებარია. ქართველი პოლიტოლოგები, პრესა, ტელევიზია, შესაბამისი პრესსამსახურები რას გვიკეთებენ. რატომ არავინ გვაწვდის ფართო ინფორმაციას, არავინ აკეთებს ანალიზს, არავინ იძლევა ლოგიკურ რეაგირებას. ნუთუ ჩვენი საინფორმაციო გადაცემების ხელმძღვანელებს მართლა სრული სერიოზულობით ჰგონიათ, რომ სიგარეტით მოვაჭრე ზუგდიდელი ქალის კივილი, თუნდაც არაიდეალურ ტონში შეღებილი სახლი ან, თუ გნებავთ, რიგითი შიდაპოლიტიკური პროვინციული ინტრიგა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის და უფრო საინტერესო ჩვენი საზოგადოებისათვის, ვიდრე საკუთარი ქვეყნისა და მისი პოლიტიკის, საკუთარი პრეზიდენტის წარმატებანი? გაუთავებლად მიმდინარეობს მასმედიის თავისუფლებაზე საუბარი, რომელიც, ორი აზრი არ არსებობს, ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია და მას სათუთად გაფრთხილება სჭირდება, მაგრამ ამგვარი ინფორმატიული უმისამართობა თავისუფლებასთან არავითარ კავშირში არ არის და უფრო მეტად მასმედიის არაკომპეტენტურობაზე, უინიციატივობაზე, უინტერესობაზე, არაპროფესიონალიზმზე, პრიორიტეტის არცოდნაზე და სიტუაციის ვერგაგებაზე მეტყველებს. "ვარდების" და შემდგომ უკრაინის "ნარინჯისფერი" რევოლუციების შემდეგ თითქმის არც ერთი "Figaro" არ გამოსულა, სადაც საქართველო, მისი დღევანდელი პოლიტიკა, მისი მაგალითი არ იყოს მოხსენიებული. მეც მინდა მაქსიმალური ინფორმაცია მივიღო ჩემი ქვეყნის, ჩემი ხელისუფლების შესახებ. მე მინდა საქმის კურსში ვიყო, რას ფიქრობს დღეს ჩემს ქვეყანაზე მსოფლიო. მე მინდა მსოფლიო მასმედიის მიერ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების კომენტარი. მასალები მომაწოდონ, მაჩვენონ, დამიწერონ, დასკვნებს კი უკვე მე თვითონ, ქართველი პოლიტოლოგების გარეშეც გავაკეთებ.

# უნებლიე ასოციაცია + P.S.

შესრულდა სოციალური ვალდებულებები! დარიგდა პენსიები, ხელფასები! აღდგა ხიდები! სამჯერ გაიზარდა აჭარის ბიუჯეტი! გაიხსნა შვიდი ახალი სკოლა! ბათუმის ბულვარი ოთხჯერ გაიზარდა! გაკეთდა ასოცი სკოლის კაპიტალური რემონტი! ორმოცდაოთხ სკოლას უახლესი კომპიუტერები გადაეცა საჩუქრად! ორჯერ გაიზარდა ტურისტთა ნაკადი! მომავალ სეზონზე კიდევ ორჯერ მეტს ელიან! ლამაზდება ბათუმი! იგება გზები! ნათდება ქუჩები! მონტაჟდება ლამპიონები! ამუშავდა ბათუმის პორტი! მოწესრიგდა სარფის საბაჟო! წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყოველ ნაბიჯზე ხალხს ყვლეფდნენ! გაიხსნა ახალი კაფე-ბარები! აშენდა ათობით ახალი სპორტული მოედანი! ამოისუნთქა, გათავისუფლდა, გაიმართა, გალამაზდა, განათდა, გაძლიერდა, გახალისდა ჩვენი აჭარა...

და ყველაფერი ეს უკვდავი დიადი ლენინის დამსახურებაა?! (ტელერეკლამაზე უნებლიე ასოციაცია).

P.S. ვის აკეთებინებენ ამგვარ სარეკლამო რგოლებს?! ნუთუ სერგო ორჯონიკიძე ან ბორის ძნელაძე ჯერ ცოცხლები არიან? აბა, ამგვარი კომუნისტურ-კომკავშირული პათოსი მეტი ვისგან უნდა იყოს მოსალოდნელი?!

მაინც რა ძნელი ამოსაძირკვი ყოფილა ათწლეულების განმავლობაში ასეთი საძულველი ინტონაცია!

# ნინო ანანიაშვილს მაინც გავუფრთხილდეთ

ქართული კულტურა მრავალფეროვანი, მრავალმხრივი ტალანტებით ოდითგან გამოირჩეოდა. ფაქტობრივად, კულტურის არც ერთი ისეთი სფერო არ არსებობს, რომელშიც რამდენიმე ჭეშმარიტი ვარსკვლავი მაინც არ გვყავდეს. ქართველმა ერმა თითოეული მათგანის სახელი იცის. თითოეული მათგანის თაყვანისცემით არის აღსავსე და წლების განმავლობაში მქუხარე აპლოდისმენტებით მათდამი, მათი ტალანტისადმი მადლიერებას გამოხატავს.

თითოეული, თუნდაც ძალიან დიდი შემოქმედი ინდივიდუალური ხასიათით, მორალით, შეხედულებებით, პრინციპებით, პოლიტიკური სიმპათიებით, ინტელექტითა და სულიერებით გამოირჩევა, რაც უმეტეს შემთხვევაში მათ შემოქმედებით წარმატებებს სრულებით არ განაპირობებს. ისინიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან - თავისი პლუსებითა და მინუსებით, სისუსტეებითა და სიძლიერით. სრულიად დასაშვებია, რომ გენიალური რეჟისორი იდეალური პიროვნება არ არის. საკმაოდ ხშირია, როდესაც ძალიან ნიჭიერი მსახიობიც კი განსაკუთრებული ინტელექტით არ გამოირჩევა. არაერთხელ გვინახავს, რომ გენიალური მუსიკოსი ამბიციური, ამპარტავანი პიროვნებაა, რომელიც თავის თავს იმის უფლებას აძლევს, რასაც უბრალო მოკვდავი ვერ გაბედავდა. ინტრიგებით მოცული ბევრი მხატვარი ვიცი და ა.შ.

ჩემთვის პირადად, ერთ-ერთი ყველაზე იდეალიზირებული, დახვეწილი, სრულყოფილი ქართველი შემოქმედი ნინო ანანიაშვილია. ბავშვობაში ერთი საყვარელი მულტფილმი მქონდა, რომელშიც ბევრი ძლიერი, დაკუნთული, უხეში მეზღვაურების თხოვნით საბალეტო “პაჩკაში” გამოწყობილი ბალერინა ერთი გრძელი ნახტომით გემიდან გემზე ხტება, მიფრინავს. პუანტის აბრეშუმის თასმით ჰაეროვან კვანძს აკეთებს და ამით გემს ჩაძირვისგან გადაარჩენს. ნინო ანანიაშვილი სწორედ ამ ბალერინას მაგონებს. მთელი ბავშვობა ბალერინობაზე ვოცნებობდი. ოღონდ, უცნაურად - მაია პლისეცკაია ვყოფილიყავი, არ მინდოდა. მე "ნინო ანანიაშვილობაზე" ვოცნებობდი. დღესაც, როდესაც ამ დიდ შემოქმედს ვუყურებ, მის საუბარს ვუსმენ, თითქოს საკუთარ სიუხეშეს ვგრძნობ, საკუთარი სიხისტის, რეალისტობის მრცხვენია, საკუთარი ქალურობის უკმაყოფილო ვარ. ჩემთვის ნინო ანანიაშვილი სწორედ ერთ-ერთი ის პიროვნებაა, რომლითაც იწყება და მთავრდება დღევანდელი ქართული კულტურა, ქართული ზნეობა, ქართული ინტელიგენტობა, ქართული ტალანტი, ქართული თავმდაბლობა, ქართული სილამაზე, ქალურობა, ქართული თავდადება და პატრიოტიზმი. ნინო ანანიაშვილი სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც სრულიად არაორგანულად, არაბუნებრივად გამოიყურებოდა გადაცემა "რე-აქციაში". ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დახუთულ, უჰაერო, დამუხტულ სივრცეში ულამაზესი, უნაზესი, უმშვენიერესი პეპელა შეფრინდა და გამოსასვლელს ველარ პოულობს, წუხდება, ისვრება, ითრგუნება.

ეგება ნინო ანანიაშვილს მაინც გავუფრთხილდეთ, დავინდოთ და მისთვის მხოლოდ ასეთი დამსახურებული აპლოდისმენტები გავიმეტოთ.

# შენდებოდა და შენდება. ილებდნენ და, ეტყობა, ილებენ





წლების განმავლობაში კანონიერი თუ უკანონო მშენებლობების ხარჯზე თბილისის მეთოდურად დამახინჯება რომ მიმდინარეობდა, ამაზე, იმედია, არავინ შემეკამათება. აუხსნელი ან შეიძლება ლოგიკურიც არის, რომ ყველაზე გაუგებარი, არაპროფესიონალური, ვანდალური, გამოუსწორებელი მშენებლობები კანონის სრული დაცვით, ყველა საჭირო ინსტანციის გავლით, ხელმოწერითა თუ ნებართვით ხორციელდებოდა. შედეგად კი ქალაქის მექრთამე ბიუროკრატიის მიერ წლების განმავლობაში ნამოქმედარი მივიღეთ, რომელსაც დღეს ძნელად თუ რამე ეშველება. რევოლუციის შემდგომ საქართველოში კორუფციასთან მიმდინარე ბრძოლის ფონზე, ქალაქში მშენებლობების კონტროლიც, თითქოსდა, გამკაცრდა. პროექტის დასამტკიცებლად, მშენებლობის დასაწყებად საჭირო ხელმოწერების სისტემა იმდენად გართულდა, რომ მე პირადად, კვალიც ამერია. მაგრამ, მიუხედავად ამ გამკაცრებისა, რომ იტყვიან - "ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო". აუხსნელი მშენებლობების უმეტესობა ან დღესაც გრძელდება, ან დროებით, უკეთესი დროის მოლოდინში, შეჩერებულია. თბილისის უამრავ ქუჩას კი წამოწყებული და შუა გზაზე მიტოვებული მშენებლობები და მათ გარშემო გადათხრილ-აყრილ-დანაგვიანებული ტერიტორიები ამშვენებს. დიდი, თვალში იოლად მოსახვედრი მშენებლობების ნაწილი თუ კიდევ შეჩერებულია, პატარ-პატარა დაშენებები, რომლებიც რატომღაც ნაკლებ, უმნიშვნელო დანაშაულად, ბოროტებად არის აღქმული, წარმატებით მიმდინარეობს.

დღეს თბილისში ძნელად მოიძებნება სახლი, რომელიც ენით აღუწერელი დაშენება-მიშენების ხარჯზე დამახინჯებული არ იქნება. თბილისში ისეთი პროექტი, ცენტრალური ქუჩა, მოედანი, არქიტექტურული სტილის მქონე სახლი არ არსებობს, რომელიც დაშენებას გადაურჩა. ჩემთვის პირადად, სრულიად გაუგებარია ძეგლთა ნუსხაში სტალინის და პოსტსტალინის პერიოდის არქიტექტურა დღემდე რატომ არ არის შეტანილი. ამდენი ხელოვნებათმცოდნე, შესაბამისი სპეციალისტები, ექსპერტები, სამსახურები, პროფესიონალური საბჭოები ტყუილად არსებობენ? ასე რომ აჭიანურებენ, ამდენს რაზე ფიქრობენ, ყოყმანობენ? ამასობაში კი თბილისის უმეტეს ნაწილში საკმაოდ ღირებული არქიტექტურული სტილის მქონე შენობები დაუნდობლად ნადგურდება. გაუგებარი მენტალიტეტის, ხედვის, კულტურისა და გემოვნების ადამიანებმა გაუგებარი გზებით ფული იშოვეს და თავისებური გაგებითა და მოსაზრებით "გაფართოება" დაიწყეს. ასე მოსწონთ, ასე უნდათ, ასე სჭირდებათ და ასე ესმით, უფრო სწორად კი, არაფერი ესმით. აი, თუ რატომ დუმს, თვალებს ხუჭავს, იგნორირებას უწევს ის, ვისაც, პროფესიიდან გამომდინარე, მართლა უნდა ესმოდეს, ვისთვისაც სულერთი არ უნდა იყოს და ვის უშუალო ფუნქციაშიც შედის ამ ინდივიდუალური ხედვების ერთ საერთო კანონში მოქცევა; ეს კი უამრავ შეკითხვას, ეჭვს ბადებს, რომლებზეც, მე პირადად, პასუხი ან არ მაქვს, ან ისეთი მაქვს, რომლისგანაც, უმჯობესია, თავი შევიკავო.

არადა, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ, სამწუხაროდ, ქრთამი დღესაც, ეტყობა, უზენაესია, როდესაც სულ რამდენიმე კვირის წინ ვაკის პარკის წინა ცენტრალურ მოედანზე მდებარე უზარმაზარ პოსტსტალინისეულ საცხოვრებელ სახლზე დაშენება დაიწყო და ჯერჯერობით წარმატებულად, აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. ეს დაშენება, დარწმუნებული ვარ, შარშანწინდელი ნებართვით, დიდი ხანია მოხსნილების ხელმოწერებით არ წამოწყებულა. ასე მგონია, რომ ამ დაშენების ნებართვა პოსტრევოლუციური უკორუფციობის ფონზე უნდა იყოს გაცემული. აი თუ ვინ გასცა, რატომ, რითი მოტივირებდა, როდესაც ჭავჭავაძის გამზირზე, ფაქტობრივად, ერთადერთი დაშენებისგან გადარჩენილი სახლის თავხედურ დამახინჯებაზე აწერდა ხელს, ეს კი, მგონი, ჩემი გასარკვევი არ არის. თუმცა, ისევე როგორც ჩემი გასარჩევი არ არის ამ ძაღლის "конура"-ს მსგავს გაუგებრობაში ვინ უნდა იცხოვროს და რა მაგალითზე ზარდოს ახალ ბინაში შვილები.

არ გეგონოთ, რომ მიმდინარე ანომალიური მშენებლობის თაობაზე მხოლოდ ამ წერილით შემოვიფარგლე და მერიის მაღალჩინოსნები პირადად არ გავაფრთხილე, მისამართი კონკრეტულად არ მივუთითე. ახლა კი ვნახოთ, ვაცალოთ, დაველოდოთ. დღეს მიმდინარე მშენებლობის ფოტოს გთავაზობთ, ერთ თვეში კი, სამწუხაროდ, შეიძლება დასრულებული სამუშაოს ფოტოც შემოგთავაზოთ.

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელოდება ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაართოთ წვრილმანი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა



- ქრისტე მონათლა
- სიმრავლე სამედიცინო ენაში
- სასახლე ქალაქ ქართულში
- დაბერებული, გაცუდებული ტყე
- V ციფრი
- მახრჩობელა ხილი
- *** მორბარგი
- ადამის ცოლი
- ფინა, პლასტი
- წყლისაღრიცხვის სისტემა
- საქართველოს სახსენი შესრულება
- გამოლოცვების შეკაზმული თეატრში
- დედოფლის მამა "ოტელოში"
- კოკა ჯანდიერიძის გადაცემა
- მდინარე - მაკანცრაძე
- რუსეთის ქალაქი ***-როვი
- ოლქოვანი დეკორატიული მცენარე
- მუხამორეა *** უანდელი
- ქრისტიანობის ათვის წარმართი არაბი
- ქალის ანტროპი
- *** ნოლტი
- ინგლისური საბალო ცეკვა
- ნაალის ტრავმები ვენების
- ჩაღრძაძი, მიხანი
- "ზვაის გარდზის" მელანი ***
- მღვარი
- კამიოლიკური ლიბანი

წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

TV პროგრამა

7 მაისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "კინგ-კონგი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.25** მხ. ფილმი "ლუი ლე ბიზონი და მისი მეზობელი დორინი" (18) (იზაბელ ნანტი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ბერლინის დაცემა". რეჟ. მ. ჭიაურელი. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "მაღალი ძაბვა" (18)

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კონანი და მისი მეომრები" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "თქმულება იკაროსზე" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური ინდონეზია" **13.20** მხ. ფილმი "დიდი მწვანე ველი" **14.55** ფორმულა-1. (წინასაკვალიფიკაციო)* **16.00** "ჰოლმარკი" - "ჯეკი და მუხუდოს ხე" მე-4ს. **17.00** დოკ. ფილმი "კანი თავისი მრავალფეროვნებით" **18.00** "მთავარი" **18.10** ცეკვავენ ი. დოლაბერიძე და ფრ. სულაბერიძე **18.30** "მრწამსი" - აღდგომა **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- ბრიუსელი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** "რაციო" - რეზო ჩხეიძე **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები **00.45** მხ. ფილმი "თოჯინა" (12) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნისფერი ციხესიმაგრე" 1-ლი ს. **10.00** ანიმაც. ფილმი **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" 1-ლი ს. **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" 1-ლი ს. **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება. **20.30** ლ. კოღუაშვილი **21.30** მხ. ფილმი "გომესი და ტავარესი" (გ) **23.00** ფეხბურთი. **00.45** მხ. ფილმი "ღმერთების სახელით" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის თავგადასავლები" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.25** ქრონიკა **09.10** "ნუცას სკოლა" **10.00** ანიმ. ფილმი "შავი მეკობრე" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მუსიკა სხვა ოთახიდან" (ჯად ლოუ) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** "არ იდარდო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** მხ. ფილმი "ალექსანდრე" (12) (კ. ფარელი) **02.05** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **19.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი **11.30** თეატრი **14.30** მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** ახალი ამბები **17.55** მხ. ფილმი "ბრძოლის წესები" **20.00** მუსიკა **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მხ. ფილმი "თქვენთვის წერილი" **23.30** მუსიკა **00.00** საინფ. დაიჯესტი **01.25** მხ. ფილმი "ფანატიკოსი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.20** Людмила Чурсина в фильме **"ВЕСНА НА ОДЕРЕ". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** "В мире животных" **10.10** Александр Збруев в фильме **"У ОПАСНОЙ ЧЕРТЫ" 12.20** Вера Сотникова в фильме **"ГУ - ГА". 15.50** Александр Балуев в фильме **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ". 18.10** "Кто хочет стать миллионером?". Спецвыпуск. **19.20** Лев Лещенко, Лариса Долина в праздничном концерте к Дню радио. **21.00** Время. **21.20** Владимир Вдовиченков в фильме **"ВРЕМЯ СОБИРАТЬ КАМНИ". 23.10** Андрей Щеглов в фильме **"В СОЗВЕЗДИИ БЫКА". 01.00** Стив Мартин в комедии **"РОКСАНА".** Начальник пожарной охраны маленького городка в штате Вашингтон Чарли - отличный профессионал, к тому же человек умный, начитанный и весьма общительный. Но все его прекрасные качества перечеркивает один недостаток - непомерно большой нос. Когда красавица Роксана Ковальски, занимающаяся астрономией, приезжает в городок и арендует на лето дом, чтобы наблюдать за кометами, Чарли страстно влюбляется в нее, хотя и понимает, что у него нет ни единого шанса... **03.00** Питер О'Тул в фильме **"ВОЙНА МЕРФИ".** Последние дни Второй мировой войны. Английский моряк Мерфи единственный остался в живых. Все члены его команды погибли: немецкая подлодка потопила судно. Оказавшись на забытом острове, он, одержимый местью, начинает копить силы, чтобы покончить с немецкой армией. Но это - его личная война... **05.00** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.05** Мультфильм "Персей". **06.25** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 07.15** Сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..." 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Дет. сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ОБОЗНАЛИСЬ". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Александр Филиппенко в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Особо опасен! **14.05** Владимир Гостюхин в фильме **"ФЕЙЕРВЕРК". 16.20** "Женский взгляд". Светлана Жильцова. **16.55** Своя игра. **17.55** Игорь Костолевский в боевике **"ШПИОНСКИЕ ИГРЫ". 1**-я с. **19.35** Олег Стриженов в детективе **"ПРИСТУПИТЬ К ЛИКВИДАЦИИ". 22.20** "Наша Победа". Праздничный концерт. **23.30** Пирс Броснан в боевике **"И ЦЕЛОГО МИРА МАЛО".** Похищена дочь Роберта Кинга, крупного английского бизнесмена, строящего нефтепровод из Азербайджана в обход некоторых азиатских стран. За Электру требуют огромный выкуп. Разрешить эту ситуацию берется агентство Ми-6 с Джеймсом Бондом во главе. Сам же Роберт Кинг погибает от рук террористов. Бонд берется охранять девушку, но постепенно понимает, что она - враг, приложивший руку к гибели отца, чтобы завладеть нефтяным бизнесом, что ведется очень сложная политическая борьба, в которой замешана и Россия, т.к. в ее интересы не входит строительство этого нефтепровода... **02.10** Футбол в разрезе. **02.45** Габриэль Картерис в мелодраме **"БЛАГОСЛОВЕНИЕ". 04.40** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.30** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# ჯადოსნური უნიტაზი

American standard

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში



რა საერთო აქვს უნიტაზსა და ველოსიპედს? რადგანაც ეს სომხური რადიოს გამოცანა არ არის, ახლავე გიპასუხებთ: მათ ვეღარავინ გამოიგონებს. უნიტაზს ეს კიდევ უფრო მეტად ეხება, ვიდრე ველოსიპედს. ეს უკანასკნელი სხვადასხვა ტექნიკურ მეტამორფოზას განიცდის, უნიტაზი კი სტანდარტიზებულია.

ნუ ვიქნებით სტანდარტული რეტროგრადები და საქმეზე გადავიდეთ, რადგანაც პროგრესის მამოძრავებელი უნიტაზში წყლის ჩასასხმელი ხელიც კი შეიძლება გახდეს.

ურწმუნო თომებს შემდეგ ექსპერიმენტს ვთავაზობ: შედით საკუთარ ტუალეტში და უნიტაზი კბილის პასტის 30 ტუბით გაავსეთ. შემდეგ ჩაუშვით წყალი. ან მეორე - შედით ტუალეტში, ამოავსეთ უნიტაზი "იზვესტიის" პარასკევის ნომრებით (რა თქმა უნდა, იმ ნომრებით, სადაც ჩემი სტატიები არ არის). ან ბოლოს და ბოლოს, კვლავ შედით ტუალეტში (ეს რომ საზოგადოებრივ 00-ში ჩაატაროთ, ხულიგნობისთვის დაგიჭერენ) და უნიტაზში გოლფის სათამაშო 24 ბურთი ჩააგდეთ. კვლავ ჩაუშვით წყალი... სამივე შემთხვევაში წყალი გადმოვა, ხოლო გაზეთებიც, კბილის პასტაც და გოლფის ბურთებიც უნიტაზში დარჩება. ეს გამოიწვევს გაბიდვნას და სანტექნიკოსის გამოძახება მოგიწევთ.

და რადგანაც სამყარო თქვენი ტუალეტის 4 კედლით არ შემოიფარგლება, გადავინაცვლოთ ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პისკეტევსში, სადაც "ამერიკან სტანდარტის" დიზაინცენტრი მდებარეობს. გასულ წელს ამ კომპანიამ 9,5 მილიარდი დოლარის პროდუქცია გაყიდა. ამ შთამბეჭდავი თანხის ერთ მეოთხედს სამზარეულო და სააბაზანო მოწყობილობა შეადგენს. ეს კომპანია ჰაერის კონდიციონერებითაც არის ცნობილი, მაგრამ აშშ-ში "ამერიკან სტანდარტი" ყოველთვის უნიტაზთან ასოცირდება.

უკვე ხუთი წელია, რაც "ამერიკან სტანდარტს" სათავეში ფრედ ნოზესი უდგას. მისი კრედო ასე ჟღერს: "არ მჭირდება მუდმივი განახლება, რადიკალურ ცვლილებებს ვითხოვ!"- როგორც ის ამბობს, მხოლოდ "ამერიკან სტანდარტს" შეუძლია თავისი პროდუქციის გაყიდვის გაორმაგება და 16 მილიარდ დოლარამდე გაზრდა.

ამ უზარმაზარ ნახტომში ცენტრალურ როლს ჯადოსნური უნიტაზი "ჩემპიონი" თამაშობს. (სხვათა შორის, "ამერიკან სტანდარტი" მსოფლიოში უნიტაზების ყველაზე დიდი მწარმოებელია). რით განსხვავდება ასეთი საამაყო სახელის მქონე უნიტაზი თქვენი, როგითი უნიტაზისგან? იმით, რომ ზემოხსენებული ექსპერიმენტის ჩატარების შემთხვევაში, "ჩემპიონში" გაზეთებიც ჩაირეცხება, 30 ტუბი კბილის პასტაც და გოლფის სათამაშო 24-ივე ბურთიც. სანტექნიკოსის გამოძახება არ დაგჭირდებათ, რადგან არც არაფერი გაიბიდნება.

"ამერიკან სტანდარტმა" "ჩემპიონის" მომავალ მყიდველებს შეჰფიცა, რომ ეს უნიტაზი არასდროს არ გაიბიდნება!

ახლა კი დავბრუნდეთ კომპანიის დიზაინცენტრში, სადაც "ჩემპიონის" უკანასკნელი გამოცდა მიმდინარეობს. აქ თქვენ შეგეგებებათ 12 ჩამწკრივებული სასწაულმოქმედი უნიტაზი, რომელშიც წყალს ტემპერატურის და წნევის მარეგულირებელი ელექტრომანქანა ასხამს. იქვე მდგარი მექანიკოსები სწორედ ზემოხსენებული საგნებით (ოღონდ, არა "იზვესტიით", არამედ "ნიუ იორკ თაიმსით", რომელიც ოთხჯერ აღემატება "იზვესტიის" პარასკევის ნომრებს, რომლებშიც ჩემი სტატია არ არის) ავსებენ "ჩემპიონს" და თვალს ადევნებენ მათ სასწაულებრივ გაუჩინარებას. მაგრამ, რაც პისკეიტევსში ხდება, აბსოლუტური რეალობაა, რადგან ამ აქციების წყალობით, "ჩემპიონის" ფასი განუწყვეტლივ იზრდება. "ჩემპიონი" მარადიულია!

და კიდევ - "ჩემპიონი" ხელმისაწვდომ ფასად გაიყიდება. ამის შესახებ გვატყობინებს უოლდსტრიტის გიგანტური ფირმა "გოლდმენ საკე" და აქვე უწევს რეკომენდაციას პერპეტუმ-მობილე უნიტაზს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "ჩემპიონით" "ამერიკან სტანდარტი" ორმოს თავადვე ითხრის, რადგან მას საუკუნოვანი გარანტიით ყიდულობენ! თუ გავიხსენებთ დედამიწის მოსახლეობის რაოდენობას (რეაქტიული სისწრაფით მზარდი ექვს მილიარდზე მეტი ადამიანი), კომპანიას გასაღების კრიზისი არც ერთ დროში, პრაქტიკულად, არ ემუქრება.

ამბობენ, რომ "ამერიკან სტანდარტი" რევოლუციური გარდაქმნებისთვის ემზადება... ერთი სული მაქვს გავიგო, კიდევ როგორ შეიძლება გარდაიქმნას ტუალეტის ეს პრიმიტიული ატრიბუტი?! ნუთუ ის მასზე მჯდომის დუნდულების გაბარიტების მიხედვით შეიცვლის ფორმას?! ვინ იცის.... "ამერიკან ექსპრესს" გამოგონებები ეხერხება.

# რამდენიმე რჩევა ლონდონელი „მოდნიცებისგან"

ჟურნალი "ვოგი" და გაზეთი "თაიმსი" ერთობლივად მოგვიწოდებენ საგაზაფხულო და საზაფხულო სიახლეებისკენ და რამდენიმე ანბანურ "ჭეშმარიტებასაც" გვაცნობენ. ირკვევა, რომ უძირო სანდლები 2005 წლის ცხელ სეზონზე კვლავაც მოდაშია, ისევე, როგორც ბალეტის მოცეკვავეებით შთაგონებული ფეხსაცმელი. რაც შეეხება ფეხსაცმლის მორგების წესებს ლონდონიდან. აი, ისინიც:





არავითარ შემთხვევაში არ ჩაიცვათ ბოშური ტიპის ქვედაბოლოები მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე. ყვავილებით მოხატულ, ჭრელაჭრულა კაბებს პლატფორმის ტიპის ფეხსაცმელი სჭირდებათ - მოწნული, ესპადრილის სტილის ძირით, ანდა ოდნავი თითქმის შეუმჩნეველი და საერთო ძირიდან არა ძალიან გამოკვეთილი ქუსლით. ასეთ ფეხსაცმელს თითქმის ყველა ცნობილი დიზაინერი გვთავაზობს. დოლჩე & გაბანა კლიენტებს წითელი ყვავილებით მოხატულ სქელძირიან ესპადრილს წარუდგენს; "ბარბერი" - ძალიან სადა ქოშს მოწნულ ძირზე თივისფერი ქსოვილით; კრისტიან ლაკრუას დიზაინი უფრო თამამი და გამორჩეულია - ძალიან სქელ მოწნულ პლატფორმაზე ზოლებიანი, ჭრელი ნაჭერია გადაკრული. იგივე სტილის საზაფხულო ფეხსაცმელს კერავს სალვატორე ფერაგამოს მოდის სახლიც და მაიკლ კორსიც. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ ტიპის ქოშები ძალიან უხდება არა მხოლოდ ბოშურ ქვედაბოლოს, არამედ შორტს და მინისაც.

იყო დრო, როცა მინიკაბასა და მაღალ და წვრილქუსლიან ფეხსაცმელს ერთმანეთს მშვენივრად უხამებდნენ, მაგრამ ახლა ეს დრო წარსულს ჩაბარდა. გოგონებს მინი მხოლოდ უძირო ფეხსაცმელზე აცვიათ. "ბარბერი" - თავისი ტრადიციული ორნამენტით სრულიად უძირო ფეხსაცმელს გვთავაზობს. იგივეს აკეთებს მარკ ჯეკობსი და კეიტ სპეიდიც. თუმცა, უძირო ფეხსაცმელშიც რამდენიმე სტილს გამოჰყოფენ - "ბალერინა", "მოკასინი" და წვრილცხვირა ნაგაზი. აქაც ფანტაზიის ფრთების შესხმა ხან ოდრი ჰეპბერნის გახსენებით შეიძლება (მას სწორედ "ბალერინები" ეცვა ხოლმე ხშირად) და ხან ნიკოლ კიდმანის - მას თითქმის ღია უძირო ქოში აცვია ხოლმე და მეტად სექსუალურადაც გამოიყურება.

ერთადერთი რაც უძირო ფეხსაცმლის ნაკლად შეიძლება ჩავთვალოთ არის ის, რომ მასში კომფორტულად თავს ყველა ქალი ვერ ვგრძნობს. ზოგი სიმაღლეს იმიზეზებს, ზოგიც - ფეხის სიგრძეს. მაგრამ ოქროს შუალედის პოვნა აქაც შეიძლება. სიმაღლე პრობლემა არ არის - ყველა კეიტ მოსი ვერ იქნება. სამაგიეროდ, უძირო სანდალი არ ჩაიცვათ ტანზე მომდგარ სწორ ქვედაბოლოზე და არც ჯინსის შარვალზე. თუ ამ რჩევას გაითვალისწინებთ, დისკომფორტსაც აირიდებთ თავიდან და იმაზე ფიქრსაც, რომ თქვენი ფეხები უძირო სანდალში მოკლე ჩანს. დარდის გასაქარვებლად, უქუსლოდ სიარულის კიდევ ერთი პლუსი: ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში სწორძირიანი ქოში ძალიან ინტიმურ აქსესუარად ითვლებოდა, ქალსაც და კაცსაც ბუდუარულ განწყობაზე აყენებდა და ზედმიწევნით ეროტიკულ ფანტაზიებს ულვივებდა. მას შემდეგ, როგორც ჩანს, ბევრი არაფერი შეცვლილა. ვისაც ახსოვს ლუის ბუნუელის 1967 წელს გამოსული სურათი Belle de jour და კატრინ დენევის მთავარი გმირი - მეძავადქცეული სევერინი, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება - დენევის ფეხები სწორედ უძირო ფეხსაცმლის ტრიუმფია, ეროტიკული ტრიუმფი. ასე რომ, რაღაც დონეზე, საკუთარი ქალურობის მაქსიმალურად შესაგრძნობად სულაც არ არის საჭირო მაღალი ქუსლები და პედრო ალმოდოვარი.








მეუღლე ლილი, შვილები: დავითი, ლია, თემური ოჯახებით, დები: ლამარა, ნათელა და გულიკო ოჯახებით, შვილიშვილები: კახა, ანა, გიორგი, ნინო, ოთიკო, სოფიო, ნუკა, დათო, შვილთაშვილები: დათო და გაგი, ბიძაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ ვარლამის ძე გვალია**

**პანაშვიდი: 8 - 9 მაისი 16 საათზე**
**გამოსვენება: 10 მაისი, 14 საათზე**

**მისამართი:ლიბანის 10 (ცენტროლიტის დასახლება), კორპუსი 1, სართული 1.**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24





